საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (349)
1 - 7 ივნისი, 2016
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



20 როგორ მიდის საქმე ლიბიაში, ქალბატონო კლინტონ?



## «ზვიად გამსახურდია არ იყო რუსოფობი... მისი იდეა იყო კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის» 9

«საგანგაშოა, რომ ჩვენი ხელისუფლებები მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოვლად გაუმართლებელ ნაბიჯებს დგამდნენ. ისინი თანახმანი იყვნენ და არიან, ერთი სახელმწიფოს მონა-მორჩილნი გახდნენ და საქართველოს ტერიტორია სახელმწიფოების შეჯახების პოლიგონად აქციონ»



## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი — მითები და რეალობა 2

## «აბონენტებო, თუ თქვენი ინტერესები ილახება, აუცილებლად მიმართეთ სემეკს» 10

მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე):

## ჩვენი არჩევანი ევროპა არ არის, ეს ტყუილია 6

«ეს სიცრუე თავის დროზე სააკაშვილმა მოახვია თავს საზოგადოებას და ახლა ესენი იმეორებენ»



## საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი უნდა გაუქმდეს და მის ადგილას სააკაშვილის მიერ ქართველთა გენოციდის მუზეუმი უნდა დაარსდეს 8



«ერთიანი ნაციონალური მოძრაობა» უნდა გასამართლდეს და მისი საქმიანობა ისევე აიკრძალოს, როგორც თავის დროზე გაასამართლეს ნიურნბერგში გერმანული ფაშიზმი»

## «ვერაფერს გავაკეთებთ გაუნათლებელი ხალხის იმედად, შეიგნოს ეს, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ!» 7



## რეზო გაბრიაძე — 80 14



დავით ნემსაძე: 5

## ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკის იმჟამინდელმა ელჩმა საქართველოში



პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განა სახელისუფლო სტრუქტურები (განსაკუთრებით — ძალოვანი უწყებები) „ნაცმოძრაობის“ ყოფილი თუ მოქმედი წევრებით არ არის სავსე? განა კორცხელში გამართულ შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ მოქმედი წევრი(!) არ დაასახელა თავის კანდიდატად? განა კორცხელშიც იმავე მეთოდით, ცემა-ტყეპით, არ ჩატარდა არჩევნები, როგორ მეთოდებსაც თავის დროზე „ნაცმოძრაობა“ იყენებდა?**

# ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი — მითები და რეალობა

**30 მაისს ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომელშიც განვლილი 4 წელიწადი შეაჯამა. მმართველი გუნდის საქმიანობა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და სამომავლო გეგმები, ქვეყნისა და მსოფლიოს წინაშე არსებული გამოწვევები, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობა და ერებს შორის ურთიერთობა — აი ძირითადი საკითხები, რომლებზეც წერილში ყურადღებაა გამახვილებული.**



ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა საზოგადოების წარმომადგენელთა შორის არაერთგვარი შეფასებები გამოიწვია, უფრო მეტიც — ურთიერთგამომრიცხავი. ერთნი მიიჩნევენ, რომ ივანიშვილის წერილში ტყუილებისა და ტრაბახის მორიგი კასკადი იყო. მეორენი, ძირითადად, „ქართული ოცნების“ წევრები ბიძინა ივანიშვილს ხოტბას ასხამენ და ამბობენ, რომ ეს იყო ყველაზე იმედიანი, ობიექტური და სწორი შეფასება; პარლამენტის ვიცესპიკერ მანანა კობახიძეს კი „ივანიშვილის წერილმა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა გაახსენა“.

**ამ საკმაოდ ვრცელ წერილში ბევრი საკამათო პასაჟია, მაგრამ ყურადღებას მხოლოდ რამდენიმეზე გავამახვილებთ:**

ბიძინა ივანიშვილი წერილის იმ ნაწილში („სად ვიყავით“), რომელშიც მოჰყავს ნაწყვეტები 2011 წლის 7 ოქტომბერს გამოქვეყნებული მიმართვიდან, აღნიშნავს:

*** „საგადასახადოს, პროკურატურისა და სასამართლოს გამოყენებით ქართულ ბიზნესზე ისეთი გაუგონარი ძალადობა განხორციელდა, რომ საქართველოში, პრაქტიკულად, თავისუფალი ბიზნესი აღარ არსებობს... ერთ დიდ ციხედ გადაქცეული მთელი ქვეყანა, ასეულობით ათასი პატიმარი და პრობაციონერი იმას ნიშნავდა, რომ ლამის მთელი მოსახლეობა პატიმრების ჭირისუფლად იყო ქცეული და ციხის კარს შეჰყურებდა. ტოტალური მოსმენები, თვალთვალი, ფარული გადაცემები, დასმენა და შანტაჟი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა.**

**ვისაც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას შეატყობდნენ, სამსახურებიდან აგდებდნენ, ქონებას ართმევდნენ, ცემდნენ, აპატიმრებდნენ, ციხეში სასტიკად აწამებდნენ და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, კლავდნენ კიდეც. ორმაგი სტანდარტით მართავდნენ ქვეყანას — სინამდვილეში სულს ხდიდნენ ადამიანებს, სხვების დასანახად კი დემოკრატიის შუქურად მოჰქონდათ თავი“.**

დიახ, მართლა ასე იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და სწორედ ამ ჯალათი რეჟიმის თავიდან მოსაშორებლად და სამართლიანობის აღსადგენად დაუჭირა მხარი საქართველოს მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას“, იმედით, რომ ადამიანებს წართმეულ ბიზნესს დაუბრუნებდით, მკვლელებსა და მწამებლებს კი სათანადოდ დასჯიდით, მაგრამ მოხდა ასე? მხოლოდ შს ყოფილი მინისტრი **ვანო მერაბიშვილი** და თბილისის ექსმერი **გიგი უგულავა** არიან დამნაშავენი 2003-2012 წლებში ქართველი ხალხის თავზე დატრიალებულ უბედურებებში? განა დამნაშავე ნაციონალებთან კოაბიტაციის გამო დაუჭირა მხარი ამომრჩეველმა „ქართულ ოცნებას“ და პირადად ბიძინა ივანიშვილს? ხომ ცხადია, რომ სწორედ ე.წ. კოაბიტაციის შედეგად აღზევდა „ნაციონალური მოძრაობა“ და ახლა ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციის „დაუსჯელობის სინდრომით“ გათამამებული წევრები საქართველოს მოსახლეობას ხელისუფლების სათავეში დაბრუნებით ემუქრებიან. განა სახელისუფლო სტრუქტურები (განსაკუთრებით — ძალოვანი უწყებები) „ნაცმოძრაობის“ ყოფილი თუ მოქმედი წევრებით არ არის სავსე? განა კორცხელში გამართულ შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ მოქმედი წევრი(!) არ დაასახელა თავის კანდიდატად? განა კორცხელშიც ისეთივე მეთოდით, ცემა-ტყეპით, არ ჩატარდა არჩევნები, როგორ მეთოდებსაც თავის დროზე „ნაცმოძრაობა“ იყენებდა?

*** „ამ ოთხ წელიწადში ჩავატარეთ სამაგალითო — 2013 წლის საპრეზიდენტო და 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნები და ბოლო მოვუღეთ მოქალაქეებისთვის ხმების მოპარვის დანაშაულებრივ პრაქტიკას“.**

ამ ფრაზის წერისას ბატონ ბიძინას, ალბათ, არ გაახსენდა 2015 წლის ოქტომბერში საგარეჯოში გამართული შუალედური არჩევნები, როდესაც თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა სამინისტროს რესურსი გამოიყენა და რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელ თამარ ხიდაშელს პარლამენტის დეპუტატობა გაუკვარახჭინა.

განა სხვას რას აკეთებდნენ არჩევნების გაყალბებაში დაოსტატებული ნაციონალები?! განა ეს არ არის იმ რეჟიმის მეთოდების გამოყენება, რომლებსაც გმობდით 2011 წლის წერილში?!

***„ისინი ღიად ქადაგებდნენ ქართველი კაცის ძირისძირობამდე გარდაქმნასა და რაღაც „ახალი ადამიანის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ, რაც სინამდვილეში ადამიანებისთვის ტვინის გამორეცხვას და ყველაფრის მკადრებელ ზომბებად გაწვრთნას ნიშნავდა. ისინი არავის ინდობდნენ, ვისი ავტორიტეტიც ამ მიზნის განხორციელებაში ხელს უშლიდათ და ამიტომ ებრძოდნენ ასე თავგამოდებით პატრიარქსაც და მთლიანად ეკლესიას“.**

და რა, შეწყდა ბრძოლა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის წინააღმდეგ? შეწყდა შეურაცხყოფა პატრიარქისა მართლმადიდებელთა რელიგიური გრძნობებისა? განა პარლამენტის მიერ ერთხმად მიღებული ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი ან ლგბტ-აქტივისტების მიერ საპატრიარქოს გალავნის შეღებვა ერის შეურაცხყოფა არ არის?

სოციალურ ქსელებს თავი რომ დავანებოთ, მედიასაშუალებები გადაჭედილია საქართველოს პატრიარქისა და, საერთოდ, მართლმადიდებლობის ლანძღვა-გინებით ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებსაც ფულს სწორედ ყოველივე ქართულისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ობსკურანტიზმის გადმონაშთად წარმოჩენაში უხდიან.

*** „2011 წელს მე ჩემს თანამოქალაქეებს დავპირდი, რომ, — წერს ბიძინა ივანიშვილი, — პერსპექტიულს გავხდიდით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენას.**

**დავიწყებდით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, გავაღრმავებდით აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობასა და ინტეგრაციას“.**

ამ დაპირებებიდან, აშშ-სა და ევროკავშირთან მდგომარეობის „გაღრმავების“ გარდა, რაც თბილისში ბიოლოგიური ლაბორატორიის, ე.წ. საწვრთნელი ცენტრის მოდერნიზაციასა და „ვიზალიბერალიზაციაში“ გამოიხატა, არაფერი გაკეთებულა. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი (რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე ლაპარაკი აღარ არის) ამჟამინდელი ხელისუფლება საერთოდ აღარ ახსენებს.

*** „2013-2016 წლებში (2016 წლის პროგნოზის გათვალისწინებით) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 62%-ით მეტია, ვიდრე 2009-2012 წლებში... მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კონკურენტუნარიანობის გლობალურ რეიტინგში 2006-2007 წლებში 87-ე ადგილზე ვიყავით, 2011-2012 წლებში 88-ზე აღმოვჩნდით, ხოლო 2015-2016 წლებში 66-ე ადგილზე გადავინაცვლეთ და ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანას გადავუსწარით...**

**სავალუტო ფონდის მიმდინარე წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, საქართველოში 2016 წელს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი პირველად გადააჭარბებს 10 000 საერთაშორისო დოლარს, რაც 25%-ით აღემატება 2012 წლის დონეს. იმავე კვლევის მიხედვით, 2017-2021 წლებში საქართველოს ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 46,4%-ით გაიზრდება“.**

ამ (და სხვა) არნახული მიღწევების წაკითხვის შემდეგ კაცი უნებლიეთ იფიქრებ, რომ ბატონი ბიძინა სხვა პლანეტაზე, სხვა ქვეყანაში ცხოვრობს ან კიდევ მითებს გვიყვება, რადგან რეალობა სხვაა — საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე, ლარი გაუფასურებულია, ხოლო პენსიები — სასაცილო... ქვეყანაში, საიდანაც მილიონზე მეტი ადამიანი ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთშია გადახვეწილი და ბევრი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, ნაგავში იქექება, რომელ ეკონომიკურ წარმატებაზეა ლაპარაკი?!

**ყველაფრის მიუხედავად, ბიძინა ივანიშვილის წერილში არის მონაკვეთი, რომლის არსიც მისაღებია. როგორც ჩანს, ივანიშვილის ზოგიერთი მრჩეველი კითხულობს და ჯეროვნად აანალიზებს გონივრულ წინადადებებს. ალბათ, ამით აიხსნება ივანიშვილის წერილში რიგი მონაკვეთების ასეთი მსგავსება იმასთან, რაზეც „საქართველო და მსოფლიო“ წლების წინათ წერდა — ეს არის საქართველოს ადგილი რეგიონში და საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი.**

**აი რას ამბობდა 2013 წლის ივნისში „საქართველო და მსოფლიოსთვის“ მიცემულ ინტერვიუში ცნობილი პოლიტოლოგი ალექსანდრე ჭაჭია:**

„მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა შეუდგეს რეგიონში იმ როლის შესრულებას, რომელიც ისტორიულად განპირობებულია მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით, ბუნებრივი პირობებით, მოსახლეობის ეროვნული და კონფესიური შემადგენლობით, ქართველი ხალხის, როგორც სახელმწიფოს წარმომქმნელი ერის მენტალიტეტით. საქართველო მდებარეობს დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიჯნაზე, ცივილიზაციების გზაჯვარედინზე, ქრისტიანობისა და ისლამის შეხების ადგილას, მეტიც, ქრისტიანობის ძირითადი განშტოებების — მართლმადიდებლობის, კათოლიკობის, გრიგორიანობისა და ასევე ისლამის ძირითადი განშტოებების — სუნიტებისა და შიიტების შეხების ადგილას. აქვე ისტორიულად არსებობს იუდაიზმი, ასევე ქურთების, იეზიდების, ასირიელებისა და მთელი რიგი ხალხების რელიგიები. და მიუხედავად ამისა, ისტორიას არ ახსოვს, რომ საქართველოში რელიგიური უთანხმოების ნიადაგზე მომხდარიყოს სერიოზული შეტაკება, მით უფრო რელიგიური ომები. ამიტომ საქართველო, ღვთისა და ისტორიის ნებით, წარმოადგენს ბუნებრივ მოედანს კონფესიათაშორისი, ეროვნებათაშორისი, ცივილიზაციათაშორისი ურთიეთობების შესწავლისთვის, ანუ თანამედროვე მსოფლიოში ადამიანური თანაარსებობის ამ ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების შესამეცნებლად. მართალია, შევარდნაძემ და სააკაშვილმა საკუთარ მოსახლეობასთან ომის გაჩაღებით, რამაც ეთნოკონფლიქტების სახე მიიღო, უდავოდ სერიოზულად შელახეს საქართველოსა და ქართველების რეპუტაცია, მაგრამ, ვფიქრობ, საკითხის გონივრული დასმით ეს გამოცდილებაც შეიძლება ვაქციოთ კვლევის საგნად, როგორც, მაგალითად, ავანტიურისტი ხელისუფლების ვოლუნტარისტული ჩარევა ხალხების ბუნებრივად მიმდინარე თანაცხოვრებაში.

**იდეალურ შემთხვევაში, საქართველო შეიძლება იქცეს დემილიტარიზირებულ ქვეყნად, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების შემსწავლელ ლაბორატორიად, რეგიონში წამოჭრილი სერიოზული საკითხების დასარეგულირებლად საერთაშორისო შეხვედრების ადგილად, სადაც მთელი რიგი მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუტებისა განთავსდება.** სწორედ სხვადასხვა ხალხებთან და რელიგიებთან მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრების გამოცდილების გამო საქართველოს შეუძლია დიალოგების არენად იქცეს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა თურქულ-ქურთული, სომხურ-აზერბაიჯანული, ირანულ-თურქული, ირანულ-აზერბაიჯანული, თურქულ-სომხური პრობლემები, რამეთუ საქართველოში თითოეული მხარე დაინახავს მონათესავე გარემოს უკონფლიქტო თანაცხოვრების ჩვეულებრივი გამოცდილებით. მსგავსი საქმიანობისთვის უზარმაზარი პერსპექტივები არის ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებით ჩვენ შევძლებდით მათ არსებით დახმარებას პრობლემების დარეგულირებაში, რომლებიც მუდმივად წარმოიშობა ხოლმე საქართველოსთან ისტორიულად მრავალი ძაფით დაკავშირებულ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს შორის. საქართველოს აქვს ყველა წინაპირობა, რომ მსოფლიო რელიგიურ კონფესიათა შორის დია- ▶

# განა ასევე არ მოგვიწოდებდით, თან დაჟინებით და ჯიუტად, ამ რამდენიმე წლის წინათ, მხარი დაგვეჭირა რესპუბლიკელებისთვის, ალასანიასთვის, მარგველაშვილისთვის? სად არიან დღეს ისინი, ვის ინტერესებს იცავენ?

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლოგის ადგილი გახდეს. ასეთი როლი — ჟენევის როლი ჩვენს რეგიონში — უზრუნველყოფდა საქართველოს საჭიროებას ყველა მეზობელი სახელმწიფოსთვის, შესძენდა მას პატივისცემას და შეუქმნიდა ავტორიტეტს რეგიონის ხალხებში, რაც თავისთავად უზრუნველყოფდა ჩვენს უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციის შეძენა გამოიწვევდა ქვეყანაში სოლიდური ფინანსური სახსრების მოზიდვას, მოახდენდა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას, კვლევითი მუშაობის სტიმულირებას ისტორიის, რელიგიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და სხვა დარგებში... ამასთანავე, საქართველოს თავისუფლად შეუძლია, იქცეს საერთაშორისო მნიშვნელობის სამედიცინო-სარეაბილიტაციო ცენტრად მაღალი კლასის კლინიკებითა და სანატორიული ბაზით. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია გახდეს მეზობელი ხალხებისთვის მათი კულტურული მიღწევების დემონსტრირების ადგილი: აქ შესაძლებელია საერთაშორისო თეატრალური და კინოფესტივალების, სამხატვრო გამოფენების, მუსიკალურ ღონისძიებათა ჩატარება; ჩვენ ხომ გვქონდა ამის გამოცდილება, უბრალოდ, საჭიროა, აღვადგინოთ და გავაღრმაოთ იგი.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა პერიოდში არსებობდა ქართული მათემატიკური სკოლა, ქართული ფსიქოლოგიური სკოლა. ბევრ ერს არ შეუძლია მოიწონოს თავი ეროვნული სამეცნიერო სკოლებით. გონივრული მიდგომით ყველაფერ ამის აღორძინება შეიძლება, ყველაფერი ეს მოთხოვნადია თანამედროვე მსოფლიოში, ყოველივე ეს საქართველოს მოუტანს პოზიტიური, ეფექტურად განვითარებადი ქვეყნის სახელს, ხოლო ქართველებს — თანამედროვე, ინტელექტუალური ერის რეპუტაციას, რომელიც ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით მეცნიერებასა და კულტურას ავითარებს.

მე ვოცნებობდი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენ სწორედ ასეთ საქართველოს ავაშენებდით. **სწორედ ასეთ მოდელს ვთავაზობდი 90-იან წლებში და იმედი მქონდა, რომ შევარდნაძე, თავისი საერთაშორისო გამოცდილებიდან და მაშინდელი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამ გზით წავიდოდა, მაგრამ მან საგარეო დიქტატისადმი მორჩილება, ქვეყნის დეინდუსტრალიზაცია, სამეგრელოს აოხრება და გაძარცვა, აფხაზეთში ძმათაკვლა ამჯობინა. სააკაშვილმა კი გააგრძელა თავისი სულიერი მამის მოღვაწეობა. საქართველო დაიქცა, მისი განვითარება შეჩერდა, დაიწყო დეგრადაციის პროცესი. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ,** მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი. დარწმუნებული ვარ, სწორედ ასეთი უნდა იყოს „ქართული ოცნება“.

**ეს კი ამონარიდია ბიძინა ივანიშვილის 2016 წლის 30 მაისის წერილიდან, რომელიც, ფაქტობრივად, იმეორებს ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას:**

„ყველა ერს აქვს რაღაც განსაკუთრებული თვისება, გამორჩეული შესაძლებლობა, რომლის მეოხებითაც იგი წარმატებას აღწევს. ეს შეიძლება იყოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, ბუნებრივი წიაღისეული, ადამიანური რესურსი, შრომისმოყვარეობა, ტექნოლოგიური მიღწევები და ა.შ. საქართველოსთვის ასეთ საყრდენ ფენომენად მესახება მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურა და ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე დიდ იმპერიებს შორის ცხოვრების უნიკალური გამოცდილება, რომლის წყალობითაც თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და პროგრესისკენ სწრაფვის უნარ-ჩვევები ლამის გენეტიკურ კოდში გვაქვს ჩაწერილი...

კომპრომისის ძიება, როცა საჭიროა — დათმობა, როცა საჭიროა — მტკიცედ დგომა ჩვენი ცხოვრების წესად და გეოპოლიტიკურ ლაბირინთებში საიმედო გზამკვლევად იქცა. ამის თვალსაჩინო გამოხატულებაა თბილისის ისტორიულ ცენტრში გვერდიგვერდ მდგარი ტაძრები, რომლებიც ოთხ დიდ რელიგიას — ქრისტიანობას, ისლამს, იუდაიზმსა და ზოროასტრიზმს განასახიერებენ და ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ქვეყანას აძლიერებენ. საქართველოში გვაქვს სკოლები, რომლებშიც ქრისტიანი და მუსლიმი ბავშვები ერთად სწავლობენ, გვერდიგვერდ ლოცულობენ და განსხვავებული სარწმუნოება უფრო საინტერესოს ხდის მათ ურთიერთობას. ჩვენი ხასიათისთვის სრულიად უცხოა და მიუღებელი სხვისი სიწმინდეების შეურაცხყოფა, რელიგიური შეუწყნარებლობა და ადამიანის ეთნიკური ნიშნით დამცირება. ამ მხრივ საქართველო არის სხვადასხვა ეთნოსის თუ რელიგიური ჯგუფის მეგობრულად და კეთილგანწყობით თანაარსებობის მისაბაძი მოდელი. კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ მცდელობები, თავს მოგვახვიონ პოლიტიკური თუ რელიგიური რადიკალიზმი, აგრესია განსხვავებული აზრისა თუ ცხოვრების წესის გამო, განადგურებით ემუქრება ჩვენი არსებობის საფუძვლებს. ამიტომ ნებისმიერი ასეთი გამოვლინების მიმართ განსაკუთრებული სიფხიზლე და შეურიგებლობა გვმართებს. სწორედ გულწრფელი ტოლერანტობა წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოში არსებული ბევრი მწვავე პრობლემის გასაღებს და იმ ოქროს საწმისს, რომლითაც ჩვენ საინტერესონი გამოვჩნდებით მსოფლიოსთვის.

ნამდვილად შეგვიძლია, რომ ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო ძალიან მალე გადავაქციოთ კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად, რომლის მოდელიც არის ძველი თბილისი და რისი გამოცდილებაც ათეულობით საუკუნის განმავლობაში გამოვიმუშავეთ...

ჩვენი სტრატეგიული კაპიტალია გეოპოლიტიკური მდებარეობა და კულტურათა მშვიდობიანად შეხვედრისა და ჰარმონიული თანაარსებობის გამოცდილება. ავტორიტარიზმში დაბრუნება ჩვენთვის, მხოლოდ პოლიტიკური კი არა, კულტურული და მენტალური ტრაგედიაც იქნება, ვინაიდან ავტორიტარიზმი ძალადობას ეფუძნება, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური, რელიგიური და საზოგადოებრივი მრავალფეროვნება და ნულოვან ტოლერანტიზმს ამკვიდრებს.

ნულოვან ტოლერანტობასა და ავტორიტარიზმში დაბრუნება გამოიწვევს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა, კულტურათა მშვიდობიანი გზაშესაყარის ნაცვლად, ცივილიზაციათა გზაგასაყარად და ინტერესთა შეჯახების პოლიგონად გადაიქცევა, რაც დაგვანგრევს და განვითარების ყოველგვარ პერსპექტივას მოგვისპობს“...

**შეძლებს თუ არა ამ დაპირების შესრულებას ბიძინა ივანიშვილი, მალე დავინახავთ, თუმცა ჯერ მისმა გუნდმა საპარლამენტო არჩევნებში უნდა გაიმარჯვოს, თანაც დიდი უპირატესობით და ხელისუფლების სათავეში მოიყვანოს ეროვნული ძალები და არა პროდასავლურ-ანტიქართული, როგორც ეს გააკეთა 2014 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც „ქართულ ოცნებას“ „ნაცმოძრაობიდან“ „გადაპორტირებული“ პირები, რესპუბლიკელები და ალასანიას პარტიის წარმომადგენლები მიაბა.**

საერთოდ, რჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი ამ წერილს წერდა არა როგორც საქართველოს მოქალაქე, რომელმაც უნდა, გაიაზროს საკუთარი, ტერიტორიებდაკარგული, კატასტროფის პირას მყოფი კავკასიური ქვეყნის, რეგიონის, უშუალო სამეზობლოს რეალობა, არამედ, როგორც, მაგალითად, რომელიმე ბალკანური სახელმწიფოს წარმომადგენელი.

„ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველოს კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად ძალიან მალე გადაქცევაზე“ საუბრისას ის არაფერს ამბობს ჩვენი უშუალო მეზობლების — თურქეთის, რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ირანის, იმიერკავკასიის რესპუბლიკების ფაქტორზე, მათ ინტერესებთან ჩვენი ინტერესების თანხვედრის აუცილებლობაზე და ისე გატაცებით საუბრობს „საქართველოს ევროპულ გზაზე“, თითქოს ჩვენი უშუალო მეზობლები გერმანია, ლიხტენშტეინი ან საფრანგეთი იყვნენ და არა თურქეთი, ირანი და რუსეთი. იგი არათუ არ აცნობიერებს იმას, რომ საქართველო არის არა ცენტრალურ ევროპაში, არამედ შუაგულ კავკასიაში, თანაც ფრიად სახიფათო გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი დანაწევრებული ქვეყანა, არამედ უფრო მეტიც — საერთოდ გვერდს უვლის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებსა და ამისთვის სასწრაფოდ განსახორციელებელ ღონისძიებათა თემას. თანაც გაუგებარია — ახლა რომ გაახსენდათ მას და მის მრჩევლებს „საქართველოს კულტურათა და ცივილიზაციათა თავშეყრისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ადგილად გადაქცევა“, ვინ დაუშალა ამ საშური საქმისა და იდეის წლების წინათ, ანუ მაშინვე გაზიარება, როდესაც ასეთი შეთავაზება მისმა გუნდმა ალექსანდრე ჭაჭიასგან საჯაროდ მიიღო?

თავის წერილში ივანიშვილს, ასევე, ავიწყდება, რომ საქართველოს სულიერ-ზნეობრივი დეგრადაცია აქტიურ ფაზაშია შესული; რომ მიმდინარეობს დაუფარავი შეტევა მართლმადიდებლობაზე; რომ ხდება გარყვნილების დანერგვა-პროპაგანდა; ერის, როგორც სოციო-კულტურული ფენომენის გადაგვარება და კვლავ აქებს კოალიციას, რომელიც შექმნა... შეგახსენებთ, ეს ის კოალიციაა, რომელიც მეტწილად ზემოჩამოთვლილ უბედურებებში ხშირად „ნაციონალურ მოძრაობაზე“ მეტად ჩართული რესპუბლიკელებისა და ალასანიას პარტიისგან თუ სააკაშვილის ბანდის სხვა ოდიოზური თანამზრახველებისგან შედგებოდა... ივანიშვილი მოგვიწოდებს, კვლავ დავუჭიროთ მხარი „ქართულ ოცნებას“ — პრემიერ კვირიკაშვილის „გამოცდილ გუნდს“... ვის, ბატონო ბიძინა, რესპუბლიკურ პარტიას, „ოცნებაში“ პორტირებულ სხვა ნაცებსა და მათ დესანტს თუ ბატონ კოლუაშვილს, რომელსაც, ლამისაა, ენა გაუცვდეს სააკაშვილის რეჟიმის ჯალათების ქება-დიდებაში? იქნებ მარგველალაშვილს ან ენამჭევრ ზაქარეიშვილს, ან შეუდარებელ ხიდაშელს უნდა დავუჭიროთ მხარი? განა ასევე არ მოგვიწოდებდით, თან დაჟინებით და ჯიუტად, ამ რამდენიმე წლის წინათ, მხარი დაგვეჭირა რესპუბლიკელებისთვის, ალასანიასთვის, მარგველაშვილისთვის? სად არიან დღეს ისინი, ვის ინტერესებს იცავენ?

თქვენ თავს იწონებთ, რომ, ნაციონალების ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქვეყანა მათგან დაქცევას გადავარჩინეთო. ვინ, თუ არა თქვენ, აიძულეთ ქართველი ხალხი, შერიგებოდა თავსმოხვეულ კოაბიტაციას დამნაშავეებთან? ახლა შეიძლება ამის აღიარება გეუხერხულოთ, მაგრამ სწორედ თქვენ იყავით კოაბიტაციის ავანგარდში, როდესაც ადეიშვილის „კარგ მენეჯერობას“ მისტიროდით, თინა ხიდაშელი კი იქამდე გაკადნიერდა, რომ განაცხადა, კოაბიტაცია ქართველმა ხალხმა დაგვავალაო.

საქართველოს მიმართ ამერიკელების სქემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი ის არის, რომ ცდილობენ, წარმოაჩინონ, თითქოს ჩვენთან არსებობს ორი ალტერნატიული პოლიტიკური ძალა — „ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. არადა, სინამდვილეში, როგორც დრომ აჩვენა, ეს ერთი და იმავე მსოფლმხედველობის ძალებია. ქვეყანაში რეალურად არ არსებობს ალტერნატიული მსოფლმხედველობის გამტარებელი პოლიტიკური ძალა, რაც კიდევ ერთხელ აძლევს ივანიშვილსა და „ოცნებას“ კრედიტს — ამომრჩევლის მხადრაჭერის თამასუქს.

არჩევანი მარტივია — ხმა უნდა მივცეთ ან „ოცნებას“, ან ხელისუფლებაში მოვლენ „ნაცები“. გარეწრები ხმას „ნაცმოძრაობას“ მაინც მისცემენ, მაგრამ ეს იქნება ხმების არცთუ დიდი რაოდენობა. ივანიშვილიც და ამომრჩეველიც ხვდებიან, რომ ამ არჩევნებზე, „ოცნების“ არჩევის გარდა, სხვა ალტერნატივა, თუ არა „ნაცბანდის“ ხელისუფლებაში დაბრუნება, არ გვაქვს. ასე რომ, რა თქმა უნდა, ჩვენი ხმა — „ქართულ ოცნებას“!

იმედი ვიქონიოთ, რომ ივანიშვილი და „ოცნება“ მომავალ ოთხ წელიწადს მაინც გამოიყენებენ გონივრულად და ბოლომდე უსარგებლოდ არ ამოწურავენ ამომრჩევლის ნდობის კრედიტს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**


2 | 12 — 18 ივნისი, 2013 წელი. №21 (208)

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ევროპული ერები, ფაქტობრივად, მთავარი ზნეობრივი ორიენტირის — ქრისტიანული მორალის გარეშე დარჩნენ. რათა, არ დააკარგონ ადამიანური სახე, არ გადაიქცნენ პირუტყვებად, ბევრი იღებს დღეს ისლამს. მასობრივად გადადიან ისლამზე ეთნიკური ინგლისელები, ფრანგები, ჰოლანდიელები, გერმანელები. მათ ამ რელიგიაში იზიდავს სექსუალური გარყვნილებების კატეგორიული უარყოფა, ოჯახის კულტი, ტრადიციების პატივისცემა, ბავშვების მაღალზნეობრივი აღზრდა. ნორმალური ხალხი ხედავს, რომ მხოლოდ ასეთ ღირებულებებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი ადამიანის, ოჯახის, ერის შენარჩუნება.“

ალექსანდრე ჭაჭია:

ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ გვაქვს შანსი, ავაშენოთ ისეთი საქართველო, როგორზეც ვოცნებობდი...

„საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუს მესამე, დასკვნით ნაწილს.

«დიპლომატია და არა არმია შეიძლება გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი»

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ სურთ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა აწამოს, გააუპატიუროს და მოკლას მათი შვილები, „ყოველი შემთხვევისთვის“ შეიძლება „დემოკრატიის დამცველთა“ (სახელწოდებას მნიშვნელობა არ აქვს) რაზმების ფორმირება დაიწყონ, რათა „ნაცმაიდანს“ წინ აღუდგნენ. ეს კი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ წაგვიყვანს, რომელიც, გარკვეულ პირობებში, შეიძლება ომშიც კი გადაიზარდოს.**

# გამონაცეხბული ოცნება და ავტოგოლი კორცხელში

**მეორე კვირაა, არ წყდება მსჯელობა კორცხელის ინციდენტზე. მან ლაკმუსის ქაღალდის, უტყუარი ინდიკატორის როლი შეასრულა და გვიჩვენა, რომ „ქართული ოცნების“ საქმე გაცილებით ცუდადაა, ვიდრე გვეგონა.**




დღეს კორცხელის არჩევნებთან დაკავშირებული სიტუაცია ხშირად განიხილება გამარტივებული ბიპოლარული სქემის ფარგლებში — ერთ მხარეს „ქართული ოცნება“, **კახი კალაძე** და სპორტსმენები არიან; მეორე მხარეს კი — „ნაციონალური მოძრაობა“, **გიგა ბოკერია** და მისი ზონდერბრიგადა თუ აინზაცჯგუფი. დეპუტატების კანდიდატებმა მეორე პლანზე გადაინაცვლეს, მათ იშვიათად ახსენებენ და ეს საგულისხმოა.

კახი კალაძეს, სავარაუდოდ, ხელს აძლევს, რომ აუდიტორია ყოვლისმომცველ ორპარტიულ დაპირისპირებაზე გადაერთოს და, რაც შეიძლება მალე დაივიწყოს ამირან ლაგვილავას სახელი და კორცხელის არჩევნების სხვა დეტალები; არადა, ეშმაკი სწორედ ამ დეტალებშია.

**მას შემდეგ, რაც კალაძემ კორცხელში „ოცნების“ კანდიდატი წარადგინა, გაირკვა, რომ ლაგვილავა „ნაცმოძრაობასთან“ მჭიდროდ თანამშრომლობს. ადგილობრივებმა ეს ისედაც იცოდნენ, მაგრამ სხვებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. 25 აპრილს ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა მიქაიამ ჟურნალისტებს ლაგვილავას პარტბილეთი წარუდგინა, რომლის გაცემის თარიღი 2013 წლის 21 მარტია.** „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლებმა **თენგიზ გუნავამ** და **ბართლომე შელიამ** დაადასტურეს, რომ ლაგვილავა ნამდვილად მათი პარტიის წევრია. გუნავამ ხაზი გაუსვა იმას, რომ **ლაგვილავა საკრებულოს დეპუტატი ორჯერ სწორედ „ნაცმოძრობის“ სიით გახდა. ფიგურანტმა ყოველივე ამის პასუხად განაცხადა, რომ პარტიაში მის დაუკითხავად გააწევრეს(?!). რაც შეეხება მის „ღირსების ორდენს“, ლაგვილავას აზრით, მიხეილ სააკაშვილმა იმიტომ დააჯილდოვა, რომ რვა წელი ემსახურებოდა მთავრობას და პარტიას.** და ბოლო შტრიხი — „მიქაიას ინფორმაციით, ამირან ლაგვილავას კანდიდატად დასახელება პარტიის ზუგდიდის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ედიშერ თოლორაიას „ნაცმოძრაობის“ ლიდერმა თენგიზ გუნავამ და კუდ-ის ზუგდიდის განყოფილების ყოფილმა უფროსმა რუსლან შამახიამ მოსთხოვეს“ „ინტერპრესნიუსი“).

თუ ვინმეს სურს, გაიგოს, რა არის ნამდვილი პოლიტიკური შიზოფრენია ყოველგვარი მინარევების გარეშე, წინარე აბზაცი, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა გადაიკითხოს. ფაქტია, **„ოცნებამ“ კორცხელში თავის კანდიდატად სულით ხორცამდე ნაციონალი წარადგინა.**

როგორ განვითარდებოდა მოვლენები, თუ კორცხელში არავინ იჩხუბებდა? „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები დაიწყებდნენ იმის გარკვევას, რატომ დამარცხდა მათი პარტიის კანდიდატი, ლაგვილავას ბიოგრაფიას კიდევ ერთხელ გადაიკითხავდნენ და, უპირველესად, ალბათ, კალაძეს დაუპირისპირდებოდნენ. ჩხუბმა ეს საფრთხე გაანეიტრალა და სააკაშვილის მოწინააღმდეგეებს წაართვა შესაძლებლობა, კალაძისთვის ბრალდება წაეყენებინათ, რადგან ახალ დაპირისპირებაში ის, სპორტსმენთა ჯგუფთან ერთად, მათი „ფალავანი“ გახდა. ისინი იძულებულნი შეიქნენ, მისთვის ეგულშემატკივრათ ან, სულ ცოტა, რთულ ვითარებაში საჯაროდ არ გაეკრიტიკებინათ. შეიძლება ითქვას, რომ **ჩხუბი კორცხელში კალაძისთვის ერთგვარ სამაშველო რგოლად იქცა. ამ გარემოების გააზრებიდან ორიოდე ნაბიჯი რჩება შემდეგ ფორმულირებამდე – ჩხუბი ხელს აძლევდა კალაძეს, ისევე, როგორც ბოკერიას.**

ცხადია, ლაგვილავას გამარჯვების შემთხვევაში, ყურადღების გადატანა საჭირო არ იქნებოდა, მაგრამ, როგორც ადგილობრივები, ისე ნიუანსებში ჩახედული სპეციალისტები, ირწმუნებიან, რომ ის რბოლის ფავორიტად ნამდვილად არ განიხილებოდა და გასაკვირია, ამდენი ხმა როგორ დააგროვა. ნებისმიერ შემთხვევაში, გამარჯვების გარანტია არ არსებობდა, შესაბამისად, „სამაშველო რგოლით“ სარგებლობის ცდუნებაც დიდი იყო.

შესაძლოა, ეს ისტორია გაცილებით ბინძურია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. „ნაციონალებმა“, მათი კანდიდატის გამარჯვების გარდა (რაც ამ პარტიისთვის, ამდენი მარცხის შემდეგ, ფსიქოლოგიურად ძალზე მნიშვნელოვანი იყო), რამდენიმე დამატებითი ბონუსი მიიღეს. **არაადამიანური რეჟიმის მსახურები, რომელთა სინდისზეა 7 ნოემბრისა და 26 მაისის სადისტური დარბევები, უამრავი ქართველის წამება და მკვლელობა, დღეს უმანკო მსხვერპლის როლს ირგებენ. მათ დასავლელ პარტნიორებს შესაძლებლობა მიეცათ, საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციის მჩაგვრელ მოძალადედ წარმოაჩინონ.** რიგმა პარტიებმა და არასამთავრობოებმა ამა თუ იმ ფორმით „ნაციონალების“ მიმართ თანაგრძნობა გამოხატეს, რაც მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური ბლოკადის გარღვევის კონტექსტში, რომელშიც თავის დროზე „ნაცმოძრაობა“ ბიძინა ივანიშვილმა მოაქცია. იქ, სადაც დღეს შესაძლებელია თანაგრძნობა, ხვალ ალიანსიც არ უნდა გამოვრიცხოთ. **„ნაციონალების“ მთავარ დამცველებად რესპუბლიკელები მოგვევლინენ. ითხოვდნენ თუ არა ისინი ოდესმე ასეთი მონდომებით სააკაშვილის ზონდერების დასჯას?** თუმცა ამას თავი დავანებოთ, ეს სუბიექტური შეფასების სფეროა, მთავარი ის არის, რომ **დავით უსუფაშვილმა** კოლეგებს მოუწოდა, შეიმუშავონ კანონი, რომელიც ზონდერების გამოყენებას შეზღუდავს, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში, რომლის თანახმად პოლიტიკურ და საარჩევნო პროცესებში ძალადობის გამოვლინებაზე ჯგუფური დანაშაულის შემთხვევაში სანქცია 4 წლამდე პატიმრობა იქნება, ხოლო, თუ პირს ფიზიკური დაზიანება არ მიუღია, გათვალისწინებული იქნება ჯარიმა ან/და ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ეს კორცხელში მომხდარი ჩხუბის პირდაპირი შედეგია.

ძალადობის აღკვეთა, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. 2012-ში ის სააკაშვილის ოპონენტების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა. ალბათ, საინტერესო იქნება იმის პროგნოზირება, ვის წინააღმდეგ იმუშავებს ახალი ნორმა ახლო მომავალში. **თუ ოქტომბერში „ქართული ოცნება“ მოიქცევა ისევე უცნაურად, როგორც კორცხელის ინციდენტის შემთხვევაში (იგულისხმება მთელი პროცესი თავიდან ბოლომდე), „ნაციონალები“ „მაიდანს“ ააგორებენ და რაღაც მომენტში, ხელისუფლების უნიათობიდან გამომდინარე, შეიძლება წარმატებას მიუახლოვდნენ.** ასეთ სიტუაციაში სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაციის მოწინააღმდეგეებს არ დარჩებათ სხვა ვარიანტი, გარდა იმისა, რომ ქუჩაში გამოვიდნენ და „ვარდების რევოლუცია 2“-ს გზა ფიზიკურად გადაუღობონ. ახალი კანონი სწორედ მათ წინააღმდეგ იმუშავებს. მართალია, ზოგი ამას ყურადღებას არ მიაქცევს და ქუჩაში მაინც გამოვა, მაგრამ ზოგი შეიძლება სერიოზულად დაფიქრდეს — უღირს კი ამის გაკეთება. საბოლოო ჯამში, **ეს ახალი ნორმა წყალს „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე დაასხამს და მას „დამატებით დაზღვევას“ სთავაზობს.**

კორცხელის ინციდენტის უკან, სავარაუდოდ, იაფფასიანი ფსიქოლოგიური კომბინაციაა. ცნობილია, რომ სააკაშვილის ოპონენტების უმრავლესობას არ მოსწონს კოჰაბიტაცია, სამართლიანობის აღდგენის ნელი ტემპი და სურს, რომ ნაციონალები რაიმე ფორმით მაინც დაისაჯონ. სოცქსელებში მკაფიოდ გამოიხატა, რომ ამ ადამიანების ნაწილს ნაცემი „ნაცლიდერების“ ხილვა ესიამოვნა. სწორედ ამ განწყობამ დააკარგვინა ბევრ მათგანს საღი განსჯის უნარი, დაპირისპირებაში „კალაძის გუნდის“ გულშემატკივრების სტატუსით ჩართო და ხელი შეუშალა ინციდენტის მძიმე პოლიტიკური შედეგის გააზრებაში. ალბათ, მათი მხრიდან გაცილებით გონივრული იქნებოდა, მოეთხოვათ, რომ პარტიის ხელმძღვანელობას, უპირველესად კი, კახი კალაძეს, მთელ რიგ უხერხულ კითხვებზე პასუხი გაეცა.

**რატომ წარადგინა „ქართულმა ოცნებამ“ კორცხელში აშკარა „ნაციონალი“? შესაძლო მიზეზი არც ისე ბევრია: ა) კლინიკური იდიოტიზმი; ბ) მატერიალური დაინტერესება; გ) შანტაჟი.**

კახა მიქაია ამბობს, რომ ნაციონალებმა მოსთხოვეს(?!) ზუგდიდის გამგებელ ედიშერ თოლორაიას, „ქართული ოცნების“ კანდიდატად ამირან ლაგვილავა წარედგინა. ამ ეპიზოდზე, ალბათ, ცალკე მსჯელობა უნდა გაიმართოს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რა მოხდა ქვედა საფეხურზე, მაინც **გაუგებარია, რაზე ფიქრობდნენ „ოცნების“ ხელმძღვანელები, როდესაც სააკაშვილის რეჟიმის ორდენოსანი მსახურის კანდიდატურას ამტკიცებდნენ. თოლორაიას სამთავიანი ურჩხული რომ წარედგინა, მხარს მასაც დაუჭერდნენ? რა მოტივები იდგა ამ გადაწყვეტილების უკან?**

ჩხუბის შემდეგ აუდიტორიის ყურადღებამ კალაძის შეცდომებიდან ორი პარტიის დაპირისპირებაზე გადაინაცვლა. ეს მას უდავოდ აძლევდა ხელს, მაგრამ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოებაც — კალაძე ვერ გაბედავდა იმის გაკეთებას, რაც „გენერალურ ხაზს“, ბიძინა ივანიშვილის ნებას შეეწინააღმდეგებოდა. აქ კი, ალბათ, კონკრეტიკა დროებით გვერდზე უნდა გადავდოთ, რათა მომხდარს ზოგადი შეფასება მივცეთ და შევეცადოთ, დავადგინოთ, რა საინფორმაციო მოდელი იმალება მომხდარის უკან.

### რატომ წარადგინა «ქართულმა ოცნებამ» კორცხელში აშკარა «ნაციონალი»? შესაძლო მიზეზი არც ისე ბევრია: ა) კლინიკური იდიოტიზმი; ბ) მატერიალური დაინტერესება; გ) შანტაჟი

„ქართული ოცნებისთვის“ ძალზე მნიშვნელოვანია, საკუთარი ამომრჩევლის თვალში სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებთან შეურიგებელ მებრძოლად წარმოჩნდეს. ეს ცუდად გამოსდის, რადგან **3,5 წლის განმავლობაში დამნაშავე მაღალჩინოსნების ან თუნდაც იმავე ზონდერების დასჯისთვის არც ისე ბევრი გააკეთა. პლუს, დასავლეთის ზეწოლის გამო კოჰაბიტაციას დათანხმდა და, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ რეანიმირება მოახდინა, ამირან ლაგვილავას მსგავსი კადრების „პორტირებაზე“ რომ არაფერი ვთქვათ.** დღეს, როდესაც არჩევნები მოახლოვდა, სახელისუფლო პარტია მოწადინებულია, საკუთარ ელექტორატს დაუმტკიცოს, რომ, ყოველივე ამის მიუხედავად, „ნაცმოძრაობასთან“ სერიოზულ ბრძოლას აწარმოებს. ჩხუბი, ფიზიკური დაპირისპირება გინების თანხლებით, კორცხელში მოხდება ის თუ პარლამენტში, ხელს უწყობს ასეთი წარმოსახვითი სურათის ფორმირებას და მას შესაბამისი სატელევიზიო „კარტინკით“ ამყარებს. ბევრი საღად მოაზროვნე ადამიანიც კი ასეთ ვითარებაში შეიძლება ილუზიის ტყვეობაში მოექცეს.

მაგრამ შესაძლოა, პრობლემა, კიდევ უფრო ფართოა. **ზოგიერთი დეტალი მიანიშნებს იმაზე, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა, გარდა იმისა, რომ ამომრჩევლები ნაციონალების რევანშის შიშით გააერთიანოს. ასეთი ტექნოლოგიის გამოყენება პოლიტიკური გაკოტრების უტყუარი ნიშანია.** ნაციონალებმა, როგორც ჩანს, მიიღეს ეს თამაში, რომელიც მათაც აძლევს ხელს და დღედაღამ ხელისუფლებაში დაბრუნებაზე საუბრობენ. მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის არანაირი რეალური წინაპირობა არ არსებობს, საზოგადოების ნაწილი მაინც ნერვიულობს და უიმედოდ შესცქერის „ქართულ ოცნებას“, რომელიც სისულელეს სისულელეზე აკეთებს (ბოლო მაგალითი — ისევ და ისევ კორცხელი) და, შესაძლოა, მიდის დასკვნამდე, რომ კრიტიკულ მომენტში ის ვერაფერს გახდება. ამის გამო **იმ ადამიანებმა, რომლებსაც არ სურთ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა აწამოს, გააუპატიუროს და მოკლას მათი შვილები, „ყოველი შემთხვევისთვის“ შეიძლება „დემოკრატიის დამცველთა“ (სახელწოდებას მნიშვნელობა არ აქვს) რაზმების ფორმირება დაიწყონ, რათა „ნაცმაიდანს“ წინ აღუდგნენ. ეს კი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ წაგვიყვანს, რომელიც, გარკვეულ პირობებში, შეიძლება ომშიც კი გადაიზარდოს.**

იმედია, **ბიძინა ივანიშვილი** კარგად აცნობიერებს, რას აკეთებს, და ქვეყანას ასეთი საფრთხის წინაშე არ დააყენებს, თუმცა ის, რომ ამდენი რამ დამოკიდებულია ერთი ადამიანის კეთილგონიერებაზე, თავისთავად საქართველოს სტრატეგიულ მარცხზე მიუთითებს.

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „მშობლიურ ენად“ აღიარებულია ინგლისური. ამის შემდეგ რატომ გიკვირთ, რომ ხიდაშელი ამერიკის ელჩის მიმართ სამართლიან კრიტიკასაც მტკივნეულად აღიქვამს?**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



დავით ნემსაძე:

# ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკის იმჟამინდელმა ელჩმა საქართველოში

**უფროსი ლეიტენანტი დავით ნემსაძე განეკუთვნება იმ ხელქვეითების რიცხვს, რომლებიც კორუფციასა და სხვა სამარცხვინო ქმედებაში შემჩნეულ უფროსობას გულზე არ ეხატება, ამიტომ სულაც არ გამკვირვებია, როდესაც შევიტყვე, რომ უფროსი ლეიტენანტი ნემსაძე ახლახან თავდაცვის მინისტრის განკარგულებით დაითხოვეს შეიარაღებული ძალების რიგებიდან. დღეს დავით ნემსაძე „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**



**— ბატონო დავით, რა მიზეზით დაგითხოვეს ჯარიდან? თუ არ ვცდები, ეს თქვენთვის უკვე მეორე შემთხვევაა.**

— შეიარაღებული ძალებიდან ჩემი გაძევების ოფიციალური მიზეზი კონტრაქტის პირობების დარღვევა და სამხედრო პირის ღირსების შეურაცხყოფაა. ზუსტად ამ ფორმულირებით გამისტუმრეს **ბაჩანა ახალაიას** მინისტრობის პერიოდშიც. ჩემი დათხოვნის ნამდვილი მიზეზი კი არის ის, რომ ვამხილე შეიარაღებულ ძალებში გამეფებული კორუფცია, რის გამოც **თინა ხიდაშელმა** ჯარიდან გამაძევა.

**— გაქვთ კორუფციის კონკრეტული ფაქტები?**

— შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე, სადაც მე ვმსახურობდი, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთგულმა კადრმა, მაიორმა **ირაკლი შაიშმელაშვილმა** მოისურვა ფულის შეგროვება. მან ასეულის მეთაურს — **ვეფხია ივანიძეს** უბრძანა, ასეულის მმართველ რგოლში აეკრიფა 500 ლარი, ვითომ დაზიანებული ხელის რაციის შესაკეთებლად. არადა, ეს რაცია უკვე ჩამოწერილი იყო აქტით, ანუ რემონტს არ ექვემდებარებოდა. ამ ფაქტის გამო პროტესტი გამოვთქვით მხოლოდ მე და უფროსმა ლეიტენანტმა **ლევან კობაიძემ**, რომელიც, სხვათა შორის, ნაცების პერიოდში უკანონოდ დააპატიმრეს და გაასამართლეს, ისევე, როგორც სხვა მრავალი პროფესიონალი და პატრიოტი ოფიცერი... **ჩვენი განცხადების შემდეგ სამხედრო პოლიცია იძულებული შეიქნა, აღეძრა სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით — დანაშაულის დაფარვა და კორუფცია.** აი, აქედან დაიწყო ჩემი სირთულეები. მაიორმა შაიშმელაშვილმა დაიბარა ლევან კობაიძე და უთხრა, თუ ამ საქმის გამო „ფორმას გამხდიან“, ჯერ ნემსაძეს მივაკითხავ, მერე კი — შენ, ტყუილად კი არ დამაქვს პირადი იარაღიო, ანუ შაიშმელაშვილი ფიზიკური ანგარიშსწორებით დაგვემუქრა.

**— მაგ ბაზაზე მხოლოდ ეს იყო კორუფციის ფაქტი?**

— რა თქმა უნდა, არა! შაიშმელაშვილის მიერ მოყვანილმა სერჟანტებმა, რომლებმაც თავიანთ „მამა-მარჩენალს“ ერთგულება შეჰფიცეს, აიძულეს ბაზაზე მყოფი რიგითი ჯარისკაცები, აეღოთ ე.წ. ვიზუს სესხები. ჯარისკაცებისგან ნაღდი ფულიც „ამოიღეს“. ამაზე ინფორმირებული იყო სამხედრო პოლიცია, მაგრამ მის მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია, მეტიც, სამხედრო პოლიციის ოფიცერმა **ნუკრი დარსალიამ** პირადი შემადგენლობისგან ისესხა თანხა, რომლის დაბრუნებას არ აპირებს.

**— ანუ, შეაწერა?**

— ზუსტად ასეა.

**— ბატონ დარსალიას მწირი შემოსავალი აქვს?**

— დარსალია კარგ ხელფასს იღებს, თანაც, წოდებრივი დანამატით... ამ ბაზაზე მევახშის „საშტატო ერთეულიცაა“ გამოყოფილი, რა თქმა უნდა, არაოფიციალურად.

**— „არაოფიციალური მევახშე“?**

— დიახ, არის ასეთი — **ჯიმშერ ჭინჭარაშვილი.** დღისით ბაზის მძღოლია, ღამით — მევახშე.

**— რაში გამოიხატება ბატონ ჯიმშერის მევახშეობა?**

— ფულს აპროცენტებს.

**— ამაზე თუ არის ინფორმირებული სამხედრო პოლიცია?**

— ინფორმირებულია, მაგრამ ამბობს, “ფაქტები ვერ მოვიპოვეთო”.

**— ვინ არის ამ სამხედრო ბაზის ხელმძღვანელი და ასეთ შემთხვევაში რომ იტყვიან, სად იყურება ის?**

— ბაზის მეთაურია პოლკოვნიკი **ილია ლუტიძე**, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, ევროპისკენ იყურება. ამას წინათ ლუტიძე უკანონოდ იმყოფებოდა გერმანიაში და მისი ვიპ-ხარჯები ქვეყანას კისერზე დააწვა. ლუტიძე წავიდა გერმანიაში ჩვენი ე.წ. ნატოს სამშვიდობო ასეულის მოსანახულებლად. **სად სარემონტო ბაზის მეთაური და სად ნატოს სამშვიდობო ასეული?!**

**— აბა, ვინ უნდა წასულიყო ასეულის მოსანახულებლად?**

— წარმომადგენელი თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მონიტორინგის სამმართველოდან, სამხედრო განათლებისა და მომზადების დეპარტამენტიდან, გენერალური შტაბის უფროსი ან ვინმე წვრთნისა და აღჭურვის სარდლობიდან.

**— რას აკეთებდა გერმანიაში პოლკოვნიკი ლუტიძე?**

— უბრალოდ, გაისეირნა. ეტყობა, გერმანულ წესრიგს გადაავლო თვალი.

**— ქართული ჯარის უფროსი ოფიცრები ვალდებულნი არიან, ფლობდნენ ორ უცხო ენას. რომელი ენები იცის ბატონმა ლუტიძემ?**

— **უცხო ენებისა რა მოგახსენოთ, ლუტიძეს მშობლიურ ენაზეც უჭირს მეტყველება.** სარემონტო ბაზაზე წესრიგის დამყარება არ შედის მის ინტერესებში. პოლკოვნიკ ლუტიძეს ხშირად უთქვამს, 18:00 საათის შემდეგ, თუ მოვისურვებ, ჩემს მეგობრებთან — ბაზის შტაბის უფროს მაიორ შაიშმელაშვილთან და ბაზის უფროსის მოადგილესთან, ვიცეპოლკოვნიკ **შალვა კაჭარავასთან,** (რომელმაც 2008 წლის ომის დროს ჯავშანტექნიკა დაწვა), სექსითაც დავკავდებიო. ვიმედოვნებ, თანამედროვე ევროპის ეს „ღირებულება“ ლუტიძისთვის მხოლოდ „შავი იუმორის“ ნიჭის გამოვლინებაა და მეტი არაფერი. ჩემი აზრით, ამ „სამი მეგობრის“ ურთიერთკავშირი შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის პირადი შემადგენლობისთვის დამღუპველია.

**— თქვენი ბაზა ჩემთვის ცნობილია რიგითი ერიკ კარაპეტიანის წამების ფაქტით. ამას გარდა, ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში გენერალმა ტრისტან წითელაშვილმა ისაუბრა შემაძრწუნებელ ინციდენტზე — სამი ბავშვის წამებაზე ყარაულის პირადი შემადგენლობის მიერ. ხომ არ იცით, რა რეაგირება მოჰყვა „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ მასალებს? რას ამბობს გენერალური ინსპექცია?**

— გენერალური ინსპექცია, ძირითადად, სამხედრო მოსამსახურეების „ფეისბუქის“ გვერდების „დაზვერვით“, ბოდიში, „შესწავლით“ არის დაკავებული.

**— რას ნიშნავს „გვერდების დაზვერვა“?**

— ოფიციალურად შესწავლილი საქმეების მასალებზე გენერალურ ინსპექციას დართული აქვს სოციალური ქსელებიდან ამობეჭდილი სამხედრო მაღალჩინოსანთა, მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტების — **დავით თევზაძისა** და **გურამ ნიკოლაიშვილის** კომენტარები ამა თუ იმ პოლიტიკურ ან სოციალურ პრობლემებზე.

**— რა არის ამაში ცუდი?**

— თუ დღეს გენინსპექციას ამისთვის სცალია, ღმერთმა ხელი მოუმართოს, ჭკვიანურ აზრს მაინც შეისმენენ, მაგრამ **გენინსპექცია ამოწმებს, ვინ რა დაწერა, ვინ რას ფიქრობს, სხვა სიტყვებით, აგროვებენ კომპრომატს იმ „საჩიფათო“ სამხედრო მოსამსახურეების დასაშანტაჟებლად, რომლებიც მომავალში გაბედავენ და შეეცდებიან, წინ აღუდგნენ მინისტრ ხიდაშელის მიერ წარმოებულ მახინჯ პოლიტიკას.** გენინსპექციას რატომღაც “ავიწყდება”, უთვალთვალოს გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილის, პოლკოვნიკ **ომარ ბეგოიძის** ე.წ. პოსტებს, რომლებშიც ის აფხაზეთის ომის ვეტერანს, პრეზიდენტის ორდენის კავალერს — **ირმა ინაშვილს** უსაფუძვლოდ ადანაშაულებს „პატრიოტიზმის დეფიციტსა და კომკავშირის მეხოტბეობაში“, რითაც არღვევს სამხედრო ეთიკის ნორმებს. სამაგიეროდ, ამით იგებს ხიდაშელის გულს. არადა, თვითონ ბეგოიძეც ხომ საბჭოთა კავშირის მოქალაქე იყო, მის კისერსაც ამშვენებდა პიონერის ალისფერი ჰალსტუხი, ხოლო შემდგომ — კომკავშირელის ნიშანიც ჰქონდა მიმაგრებული მკერდზე. აქედან გამომდინარე, **როდესაც ქართული არმიის ბედი „ფეისბუქბატალიებში“ წყდება, ვის სცალია რიგითი ერიკ კარაპეტიანისა და სამი ბავშვის წამების ფაქტის გამოსაძიებლად?!** მოკლედ, **გენინსპექციის ერთადერთი ფუნქციაა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდგეს თავდაცვის სამინისტროს „უგვირგვინო დედოფლის“ — თინა ხიდაშელის პოლიტიკური ინტერესების დასაცავად.**

**«როდესაც ქართული არმიის ბედი «ფეისბუქბატალიებში» წყდება, ვის სცალია რიგითი ერიკ კარაპეტიანისა და სამი ბავშვის წამების ფაქტის გამოსაძიებლად?! მოკლედ, გენინსპექციის ერთადერთი ფუნქციაა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იდგეს თავდაცვის სამინისტროს «უგვირგვინო დედოფლის» — თინა ხიდაშელის პოლიტიკური ინტერესების დასაცავად»**

**— მაქვს ინფორმაცია, რომ გენერალური ინსპექციის დღევანდელი უფროსი, ირაკლი იმერლიშვილი, იყო მინისტრ ხიდაშელის მეუღლის, პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონი უსუფაშვილის თანაკურსელი. ეს სიმართლეს შეესაბამება?**

— ამის შესახებ ოფიციალურად მივმართე ბატონ იმერლიშვილს და ახლა მისი ჯერია — ან დაადასტუროს, ან უარყოს ეს ინფორმაცია. და კიდევ — **ირაკლი იმერლიშვილი პროკურორობდა იმ ადამიანების სასამართლო პროცესებზე, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ.**

**— თქვენი ჯარიდან დათხოვნის მოხსენებით ბარათში, რომელსაც ზედმიწევნით გავეცანი, წერია: „2016 წლის 17 აპრილს დ. ნემსაძემ სოციალურ ქსელში გაიზიარა თავისი ძმის, ერმილე ნემსაძის, ე.წ. პოსტი, რომელშიც ეს უკანასკნელი შეურაცხყოფას აყენებს ამერიკის ელჩს საქართველოში, ბატონ იან კელის...“ ვერ გავიგე, თქვენ რა შუაში ხართ? როდის იქცა ე.წ. პოსტის გაზიარება დანაშაულად?**

— დანაშაულია, როდესაც სამხედრო უწყება აფასებს სამოქალაქო პირის — ერმილე ნემსაძის მიერ გამოქვეყნებულ ისეთ ინფორმაციას, რომელიც თავდაცვის სამინისტროს საერთოდ არ ეხება. დანაშაულია, როდესაც გენერალური ინსპექცია პოლიტიზებულია. არავითარი უფლება არ ჰქონდათ, ჩემი გათავისუფლების მოხსენებით ბარათში ერთ-ერთ ბრალდებად წაეყენებინათ ჩემს მიერ ჩემი ძმის პირადი აზრის გაზიარება. ეს ხომ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა?! სხვათა შორის, ერმილე ნემსაძე ერაყის მისიის და 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეა, ამჟამად კი — სამოქალაქო პირი.

**— თავდაცვის სამინისტრომ ასე მტკივნეულად რატომ აღიქვა თქვენი ძმის „პოსტი“, სადაც ის კორექტულად მოუწოდებს ამერიკის ელჩს, არ ჩაერიოს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და, კიდევ, ლოგიკურ კითხვას უსვამს ბატონ იან კელის: რამდენად მართებულია, ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა გაჭირვებულ საქართველოს მოქალაქეს, ამერიკული ვიზის მიღებისთვის მოუწყოს გასაუბრება და ამისთვის გადაახდევინოს ოთხასი ლარი, მაშინ, როდესაც ვიზის მომლოდინელთა ნახევრის ნახევარი „აღქმული მიწის“ საშვს ვერ იღებს, და მრავალი ჩვენი მოქალაქის 400 ლარი საელჩოში რჩება?**

— აკი გითხარით, რომ გენინსპექცია ხიდაშელის პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებს. ხიდაშელმა საჯაროდ აღიარა, რომ „პროამერიკელია“. ისიც გავიხსენოთ, რომ ხიდაშელის თავდაცვის მინისტრად დანიშვნაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ამერიკის იმჟამინდელმა ელჩმა საქართველოში — **რიჩარდ ნორლანდმა.** მისი დაჟინებული მოთხოვნით, მინისტრის პოსტიდან გადააყენეს **მინდია ჯანელიძე**, რომელმაც დაიწყო თავდაცვის სამინისტროს „წმენდა“ ნაციონალების კადრებისგან, მაგრამ ეს კადრები ხიდაშელმა სასწრაფოდ უკან დააბრუნა. **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „მშობლიურ ენად“ აღიარებულია ინგლისური. ამის შემდეგ რატომ გიკვირთ, რომ ხიდაშელი ამერიკის ელჩის მიმართ სამართლიან კრიტიკასაც მტკივნეულად აღიქვამს?** ხიდაშელი ისეთი გონებაშეზღუდულია, არც ფიქრობს, რომ ასეთი საქციელით ფეხქვეშ თელავს იმ „დემოკრატიულ პრინციპებს“, რომლებიც, ამერიკელების რწმენით, აშშ-ის სახელმწიფოებრიობის საძირკველია. ქალბატონი მინისტრი ეპირფერება ამერიკის ელჩს და ვერ ხვდება, რომ საქართველოს მოსახლეობას უარყოფით აზრს უყალიბებს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ.

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„აგენტები თვითონ არიან და ამას არც მალავენ. უბედურება არის ის, რომ ამერიკის აგენტობა „მისაღებია“. მაგალითად, ავიღოთ რესპუბლიკელები. ვისი აგენტები არიან ძმები ბერძენიშვილები ან პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი? ვისი ყურმოჭრილი მონები არიან, ვის ბრძანებებს ასრულებენ?! ან ეს თავდაცვის მინისტრი რომაა, ხიდაშელი (მაგას ქალბატონ ნატოს ვეძახი), რა ღირსებაზე უნდა მელაპარაკოს?“**



მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე):

# ჩვენი არჩევანი ევროპა არ არის, ეს ტყუილია

**პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართულ ე.წ. ნეოლიბერალურ პროპაგანდაზე, ხელისუფლების გაცხადებულ პროდასავლურ პოლიტიკასა და მის შესაძლო სამომავლო შედეგებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სოფელ დიღმის წმინდა მარინეს ეკლესიის მოძღვარი მამა ნიკოლოზი (ჩხიკვაძე).**

**— მამაო, მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. ნეოლიბერალური იდეოლოგია მსოფლიოში და განსაკუთრებით — ევროპაში, კრიზისშია, ქართველ „ნეოლიბერალებს“ ბრძოლის ჟინი არ უნელდებათ. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ის უმსგავსობა, რომელიც წელს, 17 მაისს, ჩაიდინეს ლგბტ თემის წარმომადგენლებმა (თუ, უბრალოდ, მათმა მხარდამჭერებმა), ვგულისხმობ საპატრიარქოს გალავნის შეღებვას. რა არის ამ ვაიიდეოლოგიის ესოდენ მომძლავრების მიზეზი საქართველოში — საზოგადოების მხრიდან სოლიდარობა თუ გარე ძალების პირდაპირი ჩარევა?**

— საზოგადოება მათდამი სოლიდარული არასოდეს ყოფილა და არც იქნება, მათი ერთადერთი ძალა არის გარედან მიღებული დახმარება. ვთქვათ პირდაპირ, **ეს ე.წ. ნეოლიბერალური ფრთა მხარდაჭერილი და დაფინანსებულია დასავლეთიდან.** სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და დღესაც ამერიკის ელჩი პირდაპირ ერეოდა კონკრეტული საკითხების გადაწყვეტა-არგადაწყვეტაში. **„მწვანე ბასი“ ჩემი შერქმეული სახელი არ არის ჯონ ბასისთვის. ყველასთვის ცნობილია, რომ თავის დროზე ამ ადამიანმა აუნთო მწვანე შუქი სისხლისღვრას რუსთაველზე. მათ შემოიტანეს ქვეყანაში ყველანაირი უმსგავსობა, გარყვნილება, ნიჰილიზმი და ურწმუნოება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მათ ყველაფერი გააკეთეს და დღესაც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა საზოგადოებას რწმენა დააკარგვინონ.**

ახლა შევხედოთ არასამთავრობოებს — განა შეიძლება, მათი ქმედება ქვეყნის კეთილდღეობას ემსახურებოდეს? რა არის მათი დანიშნულება, მხოლოდ ის, რომ ენა მიიტანონ იქ, საიდანაც უგზავნიან ფულს? **ჩათვალეთ, რომ ესენი არიან დასავლეთის ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გუშაგები საქართველოში, ამიტომაა, რომ ყველაფერს, რაც იქიდან მოდის, იქნება ეს ანტიდისკრიმინაციული კანონი თუ იუვენალური იუსტიციის შემოღების იდეა, კბილებით იცავენ.**

**— თქვით, რომ საზოგადოება არასოდეს ყოფილა და არც იქნება სოლიდარული „ნეოლიბერალიზმის“ მიმართ, მიუხედავად ამისა, ეს იდეოლოგია მიზანს აღწევს ჩვენს ქვეყანაში. მაგალითად, წარმატებით მიიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, კანონი მიწის უცხოელებზე გასხვისების შესახებ, ახლა იუვენალურ იუსტიციაზეც არის საუბარი. თუ ამ ყველაფრის განხორციელებას დააპირებენ, როგორც უკვე განხორციელდა დასავლეთის რიგ სახელმწიფოებში, რის გაკეთება შეუძლია ეკლესიასა და საზოგადოებას?**

— რა თქმა უნდა ამ ე.წ. ლიბერალური ფრთის საბოლოო მიზანია, აქაც, ისევე, როგორც ევროპის ქვეყნებში, დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა ქორწინება, შემდეგ ამ ერთნაირსქესიანთა „ოჯახებს“ მისცენ შვილის აყვანის უფლება და ა. შ., მაგრამ ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს. როგორ და რანაირად, სხვა თემაა. არ გაუვათ საქართვეოში ის მზაკვრობა, რომელიც სხვაგან გაუვიდათ და, რომც დააკანონონ ის უმსგავსობები, საქართველოში მაინც არ მოიკიდებს ფეხს. ამას ვერ ეღირსებიან, თავს კი გადააყოლებენ.

**— ხელისუფლებას გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, აბა, მე ვაკანონებ ამას?

**— გადაყვებიან ერთია, მაგრამ ხელისუფლებას ნიშნავენ გარედან; წავა ერთი — მოვა სხვა, რომელიც გააგრძელებს იმავე კურსს.**

— გასაგებია, მაგრამ რა ვქნათ ახლა ჩვენ? კიდევ ერთხელ ვამბობ: ჩვენი არჩევანი ევროპა არ არის, ეს ტყუილია. ეს სიცრუე თავის დროზე სააკაშვილმა მოახვია თავს საზოგადოებას და ახლა ესენი იმეორებენ.

**— ამის გამო შეიძლება რუსეთის აგენტობა დაგწამონ.**

— **აგენტები თვითონ არიან და ამას არც მალავენ, უბედურება არის ის, რომ ამერიკის აგენტობა „მისაღებია“. მაგალითად, ავიღოთ რესპუბლიკელები, ვისი აგენტები არიან ძმები ბერძენიშვილები ან პარლამენტის თავმჯდომარე უსუფაშვილი? ვისი ყურმოჭრილი მონები არიან, ვის ბრძანებებს ასრულებენ?! ან ეს თავდაცვის მინისტრი რომაა, ხიდაშელი (მაგას ქალბატონ ნატოს ვეძახი), რა ღირსებაზე უნდა მელაპარაკოს?** ხიდაშელმა, იცით, რა გააკეთა? — რაც არ გაუკეთებია არც ერთ ჩვენს მტერს, როცა ქვეყანას იპყრობდნენ, ჯარში მაჰმადიანებს სალოცავი კუთხე შეუქმნა. სწორად გამიგეთ, იმას კი არ ვამბობ, რომ ჩვენი მუსლიმი მოქალაქეები დავჩაგროთ, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ ჯარში ასეთი რამე შეიძლება? ჯარისკაცს, ომში რომ მიდის, მამაო ლოცავს და რა ვქნათ ახლა, მოლას დავალოცვინოთ ქართული ჯარი? ესენი ეძახიან სხვას ვიღაცის აგენტებს, აგენტები თვითონ არიან, თინა ხიდაშელი არის ისლამის აგენტი...

**— თქვენი აზრით, ესეც უცხო ძალის დავალებაა?**

— რასაკვირველია. რესპუბლიკური პარტია არაფრით განსხვავდება „ნაციონალური მოძრაობისგან“. ორივე ერთი და იგივე ძალაა, ერთმანეთზე უარესი.

**— თუმცა ხელისუფლება და განსაკუთრებით — რესპუბლიკელები, მთავარ მონაპოვრად თვლიან, რომ რეპრესიები შეწყდა.**

— რა რეპრესიების შეწყვეტაზეა საუბარი, ცოცხებით რომ არ დარბიან? ამათ აქვთ სულიერი ცოცხები, რომლებსაც უფრო მეტი ზიანი მოაქვს.

**— საკმარისად ერევა და მონაწილეობს ეკლესია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში? ხშირად ისმის ხოლმე საზოგადოების გარკვეული ნაწილისგან, რომ სამღვდელოება უფრო აქტიური უნდა იყოს.**

— ეკლესიამ თავის დროზე საკმაოდ ხმამაღლა თქვა ის, რაც სათქმელი იყო, მაგრამ უბედურება არის ის, რომ არ ისმენენ სამღვდელოების სიტყვას. ასე იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებისას და ასეა დღესაც. ან **ვინ მოუსმენს უწმინდესის შეგონებას — ხიდაშელი თუ რომელიმე სხვა რესპუბლიკელი? მათ არ აინტერესებთ ეკლესიის აზრი; რაც უნდა ილაპარაკო, გაატარებენ, იმიტომ, რომ ასეთი მითითება აქვთ დასავლეთიდან.**

**— დასავლეთიდან, ალბათ, არის მითითება და მცდელობაც, რომ საპატრიარქო თავიანთ მოკავშირედ გაიხადონ, მაგრამ უწმინდესის ავტორიტეტს, ცხადია, ვერაფერს უხერხებენ. როგორ ფიქრობთ, ადრე თუ გვიან, როცა დადგება ახალი პატრიარქის კურთხევის დრო, ეს ძალები შეეცდებიან, მათთვის მისაღები პიროვნება შემოგვაპარონ?**

— მოკლედ გიპასუხებთ: **ვინც მოინდომა, რომ ჩვენი პატრიარქი არ ყოფილიყო ილია მეორე, ის უკვე ცოცხალი აღარ არის. ჩვენს ეკლესიას შესწევს უნარი და ძალა, მიიღოს გადაწყვეტილება, ვინ იყოს, სად იყოს და როგორ იყოს...**

**— რაც შეეხება პოლიტიკურ საფრთხეებს, 26 მაისს სააკაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ბოლოჯერ ვხვდებით დამოუკიდებლობის დღეს ალლუმის გარეშეო. როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს მას და მის პარტიას მომავალში?**

— არც კი მინდა ამ საცოდავ ადამიანზე საუბარი, მეცოდება, ღმერთმა უშველოს. აგონიაშია ეგ უბედური თავის პარტიასთან ერთად.

**— გამორიცხავთ, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას?**

— ეს პარტია არის დასრულებული და, რაც მალე წაჰყვებიან მათ რესპუბლიკელები, მით უკეთესი. რა უნდათ ნაციონალებს საქართველოში? მათი სამშობლო არის ამერიკა და იქ მიბრძანდნენ. ასევე, შეუძლიათ მიბრძანდნენ ის ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებსაც აღიზიანებს ყველაფერი ქართული. მათ გეგმებსა და ამოცანებს აქ მომავალი არ აქვს...

**— ისინი სხვანაირად ფიქრობენ, ასე რომ არ იყოს, დასავლეთი მილიონებს არ გადაუხდიდა.**

— რაც უნდა გააკეთონ, ღმერთმა ეს ბრძოლა უკვე მოიგო. ის, რაც გვემართება, უბრალოდ, ჩვენი ცოდვების ბრალია, რადგან ქართველი ხალხი არ ცხოვრობს დღეს ეკლესიურად. მეტსაც გეტყვით, **ხალხი უფრო ღვთისმოშიში რომ იყოს, თავის დროზე არც ნაციონალები მოვიდოდნენ და არც რესპუბლიკელები იქნებოდნენ ახლა.** ამიტომ ვთხოვ უფალს, რომ შეგვეწიოს და გამოფხიზლდეს ქართველი კაცი, რათა ჩვენი მთავარი მტერი ჩვენივე თხოვნითა და ვედრებით მოგვაშოროს.

**— თუმცა გამოფხიზლება, ალბათ, ძალიან ძნელია იმ პირობებში, როცა მიმდინარეობს მძლავრი საწინააღმდეგო პროპაგანდა ასევე მძლავრი ფინანსური რესურსებით.**

— იმედი არის ღმერთი და ღვთის ხელშია ყველაფერი. აქ არის ერთი მომენტი — თხოვნა და ვედრება. რაც მეტი ადამიანი მოითხოვს სულიერ ცხოვრებას, ხალხს გონებაც უფრო გაუნათდება და შეეწევა უფალი, რათა მიიღოს სწორი გადაწყვეტილება: ხმა ვის მისცეს, სიმართლეზე როდის თქვას, რომ არის სიმართლე და ტყუილზე როდის თქვას, რომ არის ტყუილი. აქ მხოლოდ რესპუბლიკურ პარტიაზე არ არის საუბარი, მთლიანად ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ყველა არასწორ ნაბიჯზე. ეს განსაკუთრებით ეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ ურტყამს მართლმადიდებლობას და ქართულ ტრადიციებს. კიდევ ვიმეორებ: **თუ არ იციან და ისე აწერენ ხელს, დანაშაულია, თუ იციან, მით უარესი.** გინდ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს და გინდ — რესპუბლიკელები, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლები ერთნაირად არიან; ამიტომ კეთილი ინებონ და ჩახედონ, რას აწერენ ხელს და რას იღებენ; თუ არადა, როგორც დასაწყისში ვთქვი, მიბრძანდნენ თავიანთ ნამდვილ სამშობლოში — ამერიკაში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**კეთილი ინებონ და ჩახედონ, რას აწერენ ხელს და რას იღებენ; თუ არადა, როგორც დასაწყისში ვთქვი, მიბრძანდნენ თავიანთ ნამდვილ სამშობლოში — ამერიკაში...**

**მთლიანად ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ყველა არასწორ ნაბიჯზე. ეს განსაკუთრებით ეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ ურტყამს მართლმადიდებლობას და ქართულ ტრადიციებს**

## ევროპარლამენტარი პოლონეთს ურჩევს: შორს ევროკავშირისგან!

**ევროპარლამენტის დეპუტატ იანუშ კორვინ-მიკეს აზრით, პოლონეთი ევროკავშირის შემადგენლობიდან უნდა გამოვიდეს.** Rzeczpospolita-სთვის მიცემულ ინტერვიუში პოლონელმა პოლიტიკოსმა აღიარა, რომ ევროკავშირში შესვლით პოლონეთმა გარკვეული სარგებელი მიიღო, მაგრამ სარგებელს დანაკარგებმა გადააჭარბა.

„ჩვენ შეგვეძლო გვეცხოვრა ისე, როგორც ყველს კარაქში. **პოლონეთის ეკონომიკის ზრდის ტემპი, როცა სოციალიზმიდან გამოვედით და შევედით ევროკავშირში, 8%-ს შეადგენდა. ახლა ეს მაჩვენებელი 1%-ია, დიდი-დიდი 2%. ზრდის ძველი ტემპი რომ შეგვენარჩუნებინა, ახლა გერმანიაზე წინ ვიქნებოდით. ევროკავშირის ოკუპაციის ქვეშ პოლონეთი მოკვდება, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დავტოვოთ ეს გაერთიანება. ევროპა კვდება. ბავშვები აღარ იბადებიან, განვითარების ტემპი პრაქტიკულად ნულოვანია. ევროპას ქუჩის კონტრრევოლუცია ემუქრება.**

**ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რასაც აპირებენ ბრიტანელები. თუ ისინი დატოვებენ ევროკავშირს, ჩვენც დაუყოვნებლად უნდა მივყვეთ მათ“,** — განაცხადა იანუშ კორვინ-მიკემ.



განათლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უნივერსიტეტში უნდა დაწყებულიყო გარდამავალი პერიოდი“, მაგრამ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ არავითარი გარდამავალი პერიოდი არ იქნებოდა. მე გვიან მივხვდი, რომ ეს იყო კოჰაბიტაციის გამოვლენის ერთ-ერთი მცდელობა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, დაგვღუპა“.**



ჯემალ მებონია:

# ვერაფერს გავაკეთებთ გაუნათლებელი ხალხის იმედად, შეიგნოს ეს, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ!

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება განათლების სისტემაზე ზრუნვა იყო, მაგრამ 4 წლის განმავლობაში ვერაფერს გახდნენ — განათლების სისტემა კვლავ განაგრძობს დევალვაციას. რა ხდებოდა 4 წლის წინათ განათლების სისტემაში და რა ვითარებაა იქ ახლა? — ამ საკითხზე გვესაუბრება ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ბატონი ჯემალ მებონია.**

## «ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ოთხი წელი ასე ფუჭად დაიკარგა»

**— ბატონო ჯემალ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ჯგუფმა „თსუ-ს ყოფილ დამსახურებული თანამშრომელთა მხარდამჭერი ფონდი“ დააფუძნეთ. როგორ გაჩნდა ამ ფონდის შექმნის იდეა და რას ემსახურება ის?**

— ეს არის დახმარების ფონდი, რომელიც დიდი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, დაფუძნდა. ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა უნივერსიტეტს მიღმა — ზოგი პროტესტის ნიშნად წავიდა, ზოგი კი უსამართლოდ დაითხოვეს. ამის შემდეგ დავაყენეთ საკითხი — იქნებ დავეხმაროთ ამ ადამიანებს, რომლებიც პენსიის ამარა დარჩნენ. უსამართლობის განცდა დაეუფლებოდათ ღირსეულ პროფესორებსაც და იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლობას აპირებენ, ამიტომ უნივერსიტეტმა განცხადებით მიმართა პარლამენტს. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა ეს საკითხი და უნივერსიტეტს საკუთარი ბიუჯეტიდან თანხის გაცემის უფლება მიეცა დამსახურებული პოფესორ-მასწავლებლების დასახმარებლად. უნივერსიტეტმა გამოყო თანხა არაეკონომიკური შემოსავლებიდან — დაახლოებით 200 000 ლარი. ჩვენ 350-მდე კაცს ვეხმარებით თვეში 50 ლარით, რომელიც იბეგრება. ეს მორალური დახმარებაა. სირცხვილია ასეთი ხალხის უყურადღებოდ დატოვება.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, წინა ხელისფულების მიერ თსუ-ს მიმართ განხორციელებული უკანონო და უსამართლო ქმედებების შედეგად, პროფესორ-მასწავლებლები პენსიის ამარა დარჩნენო. რას გულისხმობდით „უსამართლო ქმედებაში“, როგორ ექცეოდა „ნაციონალური მოძრაობა“ განათლების სისტემას?**

— 2004 წელს, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, პირველი, რაც შემოგვთავაზა, იყო კანონი ზოგადი განათლების შესახებ. უნივერსიტეტმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ამ კანონის მიღებას, ბევრი შენიშვნა გვქონდა. უნივერსიტეტის პროფესურამ იცოდა, რომ კარგს არაფერს მოგვიტანდა ეს კანონი, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ მოგვისმინა. დაამტკიცეს და მიღებული კანონი თვითონვე დაარღვიეს. კანონის მიხედვით, ყოფილი თანამშრომლები უნდა გადაეყვანათ ახალ თანამდებობებზე, მაგრამ პირიქით მოიქცნენ — **შეამცირეს უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობა, ფაკულტეტები კი გააუქმეს. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო უმაღლესი განათლება, გაანადგურა.**

**— როდესაც „ქართული ოცნება“ მოდიოდა ხელისუფლებაში, მისი ერთ-ერთი დაპირება განათლების სისტემაზე ზრუნვა იყო და ბევრ ცვლილებასაც გვპირდებოდა. რა ვითარება იყო 4 წლის წინათ განათლების სისტემაში და როგორია ახლა?**

— „ქართული ოცნება“ ბევრი დაპირებით მოვიდა ხელისუფლებაში. ერთ-ერთი პრიორიტეტი უმაღლესი განათლება უნდა ყოფილიყო, ჰოდა, ველოდებოდით მოვლენების განვითარებას. „ქართულმა აკადემიამ“ შევთავაზეთ ხელისუფლებას, რა უნდა გაკეთებულიყო შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის საპოვნელად. შევთავაზეთ პროექტი, როგორ უნდა გაუმჯობესებულიყო განათლების სისტემა უმაღლეს სკოლაში. ჩვენს მოხსენებაში მივუთითეთ, რომ უნდა ყოფილიყო გარდამავალი პერიოდი, ამ პერიოდში გამოცხადებულიყო ახალი კონკურსები, რომლებშიც, ახალი კადრების გარდა, მონაწილეობას მიიღებდნენ ის ადამიანები, რომლებიც აქამდე იყვნენ არჩეულნი და ისინიც, ვინც უკანონოდ ჩამოაშორეს უნივერსიტეტს. პარალელურად უნდა დაწყებულიყო მუშაობა ახალ კანონზე და დაახლოებით ერთ წელიწადში უნივერსიტეტი ფეხზე დადგებოდა. ეს წაადგებოდა საშუალო განათლებასაც. კომიტეტმა მიიღო ეს პროექტი, მაგრამ მალევე დამუხრუჭდა. ამის შემდეგ დადგა საკითხი — შეგვეცვალა უმაღლესი განათლების კანონი. შეიქმნა კომისია, რომლის წევრი მეც ვიყავი, ეს 2013 წლის დასაწყისია. კომისიის თავმჯდომარე იყო განათლების ამჟამინდელი მინისტრი ქალბატონი **თამარ სანიკიძე.** ერთ თვეზე მეტხანს იმუშავა ამ კომისიამ. როდესაც ძირითად წესებზე შევთანხმდით, გვჭირდებოდა კიდევ ორი თვე, რათა კანონი დაგვესრულებინა და შემდგომ პარლამენტს განეხილა. დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ მოულოდნელად შეწყდა ამ საკითხზე მუშაობა — დაიშალა კომისია და, დღესაც არ ვიცი, რა იყო ამის მიზეზი. უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო, შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გადააკეთა კერძო სამართლის იურიდიულ პირად. „ქართულმა ოცნებამ“ გადაწყვიტა, ისევ დაებრუნებინა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად. გაჩნდა შანსი, რაღაც გამოსწორებულიყო, რადგან კანონში ეწერა — **„უნივერსიტეტში უნდა დაწყებულიყო გარდამავალი პერიოდი“,**

> **«შეამცირეს უნივერსიტეტის პროფესორთა შემადგენლობა, ფაკულტეტები კი გააუქმეს. «ნაციონალურმა მოძრაობამ» გაუსაძლის მდგომარეობაში ჩააგდო უმაღლესი განათლება, გაანადგურა»**

**მაგრამ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომ არავითარი გარდამავალი პერიოდი არ იქნებოდა. მე გვიან მივხვდი, რომ ეს იყო კოჰაბიტაციის გამოვლენის ერთ-ერთი მცდელობა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, დაგვღუპა.** ნათლად ჩანდა, ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ასეთ დამოკიდებულებას. ბელარუსსა და უკრაინაში არის გამორჩეული უნივერსიტეტები, რომლებსაც განსაკუთრებული სტატუსი აქვთ. შევაჯერე ყველაფერი, რაც კარგი იყო ამ უნივერსიტეტების დებულებებში და დაახლოებით ორგვერდიანი კანონი გამოვიდა. მსურდა, განსახილველად შესულიყო პარლამენტში, თუ ეს სხვა უნივერსიტეტში არ ამოქმედდებოდა, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი მაინც ყოფილიყო მათთვის მაგალითი. კანონი გულისხმობდა სკოლა-ლიცეუმის გახსნას, აგრეთვე, უნივერსიტეტებში ვითარების მოგვარებასაც. **დღეს საქართველოში წარმოუდგენელი თანაფარდობაა, ერთ ლექტორზე მოდის დაახლოებით 30 სტუდენტი, მსოფლიოში კი საშუალო მონაცემი დაახლოებით 1/10-ზეა.** მოკლედ, გავამზადე ეს კანონი, მხოლოდ იურიდული გაფორმება სჭირდებოდა, მაგრამ მითხრეს, ამ კანონს დამტკიცების არანაირი შანსი არ აქვსო. აი, ამდენი შანსი გაუშვა ხელიდან ხელისუფლებამ. **თუ პრობლემას თავის ნებაზე მიუშვებთ, ის სადღაც აუცილებლად ამოხეთქავს. რაც შემდეგ უნივერსიტეტში მოხდა (სტუდენტებს შორის დაძაბულობა), სწორედ ამის შედეგი იყო. ეს არის კონკრეტული გამოვლინება იმ უყურადღებობისა, რომელიც უმაღლესი განათლების კანონის მიმართ გამოვიჩინეთ.**



**— დილომში ახალი ტექნოლოგიური ინსტიტუტი შენდება, რომლის დამფუძნებელიც საქართველოს მთავრობაა. პროექტს აფინანსებს საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“. ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, მეცნიერს სჭირდება განათლება და განათლებას სჭირდება მეცნიერიო. როგორ ფიქრობთ, წაადგება ეს პროექტი საქართველოს განათლების სისტემას? ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის გახსნას ხომ არ სჯობდა, მიეხედათ ტექნიკური უნივერსიტეტისთვის?**

— თუ გახსნიან ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, ამას რა სჯობს, მაგრამ არ შეიძლება, სახლის შენება სახურავიდან დავიწყოთ, სახლის მშენებლობა უნდა დავიწყოთ საძირკვლიდან. პირველ რიგში, მისახედია საშუალო სკოლები. ყველაზე კარგი იქნებოდა, ქუთაისში ყოფილიყო ერთი დიდი ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. თუ რამეს გააკეთებენ, რა სჯობს, მით უმეტეს, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. გამოსავალი არის ის, რომ საკითხი საფუძვლიანად მოვაგვაროთ. **თუ სკოლებსა და უნივერსიტეტებს არ მივხედავთ, რას გვიშველის ახალი ტექნოლოგიური ინსტიტუტი, რომელიც მეორე და მესამე საფეხურის განათლების მიღებას გულისხმობს?! ახალმა ხელისუფლებამ ხელიდან რამდენიმე შანსი გაუშვა. განა არ შეიძლებოდა 4 წლის განმავლობაში ამ პროცესებისთვის მიეხედათ?** როგორი იმედი მქონდა, რომ ესენი მაინც შეცვლიდნენ რამეს განათლების სისტემაში, მეგონა, უკეთესობისკენ წავიდოდა საქმე. წინა ხელისუფლებაც იმავეს გვპირდებოდა, მაგრამ მათ, საერთოდ, დააქციეს განათლება და მეცნიერება. გახსოვთ, **კახა ლომაია** რომ ტრაბახობდა? არადა, რა ჰქონდა სატრაბახო? შემდეგ „ქართული ოცნების“ იმედი გვქონდა, მაგრამ საშველი მაინც არ ჩანს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია განადგურებული იყო — ამერიკელებმა ატომური ბომბი ხომ იქ გამოსცადეს პირველად. დანგრეულმა ქვეყანამ იცოდა, რომ ომის შემდეგ, პირველ რიგში, განათლებისთვის უნდა მიეხედა და შემოსავლების 30% გადადო განათლებისთვის, რამდენიმე წელიწადში კი ფანტასტიკური შედეგი მიიღო. ქვეყნისთვის უპირველესი საზრუნავი განათლება უნდა იყოს. **ძალიან ვწუხვარ, რომ ეს ოთხი წელი ასე ფუჭად დაიკარგა. ეს ყველაფერი მოულოდნელი იყო იმ ხალხისგან, რომლის დიდი იმედიც გვქონდა. ჩვენ ახლა შედეგებს ვიმკით.** განათლების გარეშე ვერც საზოგადოების ეკონომიკურ მდგომარეობას აამაღლებენ, ვერც მეზობელ ქვეყნებს დააინტერესებენ. თუ შიგნით ვერ მოვაგვარებთ საქმეს, ვერც ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთ. განა სოფლის მეურნეობას არ სჭირდება განათლებული ხალხი? იცით, რომ სოფელში ვეტერინარიც კი არ ჰყავთ? განათლება არის უპირველესი საზრუნავი, ვერაფერს გავაკეთებთ გაუნათლებელი ხალხის იმედად, შეიგნოს ეს, ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებამ!

> **«დღეს საქართველოში წარმოუდგენელი თანაფარდობაა: ერთ ლექტორზე მოდის დაახლოებით 30 სტუდენტი, მსოფლიოში კი საშუალო მონაცემი დაახლოებით 1/10-ზეა»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ იმ თურქეთმა, დღეს მავანს „ისტორიულ მეგობრად“ შემოსაღება რომ უნდა, 1918 წლის მარტ-აპრილში მთელი აჭარა და სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი დაიკავა და ოსმალთა ჯარების დროებით შეჩერება მხოლოდ ჩოლოქთან და აქეთ, მტკვრის ხეობაში, ბორჯომთან მოხერხდა — საქართველო, რომელიც იმხანად ე.წ. ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული (სომხეთ-აზერბაიჯანთან ერთად) სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ოსმალთაგან სრული ოკუპაციის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

# საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი უნდა გაუქმდეს და მის ადგილას სააკაშვილის მიერ ქართველთა გენოციდის მუზეუმი უნდა დაარსდეს

**ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების შემდეგ აგერ უკვე 25-ე, საიუბილეო 26 მაისი „ვიზეიმეთ“.
თუმცა საინტერესოა, რა ვიზეიმეთ, უფრო სწორად, რომელი დამოუკიდებლობა გვაზეიმა გასულ კვირაში ნაცებ-ქოცების ხელისუფლებამ, დამოუკიდებლობა, რომელიც ბუნებაში არ არსებობს?!**

## «ერთიანი ნაციონალური მოძრაობა» უნდა გასამართლდეს და მისი საქმიანობა ისევე აიკრძალოს, როგორც თავის დროზე გაასამართლეს ნიურნბერგში გერმანული ფაშიზმი

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღება, გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, იძულებითი ნაბიჯი რომ იყო ნოე ჟორდანიას მენშევიკური მთავრობისთვის, ცნობილი ფაქტია — **დიდი ილიას მკვლელ სოციალ-დემოკრატებს სიზმარშიც კი არ უოცნებიათ საქართველოს დამოუკიდებლობაზე.**

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული და იმავე წლის ოქტომბრის ბოლშევიკური რევოლუციების შემდგომი ანარქიით ოსმალეთის იმპერიამ ისარგებლა და ოდესღაც „მისი კუთვნილი“ გურჯისტანის ვილაიეთის ტერიტორიებს შეესია.

**სწორედ იმ თურქეთმა, დღეს მავანს „ისტორიულ მეგობრად“ შემოსაღება რომ უნდა, 1918 წლის მარტ-აპრილში მთელი აჭარა და სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი დაიკავა და ოსმალთა ჯარების დროებით შეჩერება მხოლოდ ჩოლოქთან და აქეთ, მტკვრის ხეობაში, ბორჯომთან მოხერხდა — საქართველო, რომელიც იმხანად ე.წ. ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციული (სომხეთ-აზერბაიჯანთან ერთად) სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა, ოსმალთაგან სრული ოკუპაციის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.**

ანალოგიური საფრთხე ემუქრებოდა ერევანსა და ბაქოს, ამიტომ **ოსმალთა მიერ ოკუპირებულ(!) ბათუმში 1918 წლის 11 მაისს დაიწყო მოლაპარაკებები ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციულ სახელმწიფოს შორის, რომელსაც ამ სახელმწიფოს მთავრობის მეთაური აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა, მაგრამ მოლაპარაკებები მეორე დღესვე შეწყდა, რადგან თურქეთი მიტაცებული ტერიტორიების დათმობას არ აპირებდა!..**

ამიერკავკასია-ოსმალეთის „სამიტს“ გერმანიის მხრიდან ესწრებოდა გენერალი **ოტო ფონ ლოსოვი**, რომელთანაც **აკაკი ჩხენკელს** რამდენიმე კულუარული შეხვედრა ჰქონდა. მათ აღიარეს ამიერკავკასიული ფედერაციის შენარჩუნების უპერსპექტივობა და **გერმანელმა ურჩია აკაკი ჩხენკელს, დაეშალათ სამოკავშირეო სახელმწიფო, საქართველოს გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა და ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში დახმარება გერმანიის იმპერიისთვის ეთხოვა.**

საბოლოოდ ასეც მოხდა, მაგრამ მალე, 1918 წლის 11 ნოემბერს, გერმანია დამარცხდა პირველ მსოფლიო ომში, მისმა ჯარებმა დატოვეს საქართველო, ძლიერი მოკავშირის პოვნა კი შეუძლებელი აღმოჩნდა და... საქართველო ისევ რუსეთის იმპერიის, ამჯერად უკვე ბოლშევიკურის შემადგენელი ნაწილი გახდა.

თუმცა საქართველოს პირველი რესპუბლიკის კრახი მხოლოდ ბოლშევიკების ბრალი ნამდვილად არ ყოფილა. მთავარი მიზეზი იყო ის, რომ **დამოუკიდებლობის გამოცხადება ყოველივე ეროვნულობისგან დაცლილ სოციალ-დემოკრატებს არგუნა არსთა გამრიგემ (ხანდახან უფალსაც უყვარს ხოლმე ხუმრობა), თორემ ეროვნულ ხელისუფლებას ნამდვილად შეეძლო ისეთი ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა, რომელიც ბოლშევიკების უნიფხვო, შიშველტიტველი შეიარაღებული ბრბოს მედგარ წინააღმდეგობას გაუწევდა!**




**ნოე ჟორდანიამ** კი რა ჰქნა?

უპირატესობა მიანიჭა არა პროფესიონალ სამხედრო კადრებს, არამედ პარტიული ნიშნით შექმნილ სახალხო გვარდიას, რომლის სარდალ **ვალიკო ჯუღელის** ერთადერთ „დიად გამარჯვებად“ ცხინვალის მოსახლეობის აწიოკებას თუ ჩავთვლით. სომეხ-ქართველთა ომში კი მართლა დიდი გამარჯვების პირას მდგომი ქართული არმიის გადამწყვეტი შეტევა გენერალი **გიორგი მაზნიაშვილის** მეთაურობით სწორედ ნოე ჟორდანიას ბრძანებით შეჩერდა.

როგორ ჰგავს ეს ასი წლის წინანდელი ბატალიები საქართველოს უახლეს წარსულსა და აწმყოს?!

**ახლაც ხუმრობის განწყობაზეა არსთა გამრიგე, რადგან ყოველგვარი ეროვნულობისგან დაცლილი, ნულოვანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია და მათი აშკარა თუ ფარული იდეური მოკავშირეები დგანან ქვეყნის მართვის სადავეებთან პრეზიდენტ მარგველაშვილის, პრემიერ კვირიკაშვილის, პარლამენტის სპიკერ უსუფაშვილისა თუ მისი თანამეცხედრე თავდაცვის მინისტრ ხიდაშელის სახით, რომლებიც ყველანი ერთად, ნებისით თუ უნებლიეთ, შიზოიდი მიშა სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის რესტავრაციისთვის იღვწიან...**

ცინიზმის უმაღლესი ფორმა იყო 26 მაისის სამხედრო აღლუმის კადრები — ახალწვეულმა ჯარისკაცებმა სამშობლოსადმი ერთგულება-თავგანწირვის ფიცი დადეს იმ თავდაცვის მინისტრის წინაშე, რომელიც საკუთარ შვილებს არ ზრდის იმ პათოსით, რომ, თუ საჭირო შეიქნა, სამშობლოს უნდა შეეწიროს; იმ პრეზიდენტის წინაშე, რომელიც ქართველ ერს დებილს უწოდებს და თავის მდიდარ სექსზე ლაპარაკობს; იმ პრემიერის წინაშე, რომლის მიყვანილი ახალი სახე ქოცებისა ორი გვამის მაძიებელი ვანო მერაბიშვილის ნიჭიერებას მისტირის; იმ სპიკერის წინაშე, რომელმაც 1989 წლის 9 აპრილის კვირაძალს ჩაიხუტა გულში კომპარტიის წითელი მანდატი და ა.შ.

ეს ისე, რომ იტყვიან, მცირე ლირიული გადახვევა და აი, მთავარ სათქმელსაც მივადექით...

**ძია სემის „ნამესტნიკით“ — აშშ-ის ელჩით, „ცარსკი ნამესტნიკის“ შეცვლით და კრემლის ნაცვლად ამერიკის საელჩოდან ინსტრუქციების მიღებით მოიპოვა საქართველომ დამოუკიდებლობა?**

სხვა თუ არაფერი, რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანა მაინც არის და კრემლშიც, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის კაცები სხედან და არა ისეთები, როგორებიც არიან თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მოღვაწე სამყაროს გაცისფერებაზე, დემოტრაკიზაცია-სოდომიზაციაზე მეოცნებენი.

ზემოთქმულიც რომ არ იყოს და მართლა საზეიმოდ გვქონდეს საქმე, რატომ ანტიეროვნული მენშევიკების მიერ იძულებით დაწესებული დამოუკიდებლობის დღე — 26 მაისი და არა 1991 წლის 9 აპრილი, როდესაც საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა?

მით უმეტეს, **2011 წლის 26 მაისის სისხლიანი კალოს შემდეგ ზნეობრივია 26 მაისს საზეიმო ტაშ-ფანდურის მოწყობა?**

ჩემი ღრმა რწმენით, საქართველომ დამოუკიდებლობის დღედ 9 აპრილი უნდა გამოაცხადოს და, თუ ზეიმია, სწორედ ამ დღეს უნდა ვიზეიმოთ. რაც შეეხება 26 მაისს, ისიც ყოველწლიურად უნდა აღვნიშნოთ, როგორც სააკაშვილის 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმის, ქართველთა გენოციდის დღე, გნებავთ, ქართველთა ჰოლოკოსტის.

„ჰოლოკოსტი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ყველაფრის დაწვას“. ამ ტერმინადქცეული სიტყვით კი სახელდებულია ებრაელი ერის მიმართ მიზანმიმართულად განხორციელებული მასობრივი გენოციდი, რომელიც გერმანიის ხელისუფლებაში **ადოლფ ჰიტლერის** მოსვლისთანავე დაიწყო და მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ შეწყდა. ომის, რომლის დროსაც გერმანელმა ნაცისტებმა მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები 8 მილიონი ებრაელიდან 6 მილიონის გაჟუჟვა მოასწრეს გაზის კამერებსა თუ ადამიანის ხორცით აგიზგიზებულ კრემატორიუმებში. ამიტომ უწოდა ებრაელმა ხალხმა თავის ტრაგედიას „ცეცხლოვანი მსხვერპლი თუ მსხვერპლთშეწირვა ცეცხლის გამოყენებით“.

ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის პარალელის გავლება ჰიტლერის ნაცისტებსა და სააკაშვილის ნაცისტებს შორის?

არა მგონია, რადგან სააკაშვილის ნაცისტებს სხვა დროსა და სივრცეში მოუწიათ „მოღვაწეობა“ და ამიტომ იყო მათ მიერ ქართველების მიმართ მოწყობილი ჰოლოკოსტი ჰიტლერისაზე ნაკლებად მაშტაბური, თორემ სხვა დროსა და სივრცეში 300 ათასზე მეტ პატიმარს, ათობით ახალგაზრდის ქუჩაში დახვრეტას, ათობით ათას გაწამებულ-გაუპატიურებულ ქართველს არ იკმარებდნენ, არც მავთულხლართებიან კლასიკურ საკონცენტრაციო ბანაკებს დაგვამადლიდნენ და კრემატორიუმების ღუმელებსაც სიამოვნებით შეუკეთებდნენ ქართველთა გვამებს(!).

დააკვირდით ავადმყოფ სააკაშვილს — რამხელა ბოროტება და ღვარძლი გამოსჭვივის მისი თვალებიდან. რომ შეეძლოს, თვალის დაუხამხამებლად გაგვჟუჟავდა, როგორ გავბედეთ და მისი სიდიადე ვერ დავინახეთ უმადურმა ქართველებმა და გავაძევეთ საქართველოდან.

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს და მისი საქმიანობა ისევე აიკრძალოს, როგორც თავის დროზე გაასამართლეს ნიურნბერგში გერმანული ფაშიზმი; გაუქმდეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი და მის ადგილას მიშნაცების ოკუპაციის, მათ მიერ ქართველთა გენოციდის, ჰოლოკოსტის მუზეუმი დაარსდეს, რომელშიც მთავარი მტკიცებულებები სამეგრელოს ტყეებში აღმოჩენილი კასრების შიგთავსი იქნება.**

ისევე, როგორც მთელი მსოფლიო აღნიშნავს ებრაელთა ჰოლოკოსტის დღეს, ჩვენც უნდა აღვნიშნოთ ყოველ 26 მაისს რუსთაველის გამზირზე ქართველთა ჰოლოკოსტი, რათა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი საშინელებები აღარასოდეს განმეორდეს საქართველოში.

როგორც ებრაელთა ჰოლოკოსტის არსებობაში ეჭვის შეტანა ან რაიმე სახით მისი გამართლება სისხლის სამართლით ისჯება დემოკრატიულ მსოფლიოში, ასევე უნდა დაისაჯოს ქართველთა ჰოლოკოსტის რაიმე სახით გათეთრების მცდელობაც.

**დავით მხეიძე**

**ახლაც ხუმრობის განწყობაზეა არსთა გამრიგე, რადგან ყოველგვარი ეროვნულობისგან დაცლილი, ნულოვანი რეიტინგის მქონე რესპუბლიკური პარტია და მათი აშკარა თუ ფარული იდეური მოკავშირეები დგანან ქვეყნის მართვის სადავეებთან**

**26 მაისს დამოუკიდებლობის აღნიშვნა წარსულის შეურაცხყოფაა. 26 მაისი უდღეური რესპუბლიკის დღეა, წაიკითხონ ისტორია და გაიგებენ. საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი წერდა: „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*თემურ ქორიძე:*

# დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს. ქვეყანას მართავს ტომის ბელადი!

**1991 წლის 9 აპრილს საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა — დროშა, გერბი და ჰიმნი. მანამდე, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის ერთადერთ კითხვას: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ დადებითი პასუხი გასცა ქვეყნის საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა, მათ შორის აფხაზებმაც. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, იმავე დღეს აშშ-ის კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად სცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც წარმოადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო ცნობას. საქართველო დამოუკიდებლობის 25 წელიწადს ითვლის.
რისთვის იბრძოდნენ ეროვნული მოძრაობის წევრები და რა სურდა 25 წლის წინათ ქართველ ხალხს?
— ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ეროვნული მოძრაობის წევრს, პირველი ეროვნული მთავრობის წარმომადგენელს — თემურ ქორიძეს ვესაუბრეთ.**

**— ბატონო თემურ, რისთვის იბრძოდით 25 წლის წინათ და რას ელოდით დამოუკიდებელი საქართველოსგან?**

— საქართველოს, ქართველ ხალხს ენატრებოდა თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირში დაცულები ვიყავით სოციალურად, პოლიტიკურად, ტერიტორიულად... ქართველი ხალხი აბობოქრდა, მოინდომა ნამდვილი თავისუფლება და მოიპოვა კიდეც. მთელი საქართველო ვიბრძოდით იმისთვის, რომ ნამდვილად თავისუფალი ვყოფილიყავით. ზუსტად ისე, როგორც ილია ამბობდა: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“... გვინდოდა, ჩვენი თავის ბატონ-პატრონები ვყოფილიყავით; გვინდოდა, ჩვენი რელიგიის, ადათ-წესების, სულიერ-მატერიალური ცხოვრების პატრონები ვყოფილიყავით. საბჭოთა კავშირის შექმნიდან 70 წლის თავზე ქართველში ისევ გაიღვიძა ეროვნულმა მემ. ჩვენ ვიბრძოლეთ და საწადელს მივაღწიეთ კიდეც.

სამწუხაროა, რომ ამ ბრძოლას არავინ უფასებს ქართველს ხალხს. ნურავინ შეურაცხყოფს 9 აპრილს. ბევრს უყვარს თქმა — 9 აპრილს პატრიარქს არ დაუჯერესო... მაგრამ ეს ასე არ იყო.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენ ხანს ვიყავით თავისუფალი? დღეს, დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 25 წლის თავზე, არც თავისუფლები ვართ და არც ქვეყანა გვაქვს სუვერენული...**

— როდესაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეალებზე ვსაუბრობთ, ალბათ, ხვდებით, როგორი გულწრფელი იყო მაშინ ხალხი, რა დიდი იყო თავისუფლების სურვილი. ადამიანები, რომლებიც თავისუფლებისთვის იბრძოდნენ, იყვნენ ასკეტები, პურიტანები, არავინ ფიქრობდა ფულზე, აგარაკზე, სასახლეზე... ბარაქალა იმ საქართველოს, რომელმაც 25 წლის წინათ იბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. ყველა ვალდებული ვართ, იმ საქართველოს თავი დავუხაროთ. იყო სიშლეგეებიც, მაგრამ ის საქართველო გაბრწყინებული იყო.

ჩვენი ქვეყანა დიდებული და გაბრწყინებული ძალიან ცოტა ხანს იყო, მხოლოდ სამი წელი. რატომ მოხდა სიშლეგეები? ცხოვრებისეული გამოცდილებით მივხვდი იმას, რასაც გოეთე წერდა: „ადამიანებს არ შეუძლიათ დიდხანს იცხოვრონ იდეალებით“. იდეალები ბერდება, მხოლოდ გაელვებაა, მაგრამ საოცარ კვალს ტოვებს. იდეალებით, აღმაფრენით ორი-სამი წელიწადი ვიცხოვრეთ, თუმცა ეს საოცარი წლები იყო, რომლითაც ამაყობს საქართველო. ის წლები ჩვენს ქვეყანას კარგად ახასიათებს, მიუხედავად იმისა, რომ შემდეგ საშინელებაში გადავეშვით. ისტორიამ მსგავსი ამბები იცის.

**— როდესაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო, პოლიტიკოსებისგან ხშირად გვესმოდა: „მიწას, ბალახს შევჭამთ, ოღონდ თავისუფლები ვიყოთ“... 25 წელი გავიდა მას შემდეგ და საქართველოში ბევრი არაფერი შეცვლილა. უკიდურეს გაჭირვებაში ვცხოვრობთ... ფიქრობდით, რომ ჩვენი გაჭირვება ამდენ ხანს გასტანდა?**

— დიახ, ასეთი ფრაზები ისმოდა. იმხანად ქართველი საზოგადოება განწყობილი იყო იმისათვის, რომ უარი ეთქვა ყველანაირ კომფორტზე, ოღონდ უფრო მეტი ეპოვა. ეს მეტი კი იყო თავისუფლება. **დღეს ასეთ მდგომარეობაში იმიტომ ვართ, რომ არც თავისუფლები ვართ და არც მატერიალური კეთილდღეობა გვაქვს.** მაშინდელი საქართველო მზად იყო, დაეთმო სიკეთეები, რომელთაც საბჭოთა კავშირიდან ვიღებდით. ვიცი, დღევანდელი მდგომარეობის გაცვლა რომ მოხდეს საბჭოთა საქართველოზე, ბევრი დაუყოვნებლივ გაცვლის. **ბევრისგან მომისმენია სიტყვები: „ჩვენ კარგად ვცხოვრობდით, ეს რა გაგვიკეთეთ?“ — ეს ტრაგედიაა, დამოუკიდებელი საქართველოს კატასტროფა და ტრაგედიაა.**

**— რომ დარჩენილიყო თქვენი ხელისუფლება, მიაღწევდით, რომ სუვერენული სახელწიფო გვქონოდა, ვყოფილიყავით თავისუფლები და უკეთესად გვეცხოვრა?**

— იმისათვის, რომ იდეალის ხორცშესხმა მოხდეს, ფანატიკოსები სჭირდება ერს. ჩვენ ვიყავით ასეთი ფანატიკოსები. არც ერთი ჩვენგანი არ იტყოდა, სანამ ხელფასზე დანამატს არ მოგვცემთ, საქმეს არ გავაკეთებთო. ასეთი რამ ჩვენთვის წარმოუდგენელი იყო. ხელფაზე ლაპარაკი სირცხვილად აღიქმებოდა. ისტორიული კატაკლიზმების პერიოდში ქვეყანას ისეთი ლიდერები სჭირდება, რომლებიც გასცემენ, გაიღებენ და არა, მოიხვეჭენ. მიუხედავად იმისა, რომ შეცდომები გვქონდა, მაინც ვიყავით ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას სჭირდებოდა. საქართველო მიდიოდა ღირსების აღდგენის გზით. სწორედ ეს იყო მაშინდელი საქართველოს უპირველესი ამოცანა.

26 მაისს მომივიდა მოსაწვევი სამთავრობო წრეებიდან, მთაწმინდაზე მიწვევდნენ დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად. რა თქმა უნდა, არ წავედი, რადგან ეს ქართველი ხალხისთვის შეურაცხმყოფელია. დამოუკიდებლობის 25 წლისთავს აღნიშნავენ პირველი რესპუბლიკის დღეს. იცით, რაზე მეტყველებს ეს? ხელისუფლება პატივს არ სცემს ქართველი ხალხის 25 წლის წინანდელ თავგანწირვას. ურჩევნიათ კავშირი გარდაცვლილებთან ჰქონდეთ — ნოე ჟორდანიასთან, ნოე რამიშვილთან და ა.შ., ვიდრე იმ ადამიანებთან, რომლებიც ცოცხლები არიან.

**— ბატონო თემურ, ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ და მართლაც, როგორც თქვენ უკვე აღნიშნეთ, ამბობენ, რომ რა ფასი ჰქონდა ამ თავისუფლებას?**

— ჩვენ ისეთი საქართველოსთვის, როგორიც დღეს გვაქვს, არ გვიბრძოლია. გალაკტიონი წერდა: „დადიოდე და ხედავდე, ეს არ არის საქართველო“. **ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ასეთი საქართველოსთვის არ უბრძოლიათ.** სხვა საქართველოსთვის, სხვა სიმაღლეებითვის ვიბრძოდით. ისეთი აღფრთოვანებულები ვიყავით, კანში ვერ ვეტეოდით. ჩვენ ვიცოდით, რომ საქართველოს შეეძლო ყოფილიყო ბედნიერი, კეთილდღეობით აღსავსე ჰუმანური სახელმწიფო. უბედურება არის ის, რომ ვიღაცის გაცვლა-გამოცვლის ობიექტად ვიქეცით. არავინ იცოდა მაშინ, რომ საქართველოში გამოჩნდებოდა ადამიანი, რომელიც იტყოდა — მე ვხარჯავ ფულს, ამიტომ, ვისაც მინდა და სადაც მინდა, იქ დავნიშნავ. უფრო მეტიც, პირველი ლედიც მან აირჩია. ქვესკნელში ვცხოვრობთ.

**— როდის დაგვემართა ეს?**

— ოცი წელიწადია, ამ დღეში ვართ. ზუსტად ოცი წელიწადია, ივანიშვილი მართავს ამ ქვეყანას. ის იყო შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდებშიც და არის დღესაც...

ჩვენი უბედურება დაიწყო მაშინ, როდესაც დიდი პოლიტიკის შარაგზაზე გავედით, დავამყარეთ ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან და დამკვიდრება ვცადეთ. მალევე მივხვდით, რომ ადგილის პოვნა არც ისე ადვილია. გარდამავალ პერიოდში რომელიმე სახელმწიფოზე რომ ვყოფილიყავით დამოკიდებულები, გასაკვირი არ არის, რომელიმე სახელმწიფოს ინტერესთა სფეროში რომ მოვქცეულიყავით, არც ეს იყო საგანგაშო. ისტორიულად საქართველო სულ ამ დილემის წინაშე იდგა.

**საგანგაშოა, რომ ჩვენი ხელისუფლებები მთელი ამ ხნის განმავლობაში ყოვლად გაუმართლებელ ნაბიჯებს დგამდნენ. ისინი თანახმანი იყვნენ და არიან, ერთი სახელმწიფოს მონა-მორჩილნი გახდნენ და საქართველოს ტერიტორია სახელმწიფოების შეჯახების პოლიგონად აქციონ,** რაც დამღუპველია ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის. საქართველო არ უნდა მონაწილეობდეს ნატოს ოპერაციებში, ჩვენ გლობალური პოლიტიკის წარმმართველები არ ვართ. პატარა სახელმწიფოების საქმე არ არის გლობალურ პოლიტიკაში ჩართვა.

**— ყველას კარგად გვახსოვს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის — ირაკლი წერეთლის განცხადება, — როგორც კი საბჭოთა კავშირიდან გამოვალთ, მაშინვე ნატოს წევრები გავხდებითო. ეს თქვენი გეგმა იყო? არ იცოდით, რა რთული გზა გვექნებოდა გასავლელი?**

— აქტუალურად, პრინციპულად ნატოს საკითხი არ დასმულა. ირაკლი წერეთელს ეს იდეა ჰქონდა... საქართველო ორიენტაციას იცვლიდა...

დღეს ჩვენ მოგვეთხოვება გონივრული, ჭკვიანური სამეზობლო პოლიტიკა. **საქართველომ თავისი ტერიტორია არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმოს ჩვენი მეზობლის მოწინააღმდეგე ძალას.**

**— თუნდაც ერთი საარჩევნო ვადით რომ დარჩენილიყავით ხელისუფლებაში, მიხვდებოდით, რომ ნატოსკენ სწრაფვა სწორი არ არის?**

— ზვიად გამსახურდია არ იყო გულუბრყვილო. მას არასოდეს უთქვამს, რომ ნატოში შევალთ. ზვიად გამსახურდია არ იყო რუსოფობი. გადახედეთ მის ნაწერებს. მისი „ლევ ტოლსტოი“ ერთ-ერთი საუკეთესოა. ადამიანი, რომელსაც რუსები სძულს, ამას ვერ დაწერდა. მან იცოდა რუსული კულტურა და პატივს სცემდა. ის კრემლის პოლიტიკას ებრძოდა.

ზვიადს ეკუთვნის ასეთი ფრაზა: „დიახ, მე რუსოფილი ვარ!“. ნურავინ დასწამებს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ უმეცრებას. მისი იდეა იყო კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის.

როდესაც ზვიადმა რუსეთის პრეზიდენტი **ბორის ელცინი** მოიწვია, ყაზბეგში შეხვდნენ ერთმანეთს, რუსი პოეტის, პუშკინის ლექსით მიმართა. მეორე დღეს პუშკინის ინსტიტუტიდან დამირეკეს და მითხრეს, იქნებ ჰკითხოთ პრეზიდენტს, რომელი ლექსი წაიკითხაო.

**«ზვიად გამსახურდია არ იყო რუსოფობი. ზვიადს ეკუთვნის ასეთი ფრაზა: «დიახ, მე რუსოფილი ვარ!». ნურავინ დასწამებს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ უმეცრებას. მისი იდეა იყო კეთილმეზობლური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის»**

**— მიუხედავად იმისა, რომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ არ აღიარებთ, მაინც გკითხავთ: დამოუკიდებლობის 25 წლის თავზე რას ეტყოდით ქართველს ხალხს — ცოტა კიდევ მოვითმინოთ?**

— არა, არაფერი აღარ მოვითმინოთ. ქედი აღარ მოვიხაროთ. ჩვენი ისტორია სიამაყოთ გავიხსენოთ, 25 წლისწინანდელი საქართველო გავიხსენოთ. დღევანდელმა ქართველმა უნდა შეძლოს თავის დამკვიდრება. **დღეს ქართული სახელმწიფო არ არსებობს. ქვეყანას მართავს ტომის ბელადი.**

დაიწყეს საუბარი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის შექმნაზე, რაც კარგია, მაგრამ მთავარია, სახელმწიფო იყოს მოწოდების სიმაღლეზე, რასაც აუცილებლად მივაღწევთ. ვერ განვითარდება ქვეყანა, რომელშიც ფული მოპოვებული არ არის ეკონომიკით. ჩვენ სახელმწიფოდ უნდა ვიქცეთ, ამისთვის უნდა ვიბრძოლოთ და არაფერი მოვითმინოთ.

**26 მაისს დამოუკიდებლობის აღნიშვნა წარსულის შეურაცხყოფაა. 26 მაისი უდღეური რესპუბლიკის დღეა, წაიკითხონ ისტორია და გაიგებენ. საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი წერდა: „1918 წლის საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც“.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ყველაზე ხშირად ბუნებრივი აირის გადასახადის პრობლემების თაობაზე მოგვმართავენ, ელექტროენერგიაზე — უფრო ნაკლებად, ძირითადად, ხანდაზმულ დავალიანებებზე. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სამი წლის გადაუხდელი თანხის მოთხოვნის უფლება კომპანიას არ აქვს“**

ელდარ გოგიაშვილი:

# აბონენტებო, თუ თქვენი ინტერესები ილახება, აუცილებლად მიმართეთ სემეკს

**„საქართველო და მსოფლიოს“ ამა წლის მე-19 ნომერში დაიბეჭდა წერილი „ფრთხილად „თელასი“ გატყუებთ, „სემეკი“ კი ხმას არ იღებს“, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა მოსახლეობის მხრიდან, რადგან პრობლემა, რომელიც გაზეთმა წამოჭრა, მოსახლეობისთვის მეტად მტკივნეულია. გაირკვა, რომ აბონენტთა დიდი ნაწილი მოხმარებულ ელექტროენერგიაზე ტარიფით დადგენილზე მეტ თანხას იხდის. დაგვიკავშირდნენ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან და გვთხოვეს, ახსნა-განმარტების საშუალება მიგვეცა. გვესაუბრება მარეგულირებელი კომისიის მომხმარებელთა საჩივრების კომისიის თავმჯდომარე ელდარ გოგიაშვილი:**

## «მოსახლეობას არ აინტერესებს, ჰყავს თუ არა «თელასს» საკმარისი თანამშრომლები»

— თქვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი ელექტროენერგიის ტარიფის საფეხუროვან გადახდასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ისინი ნამდვილად არსებობს, რაზეც მეტყველებს მარეგულირებელ კომისიაში განხილული საჩივრების რაოდენობა.

საქართველოში მოქმედებს ტარიფი, რომელიც გამჭოლია, ანუ მოხმარებული ელექტროენერგია ანგარიშდება იმ წესის მიხედვით, რომელიც მარეგულირებელ კომისიას აქვს დადგენილი. ტარიფები კომისიის დადგენილების საფუძველზეა მიღებული და, შესაბამისად, გადახდა ხდება იმ წესით, რომელიც კომისიის სამართლებრივ აქტშია მოხსენიებული. აქტი ნორმატიულია და ყველა კომპანია ვალდებულია, შეასრულოს, მისი შესრულება სავალდებულოა მომხმარებლისთვისაც.

**პრობლემა არის ის, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის ჩვენების ამოწერა მრიცხველიდან არ ხდება ერთსა და იმავე რიცხვში. ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის. როგორც „თელასში“ განმარტავენ, აბონენტთა რაოდენობა დიდია, კომპანიას კი საკმარისი თანამშრომელი არ ჰყავს. არადა, ჩვენების ამოწერა 30-ე დღეს უნდა მოხდეს.** „თელასი“ ჩვენებას იღებს ორი-სამი დღით ადრე, მაგრამ ანგარიშობს 30 დღეზე. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კომისიას მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რადაც უნდა დაუჯდეს, დაიანგარიშოს იმ საფეხურით, რომელსაც შეესაბამება მოხმარებული ენერგია 30-ე დღემდე. შესაბამისად, ყველა ის დარიცხვა, რომელიც გაკეთებულია 30 დღემდე, მაგრამ დაანგარიშებულია 30 დღეზე, ჩვენ მიერ გაუქმებულია და შეცვლილია ტარიფის საფეხურიც.

ქვითარზე აღნიშნული ციფრები ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რაც, ბუნებრივია, მოსახლეობას აფიქრებინებს, რომ ატყუებენ, რადგან მათ ზუსტად არ იციან, როგორ ანგარიშობს „თელასი“ გადასახადს. **კომპანია არ იტყუება — მარეგულირებელი კომისიის დადგენილების შესაბამისად ანგარიშობს, ანუ 30 დღეზე. მარეგულირებელი კომისიის დადგენილება უნდა შესრულდეს, მაგრამ “თელასი” ვალდებულია, სისტემაში არსებული აღრიცხვის ხარვეზი გამოასწოროს. ისინი ამისთვის დაჯარიმებულები არიან.**

**— გასაგებია, რომ აჯარიმებთ, მაგრამ ეს დაჯარიმება უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება?**

— ბოლო ხანს ასეთი საჩივრები შემცირდა, კომპანია აუცილებლად დაჯარიმდება განმეორებითი დარღვევისას. პირველი ჯარიმა 5 ათასი ლარია, მეორე — 15 ათასი ლარი, ხოლო მესამე – 45 ათასი. ამის შემდეგ ლიცენზია შეუჩერდება. არც ერთ კომპანიას არ აძლევს ხელს დაჯარიმება.

**— თუ ყოველ კვირაში განიხილავთ „თელასის“ მიერ ჩადენილ „დანაშაულს“, სამჯერაც არ დაგიჯარიმებიათ?**

— ყოველ კვირას სხვადასხვა სახის დავას განვიხილავთ. მერწმუნეთ, თუ ერთი და იგივე პრობლემა გაჩნდა, არავის ვაპატიებთ, არც „თელასს“.

**— დავუშვათ, ვინმემ გადაწყვიტა, რომ, რამდენჯერაც მის ოჯახში მივა „თელასის“ ქვითარი და იქნება დარღვევა, ყველა ჯერზე თქვენთან მოვიდეს. რას იზამთ ასეთ შემთხვევაში, როცა ეს დარღვევა სამზე მეტი იქნება?**

— მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილების შეუსრულებლობა გამორიცხულია. ჩვენ აუცილებლად მივიღებთ შესაბამის ზომებს. კომპანია სამჯერ დაჯარიმდება და მერე მოქმედება შეეზღუდება, მაგრამ ეს არის მარტივი პროცესი, რადგან ამ საკითხებში სასამართლოც ერევა.

**— ექსპერტები „რეპრესიულს“ უწოდებენ დღეს არსებულ ტარიფს...**

— თქვენ მიერ ჩაწერილი ექსპერტის ვარაუდით, 104 კილოვატს უნდა გამოვაკლოთ 100 და 4 კილოვატიდან ხელახლა ავთვალოთ, მაგრამ ამას ვერ გავაკეთებთ, რადგან დადგენილებაა ასეთი. 101 კილოვატიდან დაანგარიშება ნიშნავს 100 კილოვატ მოხმარებულ ელექტროენერგიას, ხოლო 104 ნიშნავს ზუსტად 104 კილოვატს.




### «მოსახლეობას ვეტყვი, რომ აუცილებლად გააპროტესტოს ყველა შეცდომა, რომლებიც ამა თუ იმ კომპანიის მიერ იქნება დაშვებული და რომელიც მათ ფინანსურად დააზარალებს»

**— ფიქრობთ, რომ ეს სწორია?**

— ვფიქრობ, **ყველამ უნდა გადაიხადოს იმის შესაბამისი თანხა, რა რაოდენობის ელექტროენერგიაც მოიხმარა. ხოლო კომპანია, რომელიც აღრიცხვას აწარმოებს, ვალდებულია, ჩვენება აიღოს ზუსტად 30-ე დღეს. მოსახლეობას არ აინტერესებს, ჰყავს თუ არა „თელასს“ საკმარისი თანამშრომლები.**

სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს ამ ტიპის დარღვევები ნაკლებად არის, რადგან „თელასმა“ რამდენჯერმე მიიღო გაფრთხილება და ცდილობს, აღმოფხვრას პრობლემა.

**— არ ფიქრობთ, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, რასაც თქვენ აკეთებთ და რის „გამოსწორებასაც“ „თელასი“ ცდილობს, მოსახლეობა ზედმეტი გადასახადისგან მაინც არ არის თავისუფალი და აბონენტები ამ ქვეყანაში დაუცველები არიან?**

— მოსახლეობას ვეტყვი, რომ აუცილებლად გააპროტესტოს ყველა შეცდომა, რომლებიც ამა თუ იმ კომპანიის მიერ იქნება დაშვებული და რომელიც მათ ფინანსურად დააზარალებს. ყველა კომპანია მოგებით არის დაინტერესებული, მათ ნაკლებად აინტერესებთ თანმდევი პროცესი და საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ეროვნული მარეგულირებელი კომისია იმისთვის არსებობს, რომ მოსახლეობის, მომხმარებლის ინტერესები დაიცვას.

**აბონენტებო, თუ თქვენი ინტერესები ილახება, აუცილებლად მოგვმართეთ. ამის გაკეთება ღირს, რადგან შემოსული საჩივრების 80%-ზე მეტი მომხმარებელთა ინტერესების დაცვით სრულდება. უმეტეს შემთხვევაში, მომხმარებელი მართლდება, ამისთვის საჩივარიც და განცხადებაც ობიექტური უნდა იყოს. გასაჩივრების ვადა ათი დღეა. მთავარია, ეს ვადები არ დაირღვეს და ჩვენ ხელ-ფეხი არ შეგვეკრას. დანარჩენ შემთხვევაში, პირობას ვაძლევთ ყველას, რომ ნებისმიერი საჩივარი განხილული იქნება და საჭირო ზომებსაც მივიღებთ.**

იმის დასტურად, რომ ჩემი სიტყვები გაზვიადებული არ არის, წარმოგიდგენთ სტატისტიკას: 2015 წლის მონაცემებით, 1760 განცხადება განვიხილეთ, რომლებიც მხოლოდ კომუნალურ გადასახადს შეეხებოდა. აბობენტებს კომპანიები არა მხოლოდ ტარიფებზე არიცხავენ გადასახადს, არამედ მრიცხველების დაზიანებაზეც, არის კიდევ უამრავი სხვა სახის ჯარიმა. 1760 განცხადებიდან 675 დენის გადასახადზე იყო, ბუნებრივ აირზე — 789, წყლის გადასახადზე — 314.

ყველაზე ხშირად ბუნებრივი აირის გადასახადის პრობლემების თაობაზე მოგვმართავენ, ელექტროენერგიაზე — უფრო ნაკლებად, ძირითადად, ხანდაზმულ დავალიანებებზე. **მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ სამი წლის გადაუხდელი თანხის მოთხოვნის უფლება კომპანიას არ აქვს.** ყველა ამ განცხადების განხილვის შემდეგ კომპანიებს ჯამში მილიონ 552 ათას 978 ლარი აქვთ ჩამოწერილი. ეს არაა მცირე თანხა.

2016 წლის 4 იანვრიდან 4 მაისის ჩათვლით 863 განცხადება-საჩივარია შემოსული; მათ შორის ბუნებრივ აირზე — 392, ელექტროენერგიაზე — 361, წყალზე — 109. მათგან 499 განხილულია და გადაწყვეტილებაც მიღებული. ყველაზე მეტი განცხადება სწორედ ზედმეტად დარიცხული თანხების გამო იყო, შემდეგ — ხანდაზმული გადასახადი. განხილული განცხადებებიდან 316 შემთხვევა სრულად არის დაკმაყოფილებული, ანუ დიდი ნაწილი. სწორედ ამიტომ ვთქვი თავშივე, რომ მოსახლეობას მარეგულირებელ კომისიაში მოსვლა და გასაჩივრება ეღირს. 2016 წლის მაისამდე კომპანიებისთვის ჩამოწერილი თანხების რაოდენობა 732 ათას 587 ლარს შეადგენს, ანუ ნახევარ მილიონზე მეტს.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**პრობლემა არის ის, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის ჩვენების ამოწერა მრიცხველიდან არ ხდება ერთსა და იმავე რიცხვში. ეს სერიოზულ პრობლემას ქმნის. როგორც «თელასში» განმარტავენ, აბონენტთა რაოდენობა დიდია, კომპანიას კი საკმარისი თანამშრომელი არ ჰყავს. არადა, ჩვენების ამოწერა 30-ე დღეს უნდა მოხდეს**

მოკლედ




## გერმანიაში გახშირდა ლტოლვილებზე თავდასხმა

**გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრის — ტომას დე მეზიერის განცხადებით, ქვეყანაში მოიმატა ლტოლვილებზე თავდასხმის შემთხვევათა რაოდენობამ.**

„უკვე 2015 წელს 5-ჯერ მოიმატა ლტოლვილთა ბანაკებზე თავდასხმის შემთხვევათა რაოდენობამ — 199-დან 1031 — მდე. 2016 წლის პირველ თვეებში კი ვითარება კიდევ უფრო გაუარესდა. იანვრიდან დღემდე ლტოლვილთა თავშესაფრებს 449-ჯერ დაესხნენ თავს, 654-ჯერ კი — თვითონ ლტოლვილებს, 107 შემთხვევაში ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით“, — განაცხადა დე მეზიერმა.

მინისტრის აზრით, მიგრაციულმა კრიზისმა დესტრუქციული მოქმედების ტალღა გამოიწვია და დაასუსტა „ძალადობის გამოყენების ფსიქოლოგიური ბარიერი“.



ალ-ჰაირის ტუსაღებს თავიანთი ოთახები აქვთ ტელევიზორითა და დიდი ორადგილიანი საწოლებით. პატიმრებს უფლებას აძლევენ, შეხვდნენ მეუღლეებს, სთავაზობენ აკვააერობიკის გაკვეთილებს ადგილობრივ აუზში, ბილიარდის თამაშს და ე.წ. არტ-თერაპიას. მოკლედ, საუდის არაბეთის ხელისუფლება ტერორისტების გამოსწორებას ფუფუნებით ცდილობს.

ეს უნდა იცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა, სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## საუდის არაბეთის ციხეში პატიმარ ტერორისტებს სპა-მომსახურებასა და ბილიარდით გართობას სთავაზობენ



**საუდის არაბეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, ტერორიზმს ებრძვიან და საკმაოდ წარმატებით, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ქვეყნის ხელისუფალთა დამოკიდებულება დაპატიმრებული ექსტრემისტების მიმართ სიტყვისა და საქმისგან ძალიან განსხვავებულია.**



საუდის არაბეთში დაპატიმრებული ტერორისტები მიჰყავთ ციხე ალ-ჰაირში. ამ პენიტენციურ დაწესებულებაში, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ ერ-რიადის გარეუბანში მდებარეობს, 1000-ზე მეტი ტუსაღია. ისინი სასჯელს ტერორიზმის ბრალდებით იხდიან... სპა-პროცედურების მკაცრი რეჟიმის პირობებში.

ალ-ჰაირის ტუსაღებს თავიანთი ოთახები აქვთ ტელევიზორითა და დიდი ორადგილიანი საწოლებით. პატიმრებს უფლებას აძლევენ, შეხვდნენ მეუღლეებს, სთავაზობენ აკვააერობიკის გაკვეთილებს ადგილობრივ აუზში, ბილიარდის თამაშს და ე. წ. არტ-თერაპიას. მოკლედ, საუდის არაბეთის ხელისუფლება ტერორისტების გამოსწორებას ფუფუნებით ცდილობს.








## აშშ-ში გარყვნილთა უფლებების დამცველებს ძეგლს დაუდგამენ

**ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველთა მონუმენტის დადგმას გეგმავენ ნიუ იორკის ერთ-ერთ რაიონში, სადაც ჩაისახა გეების საპროტესტო მოძრაობა, რომელსაც სტოუნვოლის ამბოხება უწოდეს.**

აშშ-ის ხელისუფლებას განზრახული აქვს, შექმნას ქვეყანაში პირველი ნაციონალური ძეგლი, რომელიც მიეძღვნება გეების უფლებებისთვის „მებრძოლებს“. ეს ძეგლი შეიძლება დაიდგას ნიუ იორკის ერთ-ერთ რაიონში — გრინვიჩ ველიჯში — თანამედროვე „გეი-განმათავისუფლებელი“ (სწორედ ასე უწოდებენ გეიაღლუმებს, პროვოკაციებსა და გარყვნილებას) მოძრაობის „სამშობლოში“. რა მოხდა იქ ისეთი, რაც შეესაბამება ცნება „განმათავისუფლებელს“?

გრინვიჩ-ვილიჯის გეიბარ „სტოუნვოლ-ინში“ 1969 წელს დაიწყო გეების პირველი საპროტესტო გამოსვლა, რომელსაც სტოუნვოლის ბუნტი უწოდეს და რომლის აღსანიშნავადაც, როგორც გაირკვა, გეები აღლუმებსა და „პრაიდების“ მოწყობას ცდილობენ მთელ მსოფლიოში.

ახლა ნიუიორკელი მაღალჩინოსნები განიხილავენ საკითხს, სად შეიძლება დაიდგას მონუმენტი და ამის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ობამა ძეგლის შექმნის შესახებ განაცხადებს.

## ამერიკელმა მასწავლებელმა მოსწავლეებს გაკვეთილზე ჰომოსექსუალი მეფეების ზღაპარი წაუკითხა

**ამერიკის ქალაქ ეფლანდის (ჩრდილოეთი კაროლინა) სკოლიდან დაითხოვეს მასწავლებელი, რომელმაც ბავშვებს ორი შეყვარებული მეფის ზღაპარი წაუკითხა.**

როგორც The News & Observeri-ი იუწყება, მასწავლებლის გათავისუფლებამდე სკოლაში მოხდა ინციდენტი, რომელშიც სკოლის რამდენიმე მოსწავლე მონაწილეობდა, და ერთ-ერთმა მოზარდმა თანატოლს გეი უწოდა, შემდეგ კი მას რამდენიმე ბავშვმაც დასცინა, — გოგონასავით იქცევაო“. ამის შემდეგ პედაგოგმა ომარ კარიმ გადაწყვიტა, გაკვეთილზე წაეკითხა ზღაპარი „მეფე და მეფე“. ჰოლანდიელი მწერლის — სტერნ ნეილანდის ამ წიგნში აღწერილია ერთი და იმავე სქესის ადამიანების სიყვარული. აღშფოთებულმა მშობლებმა სკოლიდან მასწავლებლის დათხოვა მოითხოვეს. თანამდებობა, აგრეთვე, დატოვა სკოლის დირექტორის მოადგილემ მენ გუდჰენდმა, რომელმაც ეს წიგნი მასწავლებელს ბავშვებისთვის წასაკითხად მისცა.



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„ქალთა უფლებების დამცველებად“ გვევლინებიან ფემინისტები, ლესბოსელები და ტრანსგენდერები. ისინი აცხადებენ პრეტენზიას, რომ წარმოადგენენ ქალთა ინტერესებს. არადა, ეს ხომ იგივეა, მამაკაცთა უფლებების დაცვაზე პრეტენზია წამოაყენონ პედერასტებმა, ლაჩრებმა, პიჟონებმა?!**

# პარლამენტში გამოკვ-ო-ტებული მო-ქ-ალადეები

**ცუდად აუხდა ევროპის გამაოგნებელი დემოკრატიის მშენებელს ერთი დაბალი დონის უწყინარი ანეკდოტის მოყოლა საკუთარი, როგორც თვითონ ამტკიცებს, ხანმოკლე პოლიტიკური კარიერის დასაწყისში. ბიძინა პოლიტიკიდან წავიდა, მაგრამ ქალი „ბუტკაში“ არ შევიდა; ან, სულაც, სწორედ საქართველოს პარლამენტი მიიჩნიეს გარკვეული ტიპისა და კატეგორიის ქალებმა „ბუტკად“ და დიდი დაჟინებითაც აპირებენ იქ შესვლა-მოკალათებას.**



ნანა ყეინიშვილი



თამარ კორძაია



ნინო ლომჯარია

**დროა, ამ ძალად ინტელექტუალ, სინამდვილეში კი სასტიკად უტვინო არაქალებს შევაგნებინოთ, რომ არჩევნები ხალხის ნების გამოხატულებაა და არა ვიღაც ტუტუცების დაწესებული კვოტების დაცვა! და, თუკი ვინმე დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოსახლეობას მოსწონს და მხარს უჭერს დევიზს „მეტი ქალი პარლამენტში!“, ვინ გიშლით?! ჩამოაყალიბეთ საკუთარი პოლიტიკური პარტია, ჩაწერეთ საარჩევნო სიაში თუნდაც ასივე პროცენტი ქალი და შედით უმრავლესობით პარლამენტში**

ის, რომ ამ კატეგორიის ქალებმა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის ეტალონად სწორედ პარლამენტი აირჩიეს და არა სხვა დაწესებულება ან სხვა სფერო, უკვე აღძრავს გარკვეულ ეჭვს მათ არაკეთილსინდისიერებაზე.

მაგალითად, **ასეთ ქალებს რატომღაც სულაც არ სურთ, „გენდერული თანასწორობის“ ფლაგმანად იქცეს ქვანახშირის შახტები, ელიავას ბაზრობაზე „ბარგალკით“ მდგომთა ბირჟები, „ატბოინი მალატოკით“ ბეტონის მნგრეველთა რიგები და უამრავი ისეთი მიმართულება, სადაც მამაკაცებისა და ქალების თანაბარი რაოდენობის ხილვა ერთობ საინტერესო იქნებოდა.**

სანამ თემას გავშლი, მკითხველს განვუმარტავ, რატომ ვიყენებ ამ არსებებზე საუბრისას სხვადასხვა ეპითეტს და არ მოვიხსენიებ მათ, უბრალოდ, ქალებად.

მიზეზი მარტივია — ისინი ჩემთვის სულაც არ არიან ქალები, ეს ადამიანები სწორედ ანტიქალები არიან და მათში საერთოდ არაფერია ქალური, მით უფრო, იოტისოდენიც არაფერი სცხიათ ჭკვიანი ქალისა, რომლის იმიჯის დამკვიდრებასაც ასე ძალუმად ცდილობენ სხვადასხვა სატელევიზიო თოქ-შოუში სტუმრობისას.

მთავარი კი ის არის, რომ **ეს არსებები არც ნამდვილ ქალებს მიაჩნიათ ქალებად. მეტიც, მათ მიმართ ყველაზე აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას სწორედ ქალები ავლენენ და ამდენად, ფრიად გაუგებარიცაა, რატომ, რა არგუმენტით იჩემებენ ეს არაქალები საქართველოში „ქალთა უფლებების დაცვას“.** განა შეიძლება ვინმეს უფლებებს იცავდეს ის, ვისაც არაფერში არ ეთანხმება მის მიერ დაცული?!

აკი, საქართველოში სწორედ ასეა დღეს საქმე: **„ქალთა უფლებების დამცველებად“ გვევლინებიან ფემინისტები, ლესბოსელები და ტრანსგენდერები. ისინი აცხადებენ პრეტენზიას, რომ წარმოადგენენ ქალთა ინტერესებს. არადა, ეს ხომ იგივეა, მამაკაცთა უფლებების დაცვაზე პრეტენზია წამოაყენონ პედერასტებმა, ლაჩრებმა, პიჟონებმა?!** ამ კატეგორიის ტიპები ვერასდროს გამოხატავენ მამაკაცთა ინტერესებს, რადგან მათ წარმოდგენაც არ აქვთ, რა ინტერესები აქვთ მამაკაცებს. სწორედ ასევე, ფემინისტმა შეიძლება დაიცვას ფემინისტის უფლებები, ლესბოსელმა — ლესბოსელისა, ხოლო ტრანსგენდერმა — ტრანსგენდერისა. **მათ შეიძლება გამოხატონ მხოლოდ საკუთარი მცირე ჯგუფის ინტერესები და არა მთლიანად ქართველი ქალებისა, რომელთა მისწრაფებების, სურვილების, რეალური მოთხოვნების შესახებ ამ მცირე და ფსიქიკურად მახინჯ ჯგუფებს წარმოდგენაც კი არ აქვთ.**

აკი, ჩვეულებრივი, ნორმალური, რეალურად ჭკვიანი და ინტელექტუალი ქალების მისწრაფება მამაკაცებთან ჯანსაღი კონკურენცია და ამ კონკურენციის საფუძველზე მიღწეული წარმატებაა ამა თუ იმ სფეროში. ხოლო ამათ, გონებით მახინჯ არსებებს, როგორც წესი, სადმე ინტრიგით, დაძალებით, შანტაჟით **გაკვეტება** ურჩევნიათ და, როგორც წესი, ზუსტად იქ **ეკვეტებიან** ხოლმე, სადაც მათნაირების ადგილი ჯანსაღ ვითარებაში არ უნდა იყოს.

როგორც დასაწყისში აღვნიშნე, ბოლო პერიოდში ყოველივე ამის მიზანი და მიმართულება პარლამენტია. უფრო ზუსტად, მათ სურთ პარლამენტში **გამოკვეტება** ოფიციალურად **გამოკვ-ო-ტებად** აქციონ და ამ მიზნით ყველაზე თავხედური აზრების გამოთქმასაც კი არ ერიდებიან, თუმცა ეს თავხედური აზრები ელემენტარულად მოაზროვნე მსმენელისთვის აშკარა იდიოტიზმად აღიქმება.

**ამაზრზენი საყურებელი და მოსასმენი იყო ამ ტუტუცი დედაკაცების გამოსვლა საქართველოს პარლამენტში, სადაც გასულ კვირას განიხილებოდა პროექტი კანონისა, რომლის მიხედვითაც პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო სიების წარდგენისას ე.წ. გენდერული კვოტები უნდა დაუწესდეთ.**

უმთავრესი ამაზრზენობა სწორედ ის იყო, რომ ეს ტვინით დაავადებული დედაკაცები პარლამენტარი მამაკაცების დაშანტაჟებას შეეცადნენ.

„თქვენ იმიტომ არ გსურთ, ხმა მისცეთ გენდერული კვოტირების კანონპროექტს, რომ გეშინიათ ჭკვიანი, ინტელექტუალური, განათლებული და ძლიერი ქალებისა.“ — ასეთი განცხადებები პარლამენტის ტრიბუნიდან, რა თქმა უნდა, იმ ვიწრო და მარტივი აზროვნების შედეგია, რომელიც ასეთი ტიპის სულელ დედაკაცებს აქვთ, აქაოდა, იფიქრებენ, ვაიმე, მიზოგინობა და შიში არ დაგვაბრალონო და ხმას მოგვცემენო.

ამას გარდა, ძალიან სასაცილოა, როდესაც „ინტელექტუალური და ჭკვიანი“ ქალების სახელით **თამარ კორძაია** გამოდის, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია სისულელით. თუნდაც მხოლოდ ის რად ღირს, რომ ეს „დიდი იურისტკა“ თავის დროზე დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების თავდებით განთავისუფლებას შინაგან საქმეთა მინისტრისგან მოითხოვდა და არა სასამართლოსგან.

ამას ისიც დავამატოთ, რომ **იგივე გაიმეორა თაღლითობაში არაერთხელ ბრალდებულმა ნანა ყეინიშვილმა, და ამ მოსულელო არსებასაც „ჭკვიანობასა და ინტელექტუალობაზე“ რომ ჰქონია პრეტენზია, მკითხველი ნამდვილად ჩაბჟირდება სიცილით.**

ახლა იმ „ბრძნულ მოსაზრებებზე“ გადავიდეთ, რომლებიც ამ არაქალებმა პარლამენტის სხდომის შემდეგ ტელეეთერებიდან აფრქვიეს.

**ნინო ლომჯარია:** „ჩემთვის ღიმილის მომგვრელი იყო პარლამენტარ ზაზა პაპუაშვილის განცხადება, რომ პარლამენტში 50X50-ზე კვოტის დაწესება არ იქნება თანაბრობა, არამედ ეს იქნება დისკრიმინაცია. როგორ? 50X50-ზე ხომ მათემატიკურად თანაბარია?!“

ამ „დიდ იურისტკას“ „დიდი მათემატიკოსობაც“ დაუჩემებია, მაგრამ ისევე, როგორც სხვა დანარჩენი „ინტელექტუალური ქალები“, ვერაფრით ითვისებს ლოგიკას, ამიტომ ავუხსნათ: **ბატონმა ზაზამ „მათემატიკური არათანაბრობა“ კი არ იგულისხმა, არამედ ის, რომ თანაბარი შედეგის წინასწარ დაწესება, ანუ იმის იძულება, თუ რა შედეგი უნდა დადგეს არჩევნების შემდეგ, არის დისკრიმინაცია! და დიახაც, დისკრიმინაციაა ნებისმიერი შედეგი, რომლის დადგომაც იძულებით და წინასწარ არის განსაზღვრული. პარიტეტული და თანაბარი უნდა იყოს სტარტი და არა ფინიში!**

აბა, **წარმოიდგინეთ შეჯიბრება, სპრინტი, როცა სტარტზე დგება 50 ქალი და 50 მამაკაცი, ოღონდ წინასწარ არის განსაზღვრული და დადგენილი, რომ ფინიშთან მისულ პირველ ოცეულში აუცილებლად 10 ქალი და 10 მამაკაცი უნდა იყოს, ხოლო, თუ მეთერთმეტე მამაკაცი გაბედავს და ქალების პირველ ათეულს გადაასწრებს, მას იმწამს ფეხებს მოამტვრევენ. ეს არ არის დისკრიმინაცია?**

სამწუხაროა, რომ ჩვენს ვითომწარმატებულ ვითომქალებს, რომლებსაც სინამდვილეში ქალობის არაფერი სცხიათ, ასეთი ელემენტარული აქსიომების ახსნა სჭირდებათ. თუმცა, მეც ვამბობ რაღა! ეს კი არა, კიდევ იმისთანა სიდებილეებს აზრეხვებენ, შეიძლება, მართლა შეგაძულონ ქალის სახსენებელი, თუკი არ გაიაზრებთ, რომ ისინი, ქალები კი არა, სწორედაც ანტიქალები არიან!

მაგალითად, იმავე ქალბატონების აზრით, თურმე „რადგან კონსტიტუციურად ქალი და მამაკაცი აღიარებულნი არიან თანასწორად, ამიტომ პარტლამენტშიც უნდა იყვნენ წარმოდგენილნი თანაბრად, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს კონსტიტუციის დარღვევაა.“ — აი, ამ სიდებილეს რომ ადამიანი იტყვის, იმას შეიძლება ან იურისტი, ან ჟურნალისტი, ან საერთოდ რაიმე ეწოდოს?

ჯერ ერთი, რადგან კონსტიტუციაში წერია, — ადამიანები სქესის მიხედვით არ განირჩევიან და ისინი თანასწორები არიანო, ეს რატომ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად პარლამენტში უნდა იყონ თანაბრად წარმოდგენილნი?! მაშინ **ნებისმიერი დაწესებულება დავავალდებულოთ, რომ ქალები და მამაკაცები ყველაფერში აუცილებლად თანაბრად წარმოადგინონ, რათა „კონსტიტუცია არ დაირღვეს“! მხოლოდ პარლამენტზე რატომ გვაქვს აქცენტი?**

მეორეც — რა გამოდის: ადამიანთა რომელი და როგორი ჯგუფებიც კონსტიტუციით თანასწორად არიან მიჩნეულნი, ყველასთვის თანაბარი კვოტები უნდა იყოს პარლამენტში? კი, ბატონო! კონსტიტუციით თანასწორია ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი. მოდი, **მაშინ გამოვყოთ პარლამენტში თანაბარი კვოტები — შიიტი და სუნიტი მუსლიმანებისთვის, იუდეველებისთვის, ბუდისტებისთვის, კრიშნაიტებისთვის... აღარაფერს ვამბობ ქრისტიანულ რელიგიურ მიმდინარეობებზე — მართლმადიდებლებზე, კათოლიკებზე, იეღოველებზე, ბაპტისტებზე, ანგლიკანელებზე, ლუთერანებზე, პროტესტანტებზე, ორმოცდაათიანელებზე...**

ასე რომ, **ვიდრე კონსტიტუციასა და მათემატიკაზე ტლიკინს დაიწყებდნენ, ამ „განათლებულმა და ინტელექტუალმა“ ტუტუცებმა ჯერ კარგად გაარჩიონ განსხვავება თანასწორობასა და თანაბრობას შორის...**

შეძლებენ კი? მე, პირადად, ეჭვი მეპარება, რადგან საკუთარი ყურით ვუსმინე ასეთ დიალოგს:

**ერთი მოქალო ელემენტი ამბობს:** „ზოგადად, ეს მხოლოდ პოლიტიკაში არ არის ასე, ხელოვნებაშიც ასეა, სპორტშიც. მაგალითად, როდესაც ქალი მხატვრის ძალიან კარგ ნამუშევარს ნახავენ, ამბობენ, მამაკაცური ხელი აქვსო; ქალი პოეტის ძლიერ ლექსს თუ წაიკითხავენ, ამბობენ, მამაკაცური ხმა აქვსო...“

**მეორე ახუნტრუცებული დედაკაცი აწყვეტინებს:** „ჰო! ეგეთი სტერეოტიპებია...“

არ ვიცი, რა შეიძლება უთხრა ადამიანს, რომელიც ფაქტებს სტერეოტიპებს უწოდებს. არადა, **ის, რომ მსოფლიოში საუკეთესო ხელოვანი ქალი ახლოსაც ვერ მივა მსოფლიოში კლასიფიკაციით ორმოცდამეათე ხელოვან მამაკაცთან, სწორედ ფაქტია და არა სტერეოტიპი.** რაც შეეხება სპორტს, ყველაზე არაძალოვან სპორტში ყველაზე ნათელი მაგალითი სწორედ ქართველებს გვაქვს — **ნონა გაფრინდაშვილი,** რომელიც ქალთა შორის 5-ჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი, ათეულშიც ვერ შევიდა ვაჟთა მსოფლიო მნიშვნელობის ტურნირებზე, სადაც, სხვათა შორის, სულაც არ არის აკრძალული ქალების მონაწილეობა, მაგრამ ვერც ერთმა ქალმა ოცეულის ზღვარსაც ვერ გადააბიჯა! სწორედ ამიტომ ეწოდება ნონა გაფრინდაშვილს ჭადრაკში, ანა ახმატოვას პოეზიაში, ჟანა დ'არკს სამხედრო საქმეში და სხვა მსგავს ქალებს „გამონაკლისები“...

რაც მთავარია, **მოთხოვნა, რომ პარტიებმა საარჩევნო სიების დაკომპლექტებისას აუცილებლად ამდენი და ამდენი პროცენტი ქალი უნდა ჩასვან ყოველ ათეულში, ნეტავ, რით განსხვავდება ჩვეულებრივი ძალადობისგან?**

მე თუ მაქვს პოლიტიკური პარტია, რატომ ძალადობ ჩემზე და რატომ მიწესებ ჩემს სიაში ქალებს შევიყვან, მამაკაცებს, ჰომოსექსუალებს, ათესიტებს, ინდულგენციების გამყიდველებს თუ სხვას?

ამას უკვე ძალადობა კი არა, მამაკაცებზე აშ- ▶

**როდესაც მან საჯდომი მოგვიშვირა, ამით დაგვანახვა გზა ამერიკისკენ, ნატოსა და ევროპისკენ და ჩვენც ამ მოშვერილზე, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე უნდა დავხაროთ თავი და რაც შეიძლება დიდი აქსელერაციით წავიდეთ მისკენ, მინიშნება გაკეთებულია, ჩვენ გავიმარჯვებთ“**

სატირა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

კარა ქ-ალადობა ეწოდება!

მგონი, **დროა, ამ ძალად ინტელექტუალ, სინამდვილეში კი სასტიკად უტვინო არაქალებს შევაგნებინოთ, რომ არჩევნები ხალხის ნების გამოხატულებაა და არა ვიღაც ტუტუცების დაწესებული კვოტების დაცვა! და, თუკი ვინმე დარწმუნებულია, რომ საქართველოს მოსახლეობას მოსწონს და მხარს უჭერს დევიზს „მეტი ქალი პარლამენტში!“, ვინ გიშლით?! ჩამოაყალიბეთ საკუთარი პოლიტიკური პარტია, ჩაწერეთ საარჩევნო სიაში თუნდაც ასივე პროცენტი ქალი და შედით უმრავლესობით პარლამენტში.**

საქმეც ის არის, რომ სწორედ ჭკვიანი ქალები არ აძლევენ ხმას ასეთ უტვინო დედაკაცებს, ხოლო წარმომადგენლობა პარლამენტში სულაც არ ნიშნავს მაინცდამაინც შენი სქესის დეპუტატის ყოლას იქ. ბოლოს და ბოლოს, ქალების უფლებაა, თავად გადაწყვიტონ, მათი წარმომადგენელი პარლამენტში ქალი იქნება თუ მამაკაცი! ქალების ინტერესები და მისწრაფებები მათ მიერ არჩეულმა მამაკაცმა ზოგჯერ შეიძლება გაცილებით უკეთესად გამოხატოს, ვიდრე ვინმე ტუტუცმა, ბოღმიანმა, კომპლექსიანმა ქალმა, რომლის მიზანი საქმის კეთება კი არ არის, არამედ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იმის მტკიცება, რომ არაფრით ჩამოუვარდება მამაკაცებს.

აი, ესაა სწორედ ასეთი არაქალების ძირითადი კომპლექსი და, როდესაც საუბარია იმაზე, თითქოს ჩვენ გვეშინია პარლამენტში „ჭკვიანი და ინტელექტუალური, ძლიერი ქალების მოხვედრისა“, მინდა, ალალად ვუპასუხო: **საქმე სულაც პირიქითაა!**

რასაც ვუყურებ, **აი, ამ „გენდერული კვოტირებით“ პარლამენტში გამოკვეთებას სწორედ თავის თავში დაურწმუნებელი, სულელი, საზოგადოებისთვის და, პირველ რიგში, სწორედ უჭკვიანესი ქართველი ქალებისთვის სასტიკად მიუღებელი პიროვნებები ცდილობენ(!).**

მართლა ჭკვიანი, მართლა ინტელექტუალი, მართლა ძლიერი და მართლა განათლებული ქართველი ქალები კი სულაც არ ეკვეტებიან მაინცდამაინც პარლამენტში. მათ შესანიშნავად იციან თავიანთი საქმე და სხვადასხვა სფეროში მიღწეული წარმატებითაც კმაყოფილდებიან. ჭკვიანი და ნორმალური ქალების თვითმიზანი პარლამენტი და პოლიტიკა ნამდვილად არ არის.

ამიტომაც ეს სულელური „გენდერული კვოტირების“ კანონპროექტი წარმოშობს საფრთხეს, რომ მომავალ პარლამენტში ბევრი ისეთი არსება მოხვდება, რომლებსაც საკუთარი სქესის იდენტიფიკაციაც კი ვერ მოუხდენიათ ნორმალურად. ჩნდება დიდი ალბათობა, რომ საქართველოს პარლამენტი თავის რეალურ შესაძლებლობებთან შეუსაბამო, სულელური ამბიციებით გაპეყილი, თავხედი, თავცარიელი, სრულიად უტვინო, რეგვენი დედაკაცებით გაივსება...

აი, ამის კი ნამდვილად მეშინია!

# რა მოგვიშვირა რობიმ და რა დაინახა თინამ



**27 მაისს „დინამო არენაზე“ ბრიტანელმა მომღერალმა, რობი უილიამსმა, იმღერა 40 000-მდე მაყურებლით გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ. კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა და ბოლოს სრულიად საქართველომ უილიამსის უკანალიც იხილა.**

ამ ფაქტმა საზოგადოების ნაწილი შეაშფოთა და ემოციები ვერ დამალა, თუმცა მას შემდეგ, რაც შეიტყობთ, რატომ მიუშვირა რობიმ ერთი ადგილი მაყურებელს, ეს შეშფოთება გაგიქრებათ.

მოკლედ, როგორც ჩვენმა სანდო წყარომ გაარკვია, ტრაკის მიშვერა კი არა, **ეს ყოფილა ერთგვარი მინიშნება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირისკენ მიისწრაფვიან, რომ ისინი აღნიშნული ორგანიზაციების წევრები გახდებიან.**

დასავლურ ღირებულებებზე აღზრდილი ექსპერტები თანხმდებიან: **ეს იყო სიგნალი იმისა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში გახდება ნატოსა და ევროკავშირის ღირსეული წევრი.**

აი რას ამბობს ევროპელებზე უფრო მეტად ევროპელი ექსპერტი **ჰელენ ხუშტურია:**

„რობი უილიამსის ტრაკის მოშვერა — ეს იყო ნათელი სიგნალი და დადასტურება იმისა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი. ის, ვინც დაკვირვებულია, შეამჩნევდა, რომ მისი უკანალი დამუხტული იყო ნატოს ემოციებითა და ევროკავშირის ღიმილით, უბრალოდ, ამას მხოლოდ ისინი დაინახავდნენ, ვისაც ნამდვილად სურს რუსული ჩექმისგან გათავისუფლება“.

რობის საჯდომის მოშვერით უკიდურესად გახარებული **ნიკა გვარამია** კი ამბობს:

**„იეს, არის, აი ამ დღის მერე თამამად შემიძლია მშვიდად დავდო თავი ბალიშზე, რადგან ვიცი, ქვეყანა არ არის განწირული ვიღაც რუსი ოლიგარქებისთვის და ჩვენ აუცილებლად ვიქნებით ევროპელებიც და ნატოელებიც. ეს იყო რობის უკანალის სახით გამოგზავნილი სიგნალი ჩვენი შორეული და, ამასთანავე, ახლობელი პარტნიორისგან, ეს იყო ერთგვარი ნიშანი იმისა, რომ საქართველო მარტო არ არის.**

**დიახ, როდესაც მან საჯდომი მოგვიშვირა, ამით დაგვანახვა გზა ამერიკისკენ, ნატოსა და ევროპისკენ და ჩვენც ამ მოშვერილზე, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე უნდა დავხაროთ თავი და რაც შეიძლება დიდი აქსელერაციით წავიდეთ მისკენ, მინიშნება გაკეთებულია, ჩვენ გავიმარჯვებთ“,** — ამბობს გვარამია.

„იცით, როდესაც რობიმ მოგვიშვირა, საოცარი ენერგია და სითბო ვიგრძენით, თითქოს ჩვენში ევროპის ვარსკვლავები აინთო, ვუყურებდი და თვალები ცრემლით მევსებოდა, როდესაც ვხედავდი ფართოთ გახსნილ გზას ცივილიზაციისკენ, რომელიც ხმამაღლა მეძახდა, რომ ის მე მელოდება და მე ვპასუხობ: დიახ, მე მოვდივარ შენკენ ფართო ნაბიჯით! მაგრამ თითქოს სიხარულისგან რაღაც უხილავი ძალა მაჩერებს, ეს დაახლოებით ლამაზ სიზმარს ჰგავს, როდესაც ახლოს ხედავ სანუკვარ ოცნებას, მაგრამ მიახლოება გიჭირს, ან ამ დროს გეღვიძება, თუმცა, მერწმუნეთ, იგი ყველას არ უშვერს საჯდომს. მან თქვა, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, ამიტომ, ერო და ბერო, ეს არის უდიდესი გამარჯვება“, — განაცხადა ევროპელებზე ადრე ევროპელმა, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა **თინა ხიდაშელმა.**

როგორც წყარომ გვითხრა, წინ კიდევ რამდენიმე ეტაპია. რობის მოშვერა ეს იყო პირველი ნაბიჯი, თუ მომდევნო სტუმარმაც გვიჩვენა უკანალი, ეს უკვე საბოლოო დასტური იქნება იმისა, რომ საქართველო აუცილებლად გაბრწყინდება დიდ ევროპულ ოჯახში.

**ველქომ ოფენდორი**

**«ეს იყო ნათელი სიგნალი და დადასტურება იმისა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ევროპული ოჯახის წევრი. ის, ვინც დაკვირვებულია, შეამჩნევდა, რომ მისი უკანალი დამუხტული იყო ნატოს ემოციებითა და ევროკავშირის ღიმილით, უბრალოდ, ამას მხოლოდ ისინი დაინახავდნენ, ვისაც ნამდვილად სურს რუსული ჩექმისგან გათავისუფლება»**

# საფრანგეთი სამართალდამცველთა საპროტესტო აქციებმა მოიცვა

## ფრანგი პოლიციელების მრისხანება — პასუხი ძალადობაზე

**რამდენიმე კვირაა, სამართალდამცველები უყურებენ დარბევებს და ხელისუფლებისგან მითითებებს ელოდებიან, მაგრამ მითითებები არ ჩანს. პოლიციელები უკვე ფიქრობენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება დამრბევებს სპეციალურად აძლევს უფლებას, გააკეთონ ის, რაც მოესურვებათ, და ეს ხდება შრომის რეფორმის მოწინააღმდეგეთა მოძრაობის დისკრედიტაციისთვის.**

„ეს განსაკუთრებული მრისხანებაა, უწინარესად, იმიტომ, რომ ეს არის მრისხანება ქალებისა და მამაკაცებისა, რომლებიც თითქმის არასდროს აპროტესტებენ, მრისხანებას პოლიციელებისა. ეს მხოლოდ მესამე აქციაა ბოლო 15 წლის განმავლობაში“, — წერს „ფიგარო“.

ეს მრისხანება კიდევ იმიტომ არის განსაკუთრებული, რომ პოლიციელები აპროტესტებენ მთავრობის არა რომელიმე გადაწყვეტილებას, არამედ პირიქით — წუხან გადაწყვეტილებების არარსებობის გამო. საფრანგეთის დიდი ქალაქები სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენელთა აქციებმა მოიცვა, რათა დაგმონ სიძულვილი ფლიკების (პოლიციელების) მიმართ.

რამდენიმე კვირაა, სამართალდამცველები უყურებენ დარბევებს და ხელისუფლებისგან მითითებებს ელოდებიან, მაგრამ მითითებები არ ჩანს. პოლიციელები უკვე ფიქრობენ, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება დამრბევებს სპეციალურად აძლევს უფლებას, გააკეთონ ის, რაც მოესურვებათ, და ეს ხდება შრომის რეფორმის მოწინააღმდეგეთა მოძრაობის დისკრედიტაციისთვის.

თუ ეს ასეა, ხელისუფლების გათვლა ძალიან ცუდია, ამის დასტურია საშინელი შედეგები: ქალაქები ბრძოლის ველად გადაიქცა, ასეულობით მაღაზია გაძარცვულია, უამრავი პოლიციელი — დაშავებული.

პოლიციელები, რომლებიც ცდილობენ შრომის ახალი კანონის მოწინააღმდეგეთა შეკავებას, უკვე დაუნდობლად იქცევიან მათ მიმართ ყოველდღიურად გამოვლენილი ძალადობის გამო.

**„ფიგარო“**

იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდებული მწერლის — რეზო გაბრიაძის შემოქმედება სრულად, მთელი თავისი მრავალფეროვნებით ერთ მეტაფორად წარმოგვიდგება, ისეთ ულამაზეს ჩუქურთმად, როგორიც ოშკის ტაძრის კარიბჭის სვეტზეა ამოკვეთილი... და დაუმთავრებელი.**


თაიგული იუბილარს

# მსოფლიოში აღიარებული შემოქმედი

**„მან აიშენა საკუთარი სამყარო!“ — ასე შეაფასებს მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებით განებივრებული რუსეთის ინტელიგენცია რეზო გაბრიაძის მრავალმხრივობით გამორჩეულ შემოქმედებას მისი 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ერთთვიურის შეჯამებისას, რომელიც წლეულს, 12 თებერვლიდან 20 მარტამდე გაიმართა მოსკოვის მუზეუმში, ზუბოვის ბულვარის 2-ში, პრეჩისტენკასა და ოსტოჟენკას ქუჩებს შორის, ქალაქის ცენტრში. მულტიმედიის, თეატრის, კინოს ამ „არაჩვეულებრივ გამოფენას“ ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში სრულად ჰქონდა დაპყრობილი 2000 კვადრატული მეტრის ტერიტორია, ქართული კულტურის დიდებული წარმომადგენლის — რეზო გაბრიაძის ბრწყინვალე შემოქმედების შედევრების ექსპოზიციებს. „ოკუპირებულ ტერიტორიაზე“ შესასვლელად ერთადერთი საშვი იყო საჭირო: ხელოვნების ტრფიალება. ასეთები კი მეგაპოლისის მოქალაქეთა და სტუმართა შორის უამრავი იყო. ანუ — ათასობით.**


იუბილარი

**30 მაისს ბატონ რეზო გაბრიაძეს აცნობეს, რომ თეატრალური ხელოვნების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის და 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მას მიენიჭა ოლეგ იანკოვსკის პრესტიჟული პრემია. გილოცავთ, ბატონო რეზო, თქვენი შემოქმედების კიდევ ერთ აღიარებას!**

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი რეზო თავის უმთავრეს და უპირველეს პროფესიად მხატვრობას მიიჩნევს, მის ნოველებზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას. ერთზე მაინც — საშობაო მოთხრობაზე **„ექიმი და ავადმყოფი“.**

თვალსაჩინო ნიმუშზე. რადგან, ჩემი აზრით, როგორც დანტე ალიგიერის „პოეტური დიდება მთლიანად ეფუძნება მისი სიჭაბუკისდროინდელ რომანს „ახალი ცხოვრება“ და „ღვთაებრივი კომედიის“ გრანდიოზულ შენობას, რეზო გაბრიაძის პროზის საყრდენი სვეტი „ექიმი და ავადმყოფია“.

„შერეკილები“? — ესეც.

„ჩემი პატარა ქალაქიც“...

## „დრმ-დრმ-დრუმ“

ეს ამბავი, სხვებისთვის შეუმჩნეველი, ქუთაისში მოხდა, სადაც, „ბულვარს რომ ჩაივლით, კათოლიკების ეკლესიის დაჟანგულ სახურავს დაინახავთ პირამიდულ კვიპაროსთა შორის, კიდევ ცოტა მარჯვნივ, ფიზიოსა და კომისარიატის იქით, სიარულით გაცვეთილ ეკლესიის ტროტუარზე იისფერმა რაბინმა თხლად რომ ჩაიარა, სინაგოგა მოჩანს; აი, იქით კი, სულ ახლო მეოცე საუკუნის, ჩვენი ცოდვების უკანასკნელი მოსანანიებელი, თეოდოლიტით ნაშენი მკვეთრკუთხედებიანი ეკლესიაა, ჯვრით დამშვენებას და მღვდელს რომ ვერ მოესწრო. იმის იქით კი გამჩენის დიდებული საჩუქარი წარმოგვიდგება. მეათე საუკუნე დგას, კუთხეებდაბლაგული, პერანგგახეული მონასტერი“ *(„ჩემი პატარა ქალაქი“).*

აი, ამ ქალაქის ერთ მიყრუებულ უბანში შობის ღამეს კი თოვდა, „ოღონდ თოვლი მიწამდე ვერ აღწევდა. მხოლოდ ჭიშკრის ქვის სველი თავი იყო დაპუდრული და მის გვერდით ტყემლის ნერგის წვეტი ჩანდა თეთრ წერტილად“.

აქვე შევნიშნავ, რომ არა მარტო სიუჟეტი და ფაბულაა ის მაშველი თოკი (ბაწარი), „რომელსაც ავტორი გადაუგდებს მკითხველს ინტერესის შესანარჩუნებლად“, რადგან „ისტორიების (ამბების) მოსმენის სურვილი ადამიანებში ისეა გამჯდარი, როგორც საკუთრების გრძნობა“... მაგრამ „მწერალს მხოლოდ ისტორიების მთხრობელს თუ ვუწოდებთ, ეს მისი აბუჩად აგდება იქნება“ *(სომერსეტ მოემი, „სიტყვის ხელოვნება“, გვ. 39).*

რეზო გაბრიაძის შემოქმედების კეთილშობილების საფეხურზე დამდგარნი, მხოლოდ ასე შევძლებთ, სრულად აღვიქვათ სიყვარულისა და სიკეთის ის ყოვლისშემძლეობა, რომელიც „სიცილ-ტირილის“ ფონზე ვითარდება პროვინციული ქალაქის მკვიდრი ორი ადამიანის თავს გადახდენილ ამბავში. მათგან პირველი დაკარგული სიყვარულის ნიადაგზე შეშლილი, საბჭოთა მეზღვაური (თადარიგის) ჩიტო-„პობედაა“, მეორე — მარტოხელა მოხუცი ექიმი, ბატონი იაკობი, რომელსაც „თითის სიმსხო“ ვენები აწუხებს და, რომელზეც მაყვალა ექთანი ამბობს: „რა ავტორიტეტი გაქვთ ქალაქში! როგორ უყვარხართ ყველას! დედას ვფიცავარ, მეტირება!“.

ჩრდილოეთის ფლოტიდან დემობილიზებული მეზღვაური ჩიტო თავის გულისწორს სხვისი „ზიმ-მოსკვიჩის“ საჭეზე ხელდადებულს რომ დაინახავს, ელდა ეცემა, ფეხები მოეკვეთება და ჩემოდანზე ხუთ საათამდე დაჯდება.

„მერე ადგა, ჩემოდნის გასაღებით მანქანის კარი გააღო, ჩაჯდა მანქანაში, იმავე გასაღებით ჩართო მოტორი, თქვა „დრმ-დრმ“, ჩააგდო წარმოდგენილი მანქანა პირველ სიჩქარეში, კიდევ გადადგა ნაბიჯი წინ, მეორე სიჩქარეში გადართო, მერე — მესამეში, მთავარ ფოსტასთან კი რული დაატრიალა და მარცხნივ შეკავებული სირბილით დაეშვა ბალახვნისკენ“.

ჩიტო მანქანად იქცა, „პაბედად“, „სჩასტლივი ნომრით გკ 49-54, ფერით კოფე ს მალაკომ“.

## „აბგონზეც“ უშვებდნენ

იმ პატარა ქალაქის ობივატელურ ბომონდს, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც თანდათან მიავიწყდება ჭკუიდან გადასული თადარიგის მეზღვაურის ტრაგედია:

„თავში ხალხს ეცინებოდა, სვეტოფორთან რომ დაინახავდნენ მანქანებში გარეულს, შემდეგ წვიმები დაიწყო, ჩაქუმ ვითომ ნინელი გაიტაცა წყალტუბოში, რაფიელს საკომისიოში კომისია ჩაუჯდა, მეექვსე ბიბლიოთეკა დაიწვა, ბორია დაიჭირეს, დომნა მოკვდა, ბალავაძე გადაიყვანეს და ჩიტოც მობეზრდათ“.

წვიმები რომ დაიწყოო. ხოლო როცა „თავსხმა წვიმაში შეთქმულება *(შეთქმულებაც კი — ა.ს.)* ჩვენში ინტერესს კარგავს“ *(„შერეკილები“)*, ჩიტოს მოდიდან გასვლას ვერავის დააბრალებ კერძოდ.

მაგრამ დაივიწყა, საზოგადოებრიობამ ზოგადი გაგებით, თორემ კოლეგა შოფრები უწინდებურად „პატივს სცემდნენ, გზას უთმობდნენ, პირველ მაისს „აბგონზედაც“ უშვებდნენ. მშრომელთა სოლიდარობის დღე იყო და — აბა, როგორ!

შოფრების სოლიდარობისაც, რა თქმა უნდა, თორემ სხვა დღეებში (დღესაც კი) „აბგონზე წასვლა“ შეგინებაზე უარესია.

სხვა დღეებში ჩიტოს თავისი საქმე ჰქონდა, წვრილწვრილი, და „გონკაობისთვის“ არ ეცალა. „ცოტას წაუტაქსავებდა კიდეც. თბილისის მატარებლის მოსვლისას ჩადგებოდა ზადნით ტაქსებში ვაგზლის მოედანზე და ისე იმნაირად გააღებდა კარს და ისე იმნაირად გადმოვიდოდა, რომ იფიქრებდი, ეგების მართლა დგას აქ მანქანა და მე ვერ ვხედავო“.

ეგებ, მართლა იდგა, რადგან, ერიხ მარია რემარკის არ იყოს, გარემო სამყაროს რეალურად მაინცდამაინც გიჟები აღიქვამენ, ნორმალური ადამიანები კი — თავიანთი წარმოდგენების მიხედვით, მაშასადამე, — მრუდედ („შავი ობელისკი“).

შეიძლება ასეცაა...

ხოლო ის ამბავი, რომელიც „აკრძალულ შობის“ ღამეს მოხდა, სიგიჟეს კი ჰგავდა, მაგრამ ნამდვილი იყო.

ან, ეგებ, პირიქით?

არაჩვეულებრივი და უცნაური, ყოველ შემთხვევაში.

## აკრძალული შობა

ნაშუაღამევს, როცა ყველას „ეძინა“, როცა „ყველა დარაბებს ხურავს“, ფანჯრებზე „ადიალებს კიდებენ და, რაც აქვთ, ყველაფერს კიდებენ, შუქი რომ არ გამოვიდეს! ამხანაგმა გოგუაძემაც მთელ ქუჩებში გამორთო შუქი“.

„— ამ ღამეს ყველა ფანჯარა ჩაბნელებულია.

— იმიტომ, რომ შობაა! — თქვა ჩიტომ.

— მაგრამ რატომ არის ჩაბნელებული?

— ასე უნდა იყვეს შობაზე! ასეთია წესი!“

შობა აკრძალულიაო მთავრობის მიერ და იმიტომო, — განუმარტავს გიჟი ჩიტო ბატონ იაკობს შემდეგ. მანამდე კი ფეხზე დააყენებს მთელ უბანს ყვირილით:

„— არიქა, ექიმო, ილუპება ბოვში!.. ჩქარა, თვარა ცოცხალს ვერ მიუსწრებთ... დედამისი ტაბურეტკაზე დგას და ხელებით უჭერია თერთმეტი წლის გოგო!“, რომელსაც „იოდი დოულევია“, და გიჟი ჩიტო-„პობედა“ უკანასკნელ არგუმენტს დაუმატებს: „— ორჯერ იყო (სასწრაფო)! იაშა ექიმი თუ უშველისო!“

და იწყება წარმოსახვით ტრანსპორტში მსხდომთა გიჟური რბოლა თოვლჭყაპიან ქალაქში, როცა „პაბედას“ ხან მარჯვენა კარი არ ელება („რამდენი თბილისელი გამიქცია სადგურზე! ძველია ეს უპატრონო! გადასაგდებია! ბოდიში, ვერ მოვასწარი გარეცხვა“), ხან ქარი თოვლს დაატრიალებს და ნათურის ქვეშ ფიფქები თითქოს ძაბრში მოექცნენო, მერე ყველა ერთად მიეყრება სახეში მგზავრებს, ხან ექიმი უკვე ვერაფერს ამჩნევს, რადგან „სათვალე შიგნიდანაც და გარედანაც თოვლით ჰქონდა ამოვსებული. პალტო კიდევ უფრო დამძიმებოდა, სველი ხელით ეძებდა ღილს და ვერ პოულობდა, დაავიწყდა, პალტო ორჯერ რომ იყო გადაბრუნებული და ახლა ისევ კაცურად იკვრებოდა. ქარი მეორე ღილში უძვრებოდა განსაკუთრებით. უკვე ველარ იგებდნენ, საით მიდიოდნენ. გზა სულ ზევით და ზევით მიიწევდა... (ჩიტო) ხან ორივე ხელით წინიდან ექაჩებოდა ექიმს, ხან უკნიდან აწვებოდა ბეჭით“, ხან თხრილი გადაუკეტავდათ გზასავალს, ხან ცდკას საბილიარდოს ჩაუვლიან, „საიდანაც ისმოდა მშვიდი დედის გინება“.

გზადაგზა გიჟი ჩიტო ძალაგამოცლილ ექიმზე ენერგიულად მოქმედებს — „ქრთამად გაუღიმებს“, ნატურით ქრთამავს, ოღონდ „მანქანიდან“ არ გადმოვიდეს, „ჯიბიდან დაჩვარული ფული ამოიღო.

— სამი მანეთი გამომატანა შენთვის *(ავადმყოფის დედამ)*, ფაქიზად ჩაუდო ექიმს ფული ჯიბეში. ექიმმა ფული ჯიბიდან ამოიღო, დახედა, ფულს კუთხე მოხეული ჰქონდა.

— დილასვე დავაწებებ ფოსტაში!“; ხან კეთილშობილი ზრუნვის განსახიერებად მოგვევლინება: „— ექიმო, ძაან გთხოვ, სანამ მანქანას არ გავაჩერებ, ნუ გადახვალ, — გულით შეევედრა ჩიტო, — ასე ნა ხადუ, შენ ასაკში რამე უბედურება რომ მოგივიდეს, მე ვერ ვიცოცხლებ“.

ექიმი მონუსხულია, მაგრამ რეალობის განცდას არ კარგავს. გონიერებისა და სიგიჟის ბეწვის ხიდზე გადაჰყავს ავტორს ბატონი იაკობი:

„მოსაკლავი ვარ! — ბრაზობდა ექიმი, — გიჟს, გადარეულს როგორ ავყევი! როგორ ჩავუჯექი მანქანაში?! — ბოლო სიტყვამ სულ გადარია ექიმი: — მანქანაში?! ხომ მათქმევინა მაინც, რომ მანქანაში ვზივარ!“

მაგრამ იძულებულია, მიიღოს ჩიტოს „თამაშის წესები“, რადგან მხოლოდ მან (ჩიტომ) და სხვამ არავინ იცის სასიკვდილოდ განწირული ბავშვის მისამართი.

## „შენც ფეხით რომ დარბიხარ...“

„— ავადმყოფიო! — გრძლად ყვიროდა ექიმი, — სადაა ავადმყოფი?! ბავშვი კვდება! ავი ზნე ჭირს! თავით კიდია! უნდა იწვეს. სიწყნარე უნდა! შენ მანქანობანას თამაშობ?! არ ხარ შენ მანქანა! მანქანა თუ ხარ, სადაა შენი ბორბალი!“

პასუხად ესმის მორიგი „დრმ-დრმ, დრუმ-დრუუმ“, ჩიტოს მიერ ამუშავებული მანქანის ძრავის სპეციფიკური ხმა, რომელიც პოეტურ რეფრენად გასდევს მთელ მოთხრობას.

„დრმ-დრმ“.

გიჟური მგზავრობა რომელიღაც მომენტში ხელოვნების თემას წამოაგდებს:

„— მურმანსკში გუნდში ვმღეროდი! აკორდეონზე ვისწავლე ჩემით!

**ვ ზოლოტიხ ოგნიახ**
**გიდროსტანციი**
**ველიჩავაია ანგარა!**

— ვახ! რაა შესტაკოვიჩი! ქართველებს არ უყვართ! კუპრავას ქელეხში კინაღამ მომკლეს! სამაგიეროდ ზესტაფონიდან რომ ვბრუნდებოდი, ვიმღერე და ვიმღერე მეშვიდე სიმფონია! გავძეხი ბოლომდე!“

გიჟი უთხარი შენ...

მუსიკის თემა კი სასაფლაოზე გადაინაცვლებს, სადაც გზააბნეული მგზავრები აღმოჩნდებიან, სიკვდ- ▶



„გაბრიაძესთან ყველაფერი ფრინავს“. ასეა „შერეკილებში“, „მიმინოში“, მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელშიც ლიკა ქავჟარაძის სილამაზით გაბრუებული მოწინავე მეგზურები — კახი კავსაძე და ბაადურ წულაძე მოფარფატე პეპელას დასდევენ; „დე ფანტიეს ბრილიანტშიც“ კი ხანუმა პარიზში პარაშუტით დაეშვება და ახალშობილი პაბლო პიკასო ზეციდან მოევლინება ქვეყნიერებას.

## იუბილე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საშობაო მოთხრობის ერთმანეთისგან განსხვავებული ღამეული გმირები ავტორის მიერ ისე არიან გაცოცხლებულნი, როგორც გაბრიაძის თეატრის ნახევრადჩაბნელებული სცენის სივრცეში სულიერ არსებებად ქცეული მარიონეტები — გაადამიანებული თოჯინები დიდოსტატი «კუკლოვოდის» — მეთოჯინის ხელში... ღმერთო, მაპოვნინე უკეთესი შესატყვისი ქართულად

◀ილს შეგუებული ექიმი უძალობას დანებდება და ჩათვლემს სველი ქარბუქის წივილში, მოჩვარდება და „პირში მოუკალავი კოვზის გემო“ დარჩება.

წარმოუდგება თავისი გარდაცვლილი სიყვარულის იმქვეყნიური განსახიერება.

„გაიხა ცა, იწივლა ტანგომ!

ნელა, გრძელი კვალით თოვლში, წეროებივით მუხლის მაღლა აწევით უახლოვდებიან ერთმანეთს, დიდხანს უყურებენ თვალებში და შორდებიან, რომ აღარასოდეს შეხვდნენ. ნელ-ნელა, დამცინავი ღიმილით ჩაუვლის ნუნუ, თითქოს ვერ ხედავსო, ნელ-ნელა შედის ძელქვის უკან და ქრება სამუდამოდ“.

„ძვლებში შევიდა სევდა“.

გაქრება ზმანება...

და გამჟღავნდება ის ტყუილიც, რომლითაც ჩიტომ გადაკარგულში შეიტყუა ექიმი, ჯოჯოხეთის ყველა რკალში გაატარა: გაცოფებული ძაღლების თავდასხმა მოუგერია ლიმონათის ყუთით; ციცაბო, დათოვლილ და გადათხრილ გზაზე აიყვანა „ზადნი“ სვლით („შენ იარე უკან-უკან და აღმართ-აღმართ“), „სნეგოჩისტიტელ“ ორთქლმავლის ბორბლებს გამოგლიჯა ლიანდაგზე დამხობილი და „ოპელ-კაპიტანის“ პატრონ ერმონიასთან ოდინდელ კონფლიქტში ჩაითრია გამშველებლად.

კვანძი მაშინ გაიხსნება, როცა ბოლოს და ბოლოს მიაღწევენ დანიშნულ ადგილამდე, როცა ჩიტო ფანერის კარს გააღებს და ექიმი მასთან ერთად შევა ქვის კიბის ქვედა ნაწილში „ფოშტა-ხით“, ჟეშტებითა და სხვა ამგვარი შემთხვევითი მასალით მიშენებულ სადგომში, სადაც „გიზგიზებდა ცეცხლი პატარა ჟეშტის ფეჩში“ და „რკინის ვიწრო საწოლზე ათი წლის გოგო იჯდა. ნახევარი სახე ცეცხლისგან პატარა ვარდებით ჰქონდა აჭრელებული. ტუჩებზე საბანი ჰქონდა აფარებული და სხივებიანი თვალებით დამცინავად უყურებდა ექიმს“. გაიხსნება კვანძი და ბავშვის პირით გაჟღერდება ჭეშმარიტება:

„— მამაჩემი მართლა შენი შოფერია?..

...ექიმმა უყურა გოგონას და თავი დაუკრა. გოგონამ ისევ მოიშორა საბანი:

— მამაჩემს დაყავხარ მანქანით სამსახურში?

ექიმმა ისევ დაუკრა თავი.

— მერე შენც რომ ფეხით დარბიხარ, ვერ ხვდები? პატრონ-მყვარებელი არ გყავს? — გოგონა დაიმალა საბანში და აკისკისდა, — სურამში უნდა წახვიდეთ ორივე მაგ მანქანით! — იგუდებოდა გოგონა საბნის ქვეშ, — ჯერ პირველში! დრუმ-დრუმ! მეორეში! მესამეში! მეოთხე სიჩქარით! დრმ-დრუმ!“

აქვე გაირკვევა, რომ ეს გოგონა „სამ წლამდე კი უჯდებოდა (ჩიტოს) მანქანაში, მერე დასცინოდნენ ბავშვები. ვაგონში იჯდა სულ, გარეთ არ გამოდიოდა. იოდი დალია, არ მინდა სიცოცხლეო, ბოვშვმა აუკრძალა, მანქანით არ მოხვიდეო“.

და ჩიტო ბავშვის დედას წარუდგენს ექიმს, გაუმხელს სიმართლეს, როგორც სამხედრო საიდუმლოებას:

„— ამ ქალს ნადია არ ჰქვია! ცისანაა, ჩემი ცისანა! სამტრედიაში მოვაწერეთ ხელი! აღდგომაზე! ვაიმე, რა კარგი იყო! თქმა ღალატია! დეიფიცე, რო არ წამოგცდება“.

ის ცისანა ყოფილა, რომელიც მეზღვაურის დემობილიზებას არ დაელოდა და ცოლად გაჰყვა ჩიტოს მეგობარ როლანდას, ბავშვი კი ამ გიჟისგან გაუჩნდა.

ცისანაც გაუმხელს ექიმს: „გუშინ მაგან და ბოვშვმა წეიჩხუბესავით. ჩიტომ დეიჩემა, ჩემი თუ არ გჯერავს, ექიმს მოვიყვანო“.

შოფერი რომ ვარო, ექიმის. და მოუყვანა კიდეც თავისი „პაბედით“, რომელიც ქვევით, ძაან ქვევით, მილიციის ზევით, ანზორას სახლთან გააჩერა.

„— როლანდა სადღაა?

— თბილისშიაო, მარქსიზმის კათედრაზე“...

ეს ამბავი თავისი პერიპეტიებით, ნერვების გლეჯით, თავგანწირვით და სიკეთის საქმნელად სიცრუის გამოყენების მცდელობით წარსულ დროში გადადის.

ნამყო ხდება.

ავადმყოფური ბოდვები სურვილის ახდომად ტრანსფორმირდება, ირეალურობაში დარჩენილი.

## „ქრისტე იშვა ბეთლემსაო“

ბუნებას თავისი გააქვს:

„მთვარის ნათება თოვლის სითეთრისგან გასამებული იყო. ქარიც ჩაწყნარდა, აგერაგერ ანაწილებდა თოვლს ღობეებში, ისე, ტყვილა, თავისთვის.

ქუჩები გასუფთავდა, აღარ ჩანდნენ ჩამპალი კიბეები, დაგრეხილი აივნები, ორმოები, წუმპეები, დაღრეცილი ბორდიურები, ჟეშტები, ფანერკები, სვარკა. ყველაფერი გალამაზდა და განაზდა. ძველებურ შობის ატკრიტკას დაემსგავსა ქუთაისი“.



ჩიტო თითს დააჭერს ვირტუალურ რადიოს ტკბილი, ოდნავ ხრინწიანი ტენორით დაიწყებს შობის ალილოს:

**„ოცდახუთსა დეკემბერსა**
**ქრისტე იშვა ბეთლემსაო,**
**და...“**

ექიმმა ნელა, წყნარად აუწყო ხმა.

რადიოში გადმოსცემდნენ დარვინის „ბიოგრაფიას“ *(კონტრასტული რეალობა!).*

„ასე ალილოთი მიადგნენ ექიმის ეზოს. ექიმმა საკვოიაჟი თოვლში გადააგდო, დაეჯაჯგურა მანქანის კარს, გააღო, გადმოვიდა და მორყეული ჭიშკარი თოვლში ჩააწვინა“. და იბადება სასწაული — ჩიტო გაიღიმებს „ფართედ, გაშლილად, კეფიდან კეფამდე, საღორიიდან ჭომამდე, ქუთაისურად და ოდნავ მრუდედ“. „ამოდენა ღიმილს თავისი დასავლეთ-აღმოსავლეთი კი უნდა ჰქონდეს“, — გაალიმებს რეზო გაბრიაძე იაკობ ექიმს, რადგან ასეთი ღიმილი მისი მოგონილია, ორგანული შემადგენელია, იუმორით გამთბარი (როგორ ციოდა შობის იმ ღამეს!), ნატიფი და ეკონომიური მისეული სტილის; და — მასშტაბური, როგორც „ტრიფონიას ეზოში გამსკდარი მეხი“, როცა ორი პლანეტარული ძალა ერთმანეთს დაერია და „გახურდა ჩხუბი! აღდგა იმერეთი! გაწიეს გვერდზე საქართველო! გაიღო კარი ლხინისა!“ („შერეკილები“).

ჩვენი გმირები კი ალილოზე ჩამომვლელებივით განაგრძობენ საუკუნეებგამოვლილ სიმღერას:

**„ჩვენ მათხოვრები**
**არა ვართ,**
**შობის მახარობლები ვართ,**
**და...“** — დაიწყო ერმონიამ უტკბილესი ხმით, კვეს-აბედით სანთელი აანთო და წავიდა წინ. ჩიტო ბეჭით შეუდგა ექიმს ზურგში:

**ვაჰჰი-ჰაი, ჰაი, ალილო!**

ასე ტკბილი, ჩუმი, მორჩილი, სათნო გალობით სამ ხმაში ავიდნენ ბალკონზე.

**ვაჰჰი-ჰაი-ჰაი, ალილო...**

კარებში ჩიტოს დედა დახვდათ“, რომელიც ისე იყო გახარებული, რომ „ახალთახალი, პრიალა, ბირკებიანი რეზინის ბოტებში ფეხის თითებით ცეკვავდა“.

...ერმონიამ ორივე კარი ერთად გააღო და თაფლში გამოტარებული შუქით დაიხატა განათებული ოთახი“.

მერე მოხდება ის, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ერმონიას კვალზე გაიმეორებს — შეიწყნარებს დასაკლავად გამზადებულ ინდაურს:

„— მევიკლა თავი?! — იყვირა ერმონიამ და ინდაურს მივარდა, რომელსაც დანის ტარზე, ტაფის გვერდით, თავისთვის ძილით ეძინა, — მე პირადად ვერაფერი ვუქენი!

ერმონიამ ცაში ისროლა ინდაური. ინდაური თეთრ ფიფქებში გაერია, მტრედს დაემსგავსა და სამტრედიისკენ დაემგზავრა თბილ ქართულ ქარს.

თოვლი შეწყდა, ცა მუჭისხელა ვარსკვლავებით მოიჭედა“.

მოგვები მოჰყვნენ ორიათასი წლის წინათ ცაზე ამობრწყინებულ არნახულ ვარსკვლავს:

„და აჰა, ვარსკვლავი, რომელიც მათ აღმოსავლეთში იხილეს, წინ უძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დადგებოდა იმ ადგილზე, სადაც ყრმა იყო...

...დაინახეს ყრმა მარიამთან, თავის დედასთან, დაემხნენ და თაყვანი სცეს მას“ (მათ. 2,9-11).

## ნახტომში მოკრეფილი ზღმარტლი

ერთ მშვენიერ წიგნში — „რეზო გაბრიაძის თეატრი“, რომელიც სანკტ-პეტერბურგში გამოიცა, აღნიშნულია: „გაბრიაძესთან ყველაფერი ფრინავს“. ასეა „შერეკილებში“, „მიმინოში“, მოკლემეტრაჟიან ფილმში, რომელშიც ლიკა ქავჟარაძის სილამაზით გაბრუებული მოწინავე მეგზურები — კახი კავსაძე და ბაადურ წულაძე მოფარფატე პეპელას დასდევენ; „დე ფანტიეს ბრილიანტშიც“ კი ხანუმა პარიზში პარაშუტით ჩაეშვება და ახალშობილი პაბლო პიკასო ზეციდან მოევლინება ქვეყნიერებას. გაბრიაძის ფანტაზია გალაქტიკას სწვდება: კინოფილმ „ქინ-ძა-ძას“ (ქართული ქინძიდან რომ არის ტრანსფორმირებული) გმირები კალინინის (ყოფილი) პროსპექტიდან კოსმოსში გადაადგილდებიან ავტორის მიერ აღმოჩენილ პლანეტა პლუკზე, სადაც დისკრიმინირებული „პაცაკები“ (პატარა კაცები) ბინადრობენ, ხოლო იქაური კოსმოსური ხომალდი სახელდებულია „პეპელაცად“ (პეპელად).

ეს მიწიერი ამბავიც, სადაც „პურის სუნს სველი ძაღლი მისდევს“, ზეცაში მთავრდება დახვეწილი ფრაზებისა და მოულოდნელი მიგნებებით შეკრული კიბის მეშვეობით:

**„ლამპოჩკასავით რომ ანათებს ზევით რაღაც მოშავო“;**

**„ქარი ყოველთვის წინიდან ხვდებოდა და მის მკერდზე ილუნებოდა ნედლი კეტივით“;**

**„მერე ბოქლომისა და თუჯის უთოს ცეხის ღობეს ჩამოეკიდა და ჰაერის ჭამა დაიწყო ბელტებად“.**

**მივყვებით ამ კიბეს „ზევით და ზევით“:**

**„ამ ტოტებში ალესილ ყავისფერ ფაფაში ძნელი იყო, დაგენახა ზღმარტლი. ნახტომში მოკრეფილს გავდა“;**

**„ტალახიანი ხელით თაგვის კუდივით რაღაცა დაჩხაპნა ზედ“ (რეცეპტზე);**

**„ქალს მუხლები მოეკვეთა და ფანერკაზე მისხმულივით ჩაიღვარა“;**

**„... გაბრაზდა ექიმი: — აქვს თუ არა ადამიანს, თორმეტ გამოძახებაზე რომ იყო, უფლება, ხახვის სუნი მაინც დააყენოს ოთახში შობაზე?“**

**კიდევ რამდენია ზევით ასასვლელი, იქ, სადაც „ეკლესიის ზარის ხმა ქალაქის თავზე ჰაერს წმენდდა და ნათლავდა. თენდებოდა“.**

**„ასეთი იყო ის შორეული, დაუვიწყარი, ჩემი ბავშვობის ტკბილი ქრისტეშობა, ნაზი, როგორც თოვლის ფიფქი“.**

თოთო ბავშვისთვის თავზე ხელის გადასმასავითაა.




**ბოლოთქმის მაგიერ:**

**დიდებული მწერლის — რეზო გაბრიაძის შემოქმედება სრულად, მთელი თავისი მრავალფეროვნებით ერთ მეტაფორად წარმოგვიდგება, ისეთ ულამაზეს ჩუქურთმად, როგორიც ოშკის ტაძრის კარიბჭის სვეტზეა ამოკვეთილი.**

**და დაუმთავრებელი.**

**ხოლო საშობაო მოთხრობის ერთმანეთისგან განსხვავებული ღამეული გმირები ავტორის მიერ ისე არიან გაცოცხლებულნი, როგორც გაბრიაძის თეატრის ნახევრადჩაბნელებული სცენის სივრცეში სულიერ არსებებად ქცეული მარიონეტები — გაადამიანებული თოჯინები დიდოსტატი „კუკლოვოდის“ — მეთოჯინის ხელში... ღმერთო, მაპოვნინე უკეთესი შესატყვისი ქართულად.**

**ევროპული მწერლობის კორიფეებს მიაჩნდათ, რომ რუსი პროზაიკოსების პლეადამ შესძინა მილევის საშიშროების წინაშე მდგარ დასავლურ მოკლე მოთხრობას ახალი სიცოცხლე, ხოლო რუსული მოკლე ჟანრის მამა არის ლევ ტოლსტოი თავისი „ივან ილიჩის სიკვდილით“. „იქიდან მოყოლებული რუსი მწერლების პრესტიჟი... არნახულად ამაღლდა“** ***(ს. მოემი, „ოსტატობა სიტყვისა“, 1939 წლის გამოცემის შესავალი).***

**რეზო გაბრიაძის საშობაო მოთხრობა „ექიმი და ავადმყოფი“ ასეთივე წყაროსთვალია სიტყვაკაზმულობის ძნელად სავალ გზაზე შემდგარი მგზავრისთვის.**

**ასეთი მისია აკისრია.**

**არმაზ სანებლიძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**„თქვენ (იგულისხმება ხრუშჩოვი და სკკპ-ის პოლიტბიურო) სრულიად უარყავით ის ხმალი, რომელსაც სტალინი წარმოადგენდა, გადააგდეთ და მტერმა ის სწრაფად აიღო ხელში და ამ ხმლით გვანადგურებს დღეს ჩვენ. თქვენი მოქმედება ჰგავს იმას, რომ დიდი ლოდი ორივე ხელით ასწიოთ და შემდეგ ფეხებზე დაიცეთ“.**

# სტალინი და მაო ძედუნი

## ნაწილი II

**მაო ძედუნი, პროტოკოლის მიხედვით, გადაიყვანეს სტალინის აგარაკ „კუნცევოზე“. დააბინავეს მეორე სართულზე, ყველაზე მოხერხებულ და საპატიო ადგილას (შენობა სულ ორსართულიანია — გრ. ონიანი). იმავე დღეს მაღალი რანგის სტუმარი კრემლში მიიღო სტალინმა. ის მხურვალედ მიესალმა ჩინელი ხალხის მეთაურს. მისალმებისას მაო ძედუნმა სტალინს მიმართა, როგორც საბჭოთა კავშირის მარშალს და არა, როგორც გენერალისიმუსს ან საბჭოეთის მეთაურს.**



ვალში არც სტალინი დარჩენილა. როდესაც მაო ძედუნი ბანკეტზე მიიწვიეს, იქ, სადაც სტუმარი უნდა დამჯდარიყო, მაგიდაზე იდო პატარა აბრა წარწერით: „ბატონი მაო ძედუნი“. მოლაპარაკებებზე სტალინი მაო ძედუნს ბატონობით მიმართავდა, რაც ერთობ უხერხულად ეჩვენებოდათ, როგორც დელეგაციის წევრებს, აგრეთვე, სტუმრის მასპინძელი საბჭოთა ელიტის წარმომადგენლებს. მაო ძედუნმა თარჯიმნის მეშვეობით სცადა, გაერკვია, რატომ უწოდებდა სტალინი მას ბატონს და არა — ამხანაგს.

„გეთანხმებით. ამხანაგი ნამდვილი მეგობარია“, — უპასუხა სტალინმა და ეს მიმართვა მოლაპარაკებების დასრულებამდე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე გაგრძელდა. **ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ კი 56 წლის მაო ძედუნი მსოფლიოს პროლეტარიატის დიდი ბელადის, 70 წლის იოსებ სტალინის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი გახდა.**

ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამდე უამრავი დოკუმენტის შექმნა იყო საჭირო და მათზე მუშაობა 65 დღეს გაგრძელდა. ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მაო ძედუნის მიმართ, მას „ჩინელი ხალხის საამაყო შვილი უწოდა“. მიულოცა ის დიადი გამარჯვება, რომელიც მან რევოლუციის შედეგად მოიპოვა და იხსნა ჩინელი ხალხი უცხოელთა მონობის ულლისგან. ჩინეთის დელეგაციის მოსკოვში გამგზავრებამდე გათავისუფლებული ჩინელი ხალხი ორთვე-ნახევრის განმავლობაში ზეიმობდა უდიდეს გამარჯვებას.

**მაო ძედუნს კარგად ახსოვდა, რომ სტალინი ჩინეთის კომპარტიას არ სწყალობდა და ის მოწინაალმდეგე გომინდანის მხრისკენ იხრებოდა, რაც შეახსენა კიდეც საუბრის დროს. სტალინმა კი მოხერხებულად უპასუხა: „ეს ხომ წარსულია. თვალი დაუდგეს უკან მაყურებელ კაცს“-ო.**

1935 წლამდე სტალინი ნამდვილად არ ემხრობოდა, არ ცნობდა მნიშვნელოვან ძალად ჩინეთის კომპარტიას, მაგრამ 1938 წელს მან მტკიცედ გადაწყვიტა, ეღიარებინა ჩინეთის კომპარტია მებრძოლ ძალად, ხოლო მაო ძედუნი — ჩინეთის კომპარტიის ბელადად.

მოლაპარაკების პირველ დღეს სტალინმა და მაო ძედუნმა განიხილეს საბჭოთა საზღვაო ფლოტის მდგომარეობა პორტ-არტურში, პეკინისთვის დიდი რაოდენობის კრედიტის მიცემა, ჩინეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარების საკითხები და სამხედრო მრეწველობის სწრაფი აღმავლობის პერსპექტივები.

სტალინი მხარს უჭერდა მაო ძედუნს ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და აღუთქვამდა უდიდეს დახმარებას. მაო ძედუნმა სტალინს სთხოვა, დახმარებოდა კუნძულ ტაივანის გათავისუფლებაში, სადაც გომინდანი სამხედრო მოქმედებებს განაგრძობდა. საბჭოეთის ბელადმა არცთუ დიდი ენთუზიაზმით აღუთქვა ამ საკითხში დახმარება.

1949 წლის 21 დეკემბერს სტალინს დაბადებიდან 70 წელი უსრულდებოდა. საიუბილეო საზეიმო ცერემონიას, რომელიც დიდ თეატრში გაიმართა, რა თქმა უნდა, სრული შემადგენლობით ჩინეთის დელეგაციაც დაესწრო, ხოლო თვითონ მაო ძედუნი იუბილარმა პრეზიდიუმში მიიწვია და თავის გვერდით მიუჩინა ადგილი. საიუბილეო საღამოზე მაო ძედუნმა ღრმაშინაარსიანი და ამაღელვებელი სიტყვა წარმოთქვა თავის მასწავლებელსა და რევოლუციის მამამთავარზე.

მეორე დღეს, 22 დეკემბერს, მაო ძედუნმა კრემლს თავისი წარმომადგენლის მეშვეობით აცნობა, რომ სტალინთან მოლაპარაკების ყველა დეტალი გაგზავნილია პეკინში, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, და ელოდება პასუხს. სტალინმა სხვადასხვა არხით შეიტყო, რომ მაო ძედუნი უკმაყოფილოა:

**„გამომიძახეს მოსკოვში და არაფერს ვაკეთებ, რატომ ჩამოვედი აქ? ნუთუ იმიტომ, რომ წიგნები ვიკითხო და ვიძინო? მე, მაო ძედუნი, მხოლოდ იმიტომ ჩამოვედი საბჭოთა კავშირში, რომ დაბადების დღე მიმელოცა სტალინისთვის?“**

**მაო ძედუნი ფიქრობდა, რომ სტალინი რატომღაც დროს აჭიანურებდა.**

მიუხედავად სტუმრის განაწყენებისა, სტალინმა თავშეკავება და სიდინჯე გამოიჩინა. მან იცოდა, რასაც აკეთებდა. მაო ძედუნი, ბოლოს და ბოლოს, მივიდა დასკვნამდე, რომ სტალინთან უნდა დაეწყო მოლაპარაკება ფართო ხელშეკრულების გაფორმებაზე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გაურბოდა პირად პასუხისმგებლობას — უნდოდა, გადაწყვეტილება კოლექტიურად ყოფილიყო მიღებული ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიუროსთან ერთად.

მაო ძედუნმა სტალინს წერილი მისწერა (არადა, მაო ძედუნი „კუნცევოს“ აგარაკის მეორე სართულზე ცხოვრობდა, ხოლო სტალინი — ამავე არცთუ დიდი შენობის პირველ სართულზე. — გრ. ონიანი):

„ამხანაგო სტალინ! ამხანაგებმა (ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრებმა) მითხრეს, რომ საჭიროა ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ველი თქვენს განკარგულებას. მაო ძედუნი“.

საბჭოთა კავშირში ჩინეთის ელჩის მეშვეობით მაო ძედუნმა აცნობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ უნდა შემუშავდეს პოლიტიკური დოკუმენტაცია.

საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად აცნობა ჩინეთის დელეგაციას, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად.

მალე სტალინმა თავისთან მიიწვია მაო ძედუნი და, როგორც წესი, გვიან საღამოს ვახშამი გაუმართა.

სტალინმა სადღეგრძელო წარმოთქვა:

— ჩვენ აღმოსავლეთის ხალხების წარმომადგენლები ვართ. ჩვენ გვესმის ერთმანეთის. ასი წელია, ჩინეთი იმპერიალისტების უღელქვეშ გმინავს. ჩინელები გმირი, გაბედული, შრომისმოყვარე და ბრძენი ხალხია, უძველესი კულტურის მქონე. ჩინეთის კომუნისტური პარტია — ეს უკვე გამობრძმედილი პარტიაა, რომელშიც მრავალი გამოცდილი მუშაკია. უნდა აღინიშნოს, ისეთ ბრძენ ხელმძღვანელზეც, როგორიც მაო ძედუნია. სწორედ ის ხელმძღვანელობდა რევოლუციას და მიაღწია ბრწყინვალე გამარჯვებას. ახლა თქვენი ვალია, გაუფრთხილდეთ სამშობლოს, თქვენს ინტერესებს, ეროვნულ ინტერესებს; გაუფრთხილდეთ თქვენს ბელადს და ხალხთა შორის მეგობრობას. ამ პირობებში ძალზე კარგი იქნება, დავდოთ ხელშეკრულება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და კავშირის შესახებ. მაქვს კიდევ ერთი წინადადება: ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერონ სტალინმა და მაო ძედუნმა.

სტალინის წინადადებაზე მაო ძედუნმა განაცხადა:

— მე ხომ არ ვარ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ამხანაგო სტალინ, ამიტომ ჩვენ სხვადასხვა „კალიბრისა“ ვართ. ამ შემთხვევაში მე უნდა გამოვიძახო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

სტალინი ყველა წვრილმანში ხედავდა საბჭოთა ქვეყნის ინტერესებს და არც ამჯერად გამორჩენია მხედველობიდან, რომ სტალინის ხელმოწერის გვერდით ჩინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის — **ჯოუ ენ ლაის** ხელმოწერა გარკვეულ პრივილეგიას ანიჭებდა ჩინეთის მეთაურს, ამიტომ იქვე განუცხადა ეშმაკ აზიელს:

— არაფერია. ჩვენს ხელმოწერებს განამტკიცებს ჩვენი ორი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების — **ანდრეი ვიშინსკისა** და **ჯოუ ენ ლაის** (რომელიც ჩინეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის პარალელურად, საგარეო უწყებასაც განაგებდა) ხელმოწერები“, — ასე გაჩნდა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის ურთიერთდახმარებისა და კავშირის 30-წლიან ისტორიულ ხელშეკრულებაზე 4 ხელმოწერა.

საუბრისას სტალინმა სტუმარს გადასცა **ივანე კოვალიოვის** (საბჭოეთის წარმომადგენელი ჩინეთში 1948-49 წლებში) მოხსენებითი ბარათი, რომელშიც სტალინს აცნობებდა, რომ, ერთ-ერთი გადასახლებული პარტიული მაღალჩინოსნის თქმით, ჩინეთის კომუნისტურ პარტიაში ცხარე კამათი მიმდინარეობდა საკითხზე: ვის მხარეზე უნდა ყოფილიყო ჩინეთი — საბჭოთა კავშირის თუ ამერიკის. სტალინი არწმუნებდა მაო ძედუნს, რომ ფარულად არ მოქმედებდა და ყოველგვარ ჩარევას გამორიცხავდა საბჭოთა მხრიდან ჩინეთის საშინაო საქმეებში.

მაო ძედუნი კი, თავის მხრივ, გამოთქვამდა ღრმა რწმენას, რომ გარდა მიზნების თანხვედრისა, ჩინეთის ხელისუფლებას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დაიცვას „ერთად დგომის“ პრინციპი საბჭოთა კავშირთან და არასოდეს უღალატოს მას.

ვიდრე ჯოუ ენ ლაი პეკინიდან მოსკოვში მატარებლით მოემგზავრებოდა, სტალინის დავალებით, მაო ძე დუნს ლენინგრადი დაათვალიერებინეს — რუსეთის იმპერიის ყოფილი სატახტო ქალაქი. როდესაც სტუმარი მუზეუმ ერმიტაჟს ეწვია, აღმოჩნდა, რომ ჩინური დარბაზი რემონტის გამო იყო დაკეტილი და მან ექჭვნარევი საყვედური გამოთქვა:

**„ამ შემთხვევაში რუსებს შერცხვათ, ეჩვენებინათ ჩვენთვის ის ნაძარცვი, რომელიც ჩინეთიდან მეფის რუსეთმა წამოიღო“.**

1950 წლის 21 იანვარს, მოსკოვში მაო ძედუნის თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ, მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის პერემიერმინისტრი ჯოუ ენ ლაი. დაიწყო ხელშეკრულების დადების ოფიციალური ცერემონია. საბჭოთა მხარემ წარმოადგინა ხელშეკრულების თავისი ვარიანტი, რომელიც

**1950 წლის 21 იანვარს, მოსკოვში მაო ძედუნის თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ, მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის პერემიერმინისტრი ჯოუ ენ ლაი. დაიწყო ხელშეკრულების დადების ოფიციალური ცერემონია. საბჭოთა მხარემ წარმოადგინა ხელშეკრულების თავისი ვარიანტი, რომელიც თითქმის შეუსწორებლად იქნა ხელმოწერილი. ჩინეთის მხარე დათანხმდა, რომ ეს ყოფილიყო მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც 1950 წლის 14 თებერვალს მოეწერა ხელი და მისი მოქმედების ვადა 30 წლით განისაზღვრა**

თითქმის შეუსწორებლად იქნა ხელმოწერილი. ჩინეთის მხარე დათანხმდა, რომ ეს ყოფილიყო მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც 1950 წლის 14 თებერვალს მოეწერა ხელი და მისი მოქმედების ვადა 30 წლით განისაზღვრა.

ხელშეკრულებაზე ხელმოწერის აღსანიშნავად, მაო ძედუნის ბრძანებით, ჩინეთის წარმომადგენლებმა დარბაზობა გამართეს სასტუმრო „მეტროპოლში“. ჩინეთის ლიდერმა სტალინს სთხოვა, დასწრებოდა ამ ღონისძიებას, სტალინმა კი მოკრძალებით განუცხადა, რომ მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობა არასოდეს მიუღია, მაგრამ მაო ძედუნის დაჟინებულმა თხოვნამ გაჭრა და სტალინი სასტუმრო „მეტროპოლის“ შენობისკენ გაემართა, რაც ჩინეთის სახალხო ბელადის დიდ პატივისცემად და დაფასებად ჩათვალა არა მხოლოდ საბჭოთა ხალხმა, არამედ მსოფლიომ. სტალინის ამ ნაბიჯს უცხოურმა მედიასაშუალებებმა უამრავი წერილი მიუძღვნა.

1950 წლის 17 თებერვალს მაო ძედუნი და ჯოუ ენ ლაი სპეციალური მატარებლით პეკინისკენ გაემგზავრნენ. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის საზღვარზე სტალინის ბრძანებითა და მისივე სახელით სტუმრებს სამახსოვროდ ორი მსუბუქი ავტომანქანა გადასცეს.

ასე დასრულდა ორ უდიდესი აზიელის — ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1950 წლის 21 იანვარს, მოსკოვში მაო ძედუნის თვეზე მეტი ხნით ყოფნის შემდეგ, მოსკოვში ჩავიდა ჩინეთის პერემიერმინისტრი ჟოუ ენ ლაი. დაიწყო ხელშეკრულების დადების ოფიციალური ცერემონია. საბჭოთა მხარემ წარმოადგინა ხელშეკრულების თავისი ვარიანტი, რომელიც თითქმის შეუსწორებლად იქნა ხელმოწერილი. ჩინეთის მხარე დათანხმდა, რომ ეს ყოფილიყო მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც 1950 წლის 14 თებერვალს მოეწერა ხელი და მისი მოქმედების ვადა 30 წლით განისაზღვრა.**

◀ სტალინისა და მაო ძედუნის — ერთადერთი და ისტორიული შეხვედრა

მაო ძედუნის მოსკოვში ვიზიტის 65 დღე და ღამე სავსეა მთელი რიგი განცდებითა და მღელვარებით, რაც ცალკე განსჯისა და განხილვის საგანია.

მაო ძედუნი საბჭოთა კავშირში მეორედ 1957 წლის 19 ნოემბერს ჩამოვიდა, ერთი დღით ადრე, 18 ნოემბერს კი, მოსკოვში გაიხსნა 64 ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების ცნობილი თათბირი. ამ თათბირზე სიტყვით გამოვიდა მაო ძედუნი:

**„მსოფლიოში დღეს ძლიერი ქარი უბერავს: ერთი — აღმოსავლეთიდან, მეორე — დასავლეთიდან. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ აღმოსავლეთის ქარი დაამარცხებს დასავლეთის ქარს“.**

მაო ძედუნის ეს ფიგურალური გამოთქმა გამოწვეული იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1956 წლის თებერვალში გამართული მე-20 ყრილობის შედეგებით. ამ ყრილობაზე **ნიკიტა ხრუშჩოვმა** დასავლეთიდან მონაბერი გამაოგნებელი სიცრუის ქარიშხალი დააყენა სტალინის „პიროვნების კულტის“ შესახებ და შოკში ჩააგდო არა მხოლოდ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიები, არამედ სრულიად მსოფლიო.

ჩინეთის ლიდერმა სწორად განსაზღვრა, რომ 1956 წლის თებერვლის ყრილობა დასავლეთის ქარის პირველი შემოჭრა იყო სოციალისტურ ბანაკში, ამიტომ ქვეყნისა და სოციალიზმის ერთგულმა დამცველმა, თუმცა გამაოგნებელი, მაგრამ ძალზე გაბედული განაცხადი გააკეთა:

**„შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა შედეგები მოჰყვება თანამედროვე ომს და ადამიანთა რა რაოდენობის მსხვერპლს გამოიწვევს იგი. ეს რაოდენობა იქნება დედამიწაზე მცხოვრები 2 მილიარდ 700 მილიონი ადამიანის (იმხანად ამდენი კაცი ცხოვრობდა დედამიწაზე — გრ. ონიანი) ერთი მესამედი, ესე იგი, 900 მილიონი და შეიძლება მეტიც — დედამიწაზე მცხოვრებთა ნახევარი. მაგრამ შედეგი იქნება ის, რომ დედამიწაზე აღარ იარსებებს იმპერიალიზმი და სრულიად მსოფლიოში დამყარდება სოციალიზმი. ნახევარ საუკუნეში კი მოსახლეობა კვლავ მიაღწევს დღევანდელ ნიშნულს და შეიძლება მეტსაც“.**

ჩინეთის მოსახლეობა იმხანად 700 მილიონს შეადგენდა. დაახლოებით 50 მილიონი ჩინელი იაპონელებთან ომში დაიღუპა, აგრეთვე, — სამოქალაქო ომებში. წლების შემდეგ ჩინეთის ხელისუფლება ჩინეთისა და მსოფლიოში სამართლიანობის დამყარების უპირველეს მტრად საბჭოთა კავშირის მთავრობას მიიჩნევდა, რის გამოც მასთან შეიარაღებულ კონფლიქტსაც არ ერიდებოდა — 1969 წელს სსრკ-ისა და ჩინეთის საზღვართან, კუნძულ დამანსკზე შეიარაღებულ კონფლიქტს უამრავი ჩინელის სიცოცხლე შეეწირა.

გავიდა 20 წელი და ორმა უდიდესმა სახელმწიფომ კვლავ გამონახა ერთმანეთთან მისასვლელი გზები და კვლავ დამეგობრდა (ნუთუ ეს ჩვენთვის ყურადსაღები არ უნდა იყოს? — გრ. ონიანი).

1957 წლის ნოემბერში მოსკოვში ყოფნისას მაო ძედუნი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ **ანდრეი გრომიკოს**, რომელსაც განუცხადა:

— ჩემი თვალსაზრისით, სტალინის მოღვაწეობის 70% უნდა შეფასდეს როგორც წარმატებული, ხოლო 30% — როგორც წარუმატებელი. ჩვენ ვერ დაგეთანხმებით სტალინის დამსახურების უგულებელყოფაში და მის წარუმატებლობას მხოლოდ სტალინს ვერ მივაწერთ, რადგან მასში დიდი წვლილი მიუძღვის საბჭოეთის მთავრობასა და პოლიტბიუროს. ვერ დაგეთანხმებით, რადგან 30 წლის განმავლობაში სტალინმა დაასრულა რევოლუცია და სოციალიზმის მშენებლობა, მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება დიდ სამამულო ომში.

სტალინის დამსახურებების მათემატიკურად გამოსახული პროპორცია 70:30 ისე მოეწონა მაო ძედუნს, რომ 1961 წელს თავის თავზე დაწერა:

**„როგორ შეიძლება ჩემი გაკეთებულის შეფასება? თუ 70% დადებითი აღმოჩნდება, ხოლო 30 % უარყოფითი, ძალზე ბედნიერი ვიქნები. მე არ უარვყოფ ჩემს ნაკლოვანებებს. მე წმინდანი არ ვარ“.**

სტალინის როლის შეფასებას რამდენიმეჯერ მიუბრუნდა მაო ძედუნი, ინტენსიურად კი — 1956 წლის მარტში, ოქტომბერსა და ნოემბერში. ნოემბერში ჩინეთში საბჭოთა კავშირის ელჩ პავლე იუდინთან საუბარში მან განაცხადა:

**„თქვენ (იგულისხმება ხრუშჩოვი და სკკპ-ის პოლიტბიურო) სრულიად უარყავით ის ხმალი, რომელსაც სტალინი წარმოადგენდა, გადააგდეთ, მტერმა ის სწრაფად აიღო ხელში და ამ ხმლით გვანადგურებს დღეს ჩვენ. თქვენი მოქმედება ჰგავს იმას, რომ დიდი ლოდი ორივე ხელით ასწიოთ და შემდეგ ფეხებზე დაიცეთ“.**

1957 წლის მაისში ჩინეთს ეწვია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კლიმენტ ვოროშილოვი.** ჩინეთის პარტიამ და მთავრობამ ვოროშილოვს მოუწყო გრანდიოზული შეხვედრა, არა იმიტომ, რომ ის საბჭოთა კავშირის მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი იყო, არამედ იმიტომ, რომ იგი სტალინის თანამებრძოლი და მეგობარი იყო. ხალხის მიერ მის მიმართ გამომჟღავნებულ პატივისცემასა და სიყვარულს საზღვარი არ ჰქონდა. **ვოროშილოვს** მოატარეს ჩინეთის ყველა საოცრება ანტიკური ხანიდან დღემდე. აჩვენეს სუნის დინასტიის ეკლესია, რომლის ახლოს დასაფლავებულია სახალხო გმირი **იუე ფეი** (1103—1142). იუე ფეის საფლავი მოკრძალებული, მაგრამ არქიტექტურულად დასამახსოვრებელი ნაგებობაა. ამ საფლავიდან ცოტა მოშორებით დაჩოქილი ქალისა და კაცის გაშარჟებული ქანდაკებები დგას. ესენი არიან გამყიდველი ცოლ-ქმარი (**ძინ გუი** და მისი ცოლი), მხილებულნი და დამნაშავენი გმირის სიკვდილში. ყველა მლოცველისთვის, რომლებიც ეკლესიას მოინახულებენ, სავალდებულოა, მივიდეს ამ დაჩოქილი ცოლ-ქმრის ქანდაკებებთან და მიაფურთხოს ან ჭუჭყი და ტალახი ესროლოს. ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა ასეული წლების განმავლობაში, ასე უხდის სამაგიეროს ჩინელი ხალხი მოღალატეებს. დიდხანს იდგნენ ვოროშილოვი და ჟოუ ენ ლაი გმირის საფლავსა და გამყიდველი ცოლ-ქმრის ქანდაკებებს შორის. მასპინძელი სტუმარს ქვეყნის გამყიდველის მიმართ ჩინელი ხალხის დამოკიდებულებაზე მოუთხრობდა. ვოროშილოვი ხვდებოდა, რატომ შემოუნახეს ჩინელებმა ბოლო აკორდად გმირისა და გამყიდველის საფლავებთან მისვლა და ამ საზარელი ამბის მოსმენა.

# ყველა მლოცველისთვის, რომლებიც ეკლესიას მოინახულებენ, სავალდებულოა, მივიდეს ამ დაჩოქილი ცოლ-ქმრის ქანდაკებებთან და მიაფურთხოს ან ჭუჭყი და ტალახი ესროლოს. ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა ასეული წლების განმავლობაში, ასე უხდის სამაგიეროს ჩინელი ხალხი მოღალატეებს



ძინ გუის და მისი ცოლის ქანდაკებები

10 საუკუნეა, ჩინელი ხალხი აფურთხებს თავისი გმირის გამყიდველებს და მსოფლიოს დღესაც აოცებს ჩინელთა სიბრძნე და გამძლეობა.

ხალხის მხსნელი გმირის მკვლელი ნიკიტა ხრუშჩოვი კი მშვიდად განისვენებს ნოვოდევიჩის სასაფლაოზე და სტალინელები გულს იმით იმშვიდებენ, რომ მის საფლავზე დადებული უზარმაზარი და უძვირფასესი მარმარილო ორი ფერისაა — შავი და თეთრი (არ ვიცი ამ შემთხვევაში ფურთხის ღირსი ხალხია თუ ის, ვინც ამ საფლავში განისვენებს).

რუსი ხალხი იმასაც ითმენს, რომ სტალინის მიერ შექმნილი ზესახელმწიფო, რომელიც შიშის ზარს სცემდა მსოფლიოს, და ყოველი საბჭოთა მოქალაქე ამაყობდა იმით, რომ იყო „გრაჟდანინ სოვეტსკოგო სოიუზა“, ერთმა ტყირპიანმა არაკაცმა **მიხეილ გორბაჩოვმა** დაანგრია და ეს ქვეყნის დამანგრეველი ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავ ზეიმზე საპატიო სტუმართა სიაში იყო და საპატიო ადგილზეც დაბრძანებული.

როდის დაიდგმება სტალინის საფლავთან ახლოს ორი განუვითარებელი სპერმატოზოიდის — ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის — გაშარჟებული ძეგლები, რათა ყოფილი საბჭოეთის ყველა მოქალაქემ და მომავალში სოციალიზმში მცხოვრებმა ადამიანმა ყელი ამოისუფთაოს ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის მიფურთხებით და ამით „პატივი მიაგოს“ მათ ამყრალებულ სულებს.



იუე ფეის ქანდაკება

**იუე ფეის საფლავი მოკრძალებული, მაგრამ არქიტექტურულად დასამახსოვრებელი ნაგებობაა. საფლავიდან ცოტა მოშორებით დაჩოქილი ქალისა და კაცის გაშარჟებული ქანდაკებები დგას. ესენი არიან გამყიდველი ცოლ-ქმარი (ძინ გუი და მისი ცოლი), მხილებულნი და დამნაშავენი გმირის სიკვდილში. ყველა მლოცველისთვის, რომლებიც ეკლესიას მოინახულებენ, სავალდებულოა, მივიდეს ამ დაჩოქილი ცოლ-ქმრის ქანდაკებებთან და მიაფურთხოს ან ჭუჭყი და ტალახი ესროლოს. ეს ტრადიცია თაობიდან თაობას გადაეცემა ასეული წლების განმავლობაში, ასე უხდის სამაგიეროს ჩინელი ხალხი მოღალატეს**




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამიტი გაეროს ფულით გაბერილი საპნის ბუშტი აღმოჩნდა. მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს მასზე თითქმის არ გაუმახვილებია ყურადღება, არადა, კატასტროფასთან მებრძოლი რამდენი ადამიანი შეიკრიბა მსოფლიოს ჰუმანიზმის ცენტრში — თურქეთში?!**

# საერთაშორისო ჰუმანიტარული სამიტი სტამბოლში — ფუჭსიტყვაობა და ფარისევლობა




**გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა და მისმა სამდივნომ 23-24 მაისს სტამბოლში გამართა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამიტი, რომელზეც ითქვა, რომ მას უნდა დაეწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ცხოვრებაში — ეპოქა საერთაშორისო თანამშრომლობისა და ჰუმანიტარული კატასტროფების ლიკვიდაციისა.**

ვინ აღარ იყო ამ ღონისძიების 6000 მონაწილეს შორის, დაწყებული გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელით,** დასრულებული ყირიმელი თათრების ნაციონალური მოძრაობის გაქცეული ლიდერ **მუსტაფა ჯემილევით.** და რის მიღწევა შეიძლება ამ შემადგენლობით? რა ერთობლივი დოკუმენტი შეიძლება შეიმუშავონ ევროპაში ლტოლვილების ნაკადის შეჩერებით შეშფოთებულმა ანგელა მერკელმა და ამ ნაკადების მარეგულირებელმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა?** რომელი ჰუმანიტარული კატასტროფის ლიკვიდაციაზე შეიძლება ილაპარაკოს **პეტრე პოროშენკომ,** რომელმაც ათასობით უკრაინელი ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის სასაკლაოზე გაგზავნა? რა ახალი საერთაშორისო პოლიტიკის კონცეფცია შეიძლება შემოგვთავაზონ აშშ-ის წარმომადგენლებმა, რომელთა თავებში ჟანგიანი ლურსმანივით არის ჩაჭედებული მსოფლიოზე ამერიკის უპირატესობის იდეა?

პრინციპში, **ასეთი დიდი ჰურალის (მონღოლებისა და თურქი ხალხების სახალხო-წარმომადგენლობითი საკრებულო — რედ.) შეკრება ღირდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ დღის წესრიგში შევიდოდა ჰუმანიტარული კატასტროფების მიზეზებისა და ამ მიზეზების ლიკვიდაციაზე მსჯელობის საკითხები.**

საჭიროა კი წყვდიადში ხელების ცეცებით სიარული XXI საუკუნის ყველაზე მძიმე კატასტროფების მიზეზების გასარკვევად, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ავღანეთში, ერაყში, სირიაში, ლიბიასა და სხვა ქვეყნებში მცხოვრები უამრავი ადამიანი ლტოლვილად აქცია? **საჭიროა კი ბანქოზე მკითხაობა იმის დასადგენად, რატომ სუფევს შიმშილი და ვრცელდება ეპიდემიები აფრიკისა და აზიის რიგ ქვეყნებში? ღირს კი იმაზე თავისმტვრევა, რომ თურქეთი, მრავალი წელია, ქურთების გენოციდს ახორციელებს და ეს პროცესი მისი ხელით შექმნილი ჰუმანიტარული კატასტროფაა? — არა, რა თქმა უნდა. მიზეზები ხელისგულზე დევს.**

თითოეულ ჰუმანიტარულ კატასტროფას კონკრეტული შემოქმედი ჰყავს. მათი ვინაობა ცნობილია, მაგრამ უმრავლესობა სტამბულში გამართულ სამიტს არ დასწრებია, გამონაკლისი იყო ერდოღანი — სამიტის მასპინძელი, და პეტრე პოროშენკო, რომელიც ხელიდან არ უშვებს შემთხვევას მოსკოვის ლაფში ამოსასვრელად.

სამიტზე დასავლეთის დიდი პოლიტიკა წარმოდგენილი იყო ანგელა მერკელით, დასავლეთის სხვა დედაქალაქებიდან კი შედარებით დაბალი რანგის პოლიტიკოსები ჩავიდნენ. რუსეთმაც მხოლოდ სამოქალაქო თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციების მინისტრის მოადგილე **სერგეი ვორონოვი** გაგზავნა. მოსკოვმა კარგა ხნით ადრე გამოთქვა თავისი ნეგატიური დამოკიდებულება სამიტის მომზადების პროცესისადმი — მას საშუალება არ მისცეს, დღის წესრიგში შეეტანა ის საკითხები, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. რუსეთი ასეთ თამაშებში მონაწილეობაზე უარს ამბობს ხოლმე. სწორედ ამაზე მიანიშნა სერგეი ვორონოვმა: „მსოფლიოში ჰუმანიტარული კრიზისების დიდი უმრავლესობა გამოწვეულია შიგა შეიარაღებული კონფლიქტებით, რომლებშიც გარე ძალების ხელი ურევია... ჩვენ ამ ფორუმისგან ველოდებით მკაფიო და ძლიერ სიგნალს კონფლიქტების თავიდან აცილების აუცილებლობასა და პოლიტიკურ დარეგულირებაზე, როგორც ჰუმანიტარულ სისტემაზე დატვირთვის შემცირების საკვანძო ფაქტორზე“, მაგრამ ამ საკითხზე ლაპარაკი არ ყოფილა. სამიტმა მოიწონა გაეროს სამდივნოს მიერ შემუშავებული „გლობალური შეთანხმების“ პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული არ არის მთავარი — შეთანხმების დარღვევის გამო საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება.

ერთხმად მიღებული 1500 ვალდებულება და ინიციატივა კი მოღვაწეობის იმიტაციაა და მეტი არაფერი, რადგან სერიოზულ გადაწყვეტილებებს ერთი ხელის მოსმით, დეტალების ღრმად გაანალიზების გარეშე არავინ იღებს. თითოეულ მათგანს, თუკი მის შესრულებას ვინმე მართლა დააპირებს, მოჰყვება ეკონომიკური და სამართლებრივი შედეგები, რომლებიც აუცილებლად აისახება სახელმწიფოს მოქმედებაზე.



**ასეთი დიდი ჰურალის (მონღოლებისა და თურქი ხალხების სახალხო-წარმომადგენლობითი საკრებულო — რედ.) შეკრება ღირდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ დღის წესრიგში შევიდოდა ჰუმანიტარული კატასტროფების მიზეზებისა და ამ მიზეზების ლიკვიდაციაზე მსჯელობის საკითხები**

**საერთაშორისო ჰუმანიტარული სამიტი აღმოჩნდა გაეროს ფულით გაბერილი საპნის ბუშტი. მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს მასზე თითქმის არ გაუმახვილებია ყურადღება, არადა, კატასტროფასთან მებრძოლი რამდენი ადამიანი შეიკრიბა მსოფლიოს ჰუმანიზმის ცენტრში — თურქეთში?!**

**ერდოღანს** ქურთების გენოციდსა და ლტოლვილებზე არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ, მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს რეფორმირება. გაეროს უშიშროების საბჭო, დიდი ხანია, არ მოსწონს საერთაშორისო ურთიერთობების ბევრ სუბიექტს, და ასეთი მოთხოვნა ყოველთვის პოულობს გამოძახილს. **პოროშენკო,** ჩვეულებისამებრ, საკუთარ თავს რუსეთის აგრესიის მსხვერპლად წარმოაჩენდა და დაუფარავად მიუთითებდა უკრაინისთვის ფულის მიცემის აუცილებლობაზე. ეს უკრაინას ყველა პრობლემის მოგვარეობაში ვერ დაეხმარება, მაგრამ, როგორც იტყვიან, ნომერმა იმუშავა.

**ანგელა მერკელმა** ძალიან სერიოზულად ილაპარაკა საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობაზე. ესეც არ არის ცუდი, მაგრამ მერკელის რეიტინგზე უკვე ველარ იმოქმედებს.

მოკლედ, ბევრი ფუჭი სიტყვა ითქვა და ახალი არაფერი მომხდარა. ამის ნათელი დასტურია ორგანიზაცია **„ექიმები საზღვრებს გარეშე“-ს უარი სამიტში მონაწილეობაზე,** რადგან „არ არის იმედი იმისა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამიტი უპასუხებს არასრულყოფილებას ჰუმანიტარულ მოქმედებებში და ექსტერნულ რეაგირებებში, განსაკუთრებით — კონფლიქტურ სიტუაციებში“. **სამიტის ორგანიზატორების ფარისევლობის ყველაზე ნათელი მტკიცებულება იყო სამიტის პოსტერი — ერდოღანისა და პან გი მუნის ფოტო ბავშვების გარემოცვაში. ერდოღანს ხელები უდევს შავგვრემანი ბიჭის მხრებზე. ეს ბიჭი შემთხვევით ქურთი ხომ არ არის? სტამბულში გამართულ ღონისძიებაში პან გი მუნის როლი კი ჰგავს მამლის როლს პოპულარული ქართული მულტფილმიდან: თუ არ იყივლა, სოფელი არ აშენდება...**

FONDSK.RU

# თურქეთში ტურისტების ნაკადი კატასტროფულად შემცირდა



**თურქეთში ტურისტების ნაკადი 17 წლისწინანდელ დონემდე დაეცა. თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს მონაცემებით, 2016 წლის აპრილში ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 28%-ით შემცირდა, 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**

მიმდინარე წლის აპრილში თურქეთს 1,75 მლნ ადამიანი ეწვია, თითქმის 700 ათასით ნაკლები, ვიდრე გასული წლის აპრილში. ეს ტურისტების რაოდენობის ყველაზე მნიშვნელოვანი კლებაა 1999 წლის მაისის შემდეგ, როცა ქურთების მუშათა პარტიამ ტურისტები გააფრთხილა, არ ჩასულიყვნენ თურქეთში, რადგან იწყებდნენ „შურისძიების“ კამპანიას თავიანთი ლიდერის — აბდულა ოჯალანის დაპატიმრების გამო. გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2016 წლის იანვრიდან აპრილამდე თურქეთში ტურისტების რაოდენობა 16,5%-ით შემცირდა 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მათ შორის, გერმანელი ტურისტებისა — 35%-ით, რუსი ტურისტებისა კი — 79%-ით. მას შემდეგ, რაც თურქებმა რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს სირიაში, ბევრმა რუსმა უარი თქვა თურქეთში დასვენებაზე, არადა, თურქეთში ყველაზე მეტი ტურისტი გერმანიის შემდეგ რუსეთიდან ჩადიოდა.

აღსანიშნავია, რომ ამჟამად თურქეთში ჩასული ტურისტების რაოდენობით საქართველო გერმანიასა და ბულგარეთთან ერთად მოწინავე პოზიციაზეა.

RUSVESNA.SU

**2015 წლის მიგრაციულმა კრიზისმა ხელი შეუწყო ელექტორატის მხარდაჭერას მემარჯვენე ნაციონალიზმისადმი. ავსტრიელები იძულებულნი შეიქნენ, თავიანთ ტერიტორიაზე მოულოდნელად მიეღოთ (თანაც ისე, რომ, თანახმანი იყვნენ თუ არა, არავის უკითხავს) 90 ათასი ლტოლვილი ახლო აღმოსავლეთიდან. ამ ლტოლვილების უმრავლესობა ახალგაზრდა მუსლიმია, რომლებიც არ ლაპარაკობენ გერმანულად და არ იცნობენ ავსტრიის კათოლიკურ კულტურას.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მულტიკულტურალიზმის კრახი ევროპაში

**2016 წლის 22 მაისს ავსტრიელმა ელექტორატმა ევროპას საყურადღებო გზავნილი გაუგზავნა. „მწვანეების“ კანდიდატმა მხოლოდ მინიმალური უპირატესობით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში. და ლაპარაკი ე.წ. ნაციონალისტურ სენზე უადგილოა. ნორბერტ ჰოფერის შთამბეჭდავი შედეგის (49,7% — არჩევნების მეორე ტურში, 14% მეტი, ვიდრე პირველში) ფონზე, ცივი გონებით უნდა გავაანალიზოთ მომხდარი, — წერს ფრანგული გამოცემა „ფიგაროს“ მიმომხილველი.**




უწინარესად, საჭიროა ორი მთავარი პოლიტიკური მითის გაბათილება. **პირველის** თანახმად, ჰოფერის ავსტრიის თავისუფლების პარტია (ათპ) ულტრამემარჯვენეთა მოძრაობაა, როგორიც „ნაციონალური ფრონტი“ საფრანგეთში, სინამდვილეში ათპ ულტრამემარჯვენე არ არის. ამ პარტიას ეჭვი არ შეაქვს თავისი ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტებში.

ნამდვილ ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე აქტივისტებს აერთიანებთ სიძულვილი იმ რეჟიმისადმი, რომლის პირობებშიც ცხოვრობენ — ისინი ოცნებობენ, ძალის გამოყენებით დაამხონ საძულველი რეჟიმი. გენერალი **ბულანჟე** და **პოლ დერულენდი** (ფრანგი ნაციონალისტები, ანტირესპუბლიკური მოძრაობის — ბელანჟიზმის წარმომადგენლები — რედ.) ულტრამემარჯვენეები იყვნენ, **ლენინი** და **ტროცკი** — ულტრამემარცხენეები. როდესაც **ჟან-მარი ლე პენმა** (ფრანგი პოლიტიკოსი, ევროპარლამენტარი, პარტია „ნაციონალური ფრონტის“ ყოფილი ლიდერი, ამ პარტიის ამჟამინდელი ლიდერის — მარინ ლე პენის მამა — რედ.) მხარი დაუჭირა პოდპოლკოვნიკ **ბასტიენ-ტირის** თავდასხმას **შარლ დე გოლზე,** ამით მან თავი ჩაწერა ულტრამემარჯვენეთა რიგებში. ინჟინერი **ნორბერტ ჰოფერი** და ადვოკატი **მარინ ლე პენი** წარმოადგენენ მემარჯვენე ნაციონალისტებს და არა — ულტრამემარჯვენეებს.

**მეორე მითი** ეხება სავარაუდო კავშირს ეკონომიკის სამწუხარო მდგომარეობასა და ნაციონალისტების მხარდაჭერას შორის. **მემარჯვენე რადიკალებს, ბოლო 6 წელია, ყველაზე აქტიურად უჭერენ მხარს ევროპის ორ ქვეყანაში: ავსტრიასა და დანიაში. ამასთანავე, ორივე ქვეყნისთვის დამახასიათებელია მაღალი შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე, უმუშევრობის დაბალი დონე და სოციუზრუნველყოფის შესანიშნავი სისტემა.**

**მაშ, რატომ არ დაუჭირეს ავსტრიელებმა მხარი იმ ორი პარტიის (ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და ავსტრიის სახალხო პარტია) კანდიდატებს, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში წარმატებით მართავდნენ ქვეყანას? ავსტრიაში არჩევნების შედეგები მიუთითებს მულტიკულტურიზმისადმი უარყოფითი განწყობილების ზრდაზე ევროპაში.**

ავსტრიელები უფრო დიდი ქსენოფობები არ არიან, ვიდრე ევროპის სხვა ხალხები, უფრო პირიქით. 1990-იან წლებში მათ კეთილგანწყობით მიიღეს ლტოლვილები ყოფილი იუგოსლავიიდან (სხვათა შორის, ამ ქვეყნის ნახევარს ავსტრია მართავდა 1918 წლამდე) — სერბები, ხორვატები, ბოსნიელები და კოსოვოელები, მაგრამ 2015 წლის მიგრაციულმა კრიზისმა ხელი შეუწყო ელექტორატის მხარდაჭერას მემარჯვენე ნაციონალიზმისადმი. ავსტრიელები იძულებულნი შეიქნენ, თავიანთ ტერიტორიაზე მოულოდნელად მიეღოთ (თანაც ისე, რომ თანახმანი იყვნენ თუ არა, არავის უკითხავს) 90 ათასი ლტოლვილი ახლო აღმოსავლეთიდან. ამ ლტოლვილების უმრავლესობა ახალგაზრდა მუსლიმია, რომლებიც არ ლაპარაკობენ გერმანულად და არ იცნობენ ავსტრიის კათოლიკურ კულტურას. **შეძლებენ კი ახალმოსულები ავსტრიელ საზოგადოებასთან ასიმილირებას? ამაზე მსჯელობა ჯერ ნაადრევია, მაგრამ ინფორმაციული გლობალიზაციის პირობებში ავსტრიელებმა საკუთარ თავს დაუსვეს კითხვა: ევროპის რომელ კუთხეში მოხდა მუსლიმთა ინტეგრაცია საზოგადოებასთან?**

2010 წლის 16 ოქტომბერს გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ყმაწვილ აქტივისტებთან სიტყვით გამოსვლისას ქვეყანაში მულტიკულტურიზმის კრახის შესახებ ილაპარაკა. **„სისტემა — ჩვენ გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და ეს გვიხარია, სრულიად ჩაფლავდა“,** — განაცხადა მერკელმა, — **ჩვენ ვგრძნობთ კავშირს ქრისტიანულ ფასეულობებთან. ვინც ამას არ ეთანხმება, მისი ადგილი აქ არ არის“.**

მერკელის გამოსვლამდე მისმა პოლიტიკურმა თანამებრძოლმა, ბავარიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ხელმძღვანელმა **ჰორსტ ზეეჰოფერმა** განაცხადა, რომ გერმანიას **აღარ სჭირდება იმიგრანტები განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებიდან, თურქები იქნებიან თუ არაბები, რადგან მათ ძალიან „უჭირთ“ ინტეგრირება.** იმხანად გერმანელი მემარჯვენეების ლიდერები ცდილობდნენ, მოეძებნათ პასუხი მუსლიმური იმიგრაციის წინააღმდეგ პროტესტით გაჟღენთილ წიგნზე მრავალმნიშვნელოვანი სათაურით **„გერმანია თვითლიკვიდაცია“,** რომელიც გამოსცა ყოფილმა სოციალ-დემოკრატმა **ტილო სარაცინმა.** ეს წიგნი ბესტსელერად იქცა და ასიათასობით გაიყიდა.

ჰოფერს მხარი დაუჭირეს იმ ავსტრიელებმა, რომლებსაც ძალიან არ მოეწონათ მერკელის საქციელი გასული წლის სექტემბერში, როდესაც მან ევროპელ პარტნიორებთან კონსულტაციების გაუვლელად, ახლო აღმოსავლელ მიგრანტებს ევროპის ქვეყნებში ჩასვლისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ გერმანიაში 800 ათასი ლტოლვილის ადგილი მოიძებნება.

საჭიროა, ევროპაში მულტიკულტურიზმის მიმართ უარყოფითი განწყობის ფონზე შეჩერდეს ახალი მიგრანტების შემოსვლა და ყველაფერი გაკეთდეს უკვე შემოსულთა ინტეგრაციისთვის.

**Le Figaro**

# ობამას ამერიკაში ძალადობა და სამოქალაქო არეულობები მძვინვარებს



**The Most Important News.com-ის აზრით, აშშ არასოდეს ყოფილა ასეთი გათიშული ქვეყანა. მრისხანების, სასოწარკვეთილების, ძალადობისა და არეულობების ტალღამ შეერთებული შტატების ტერიტორიას გადაუარა და ამ გამოთავისუფლებული ენერგიის ცენტრში პრეზიდენტობის კანდიდატის, რესპუბლიკელი დონალდ ტრამპის მხარდამჭერი პოლიტიკური მიტინგები აღმოჩნდა.**



გააფთრებული ბრბო, რომელმაც 25 მაისს ქვები, ბოთლები და ცეცხლწაკიდებული მაისურები დაუშინა პოლიციელებსა და დონალდ ტრამპის მომხრეებს, ნაციონალური მედიის ყურადღების მიპყრობას ცდილობდა და მიიპყრო კიდეც. ახლა, როცა არჩევნებამდე 5 თვეზე ნაკლები დარჩა, მსგავსი სცენა კვლავ და კვლავ განმეორდება. მილიონობით ამერიკელმა ახალგაზრდამ, რომლებსაც რადიკალური განწყობა დაეუფლა, ნათლად მიანიშნა, რომ ძალადობაზე უარს არ იტყვიან.

**ამერიკა ასეთი გათიშული არასოდეს ყოფილა. ამერიკელი პოლიტიკოსები და მედია წლების განმავლობაში იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ სხვადასხვა ჯგუფს ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ. ყველგან, საითაც უნდა გაიხედოთ, გულქვა ადამიანებს დაინახავთ. ჩვენ გველოდება არჩევნების ყველაზე ქაოსური სეზონი, რომელიც ოდესმე გამოგვიცდია. ქაოსი და ძალადობა კი, რომლებიც გამეფდება მომდევნო 5 თვეში, შოკში ჩააგდებს მსოფლიოს.**

რა აიძულებს ადამიანებს, ძალადობას მიმართონ? **ამერიკაში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, როდესაც იწყება ისეთი ტრადიციული ინსტიტუტების ნგრევა, როგორიც არის ოჯახი და ეკლესია, ადამიანები სწორედ ასე იქცევიან. რა თქმა უნდა, ძალადობა და სამოქალაქო არეულობები, რომლებმაც მთელი ამერიკა მოიცვა, მხოლოდ დონალდ ტრამპის მიტინგებით არ შემოიფარგლება.**

ქვეყნის დიდ ქალაქებში ძალადობრივი დანაშაულის დონე სწრაფად იმატებს. 2016 წლის 4 თვეში ჩიკაგოში ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრილი ადამიანების რაოდენობამ 50-ით მოიმატა 2015 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. **მკვლელობების რაოდენობის მკვეთრად მომატებამ კი ექსპერტები დააფიქრა საკითხზე — ხომ არ დადგა განგაშის ზარების დარისხების დრო?**

თუ ეს ხდება ამჟამად — საფონდო ბაზრის მატებისა და უმუშევრობის შემცირების ფონზე — წარმოიდგინეთ, რა შეიძლება მოხდეს, როდესაც ამ ქვეყანაში ვითარება მართლა გაუარესდება? **სასოწარკვეთილი ადამიანები სასოწარკვეთილ ქმედებებს სჩადიან და, თუ ისინი მზად არიან, ქვები ისროლონ მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოსწონთ პოლიტიკური კანდიდატი, როგორ მოიქცევიან მაშინ, როცა მათ ოჯახებს საჭმელი აღარ ექნებათ?**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მედიასაშუალებებმა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის მრჩევლების ნათქვამზე მითითებით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჰილარი კლინტონი შეცდომად არ თვლის ლიბიაში ჩადენილს, მაგრამ ამბობს, რომ ამ ქვეყანაში „საქმე დასრულებული“ არ არის. რა გაეწყობა, მას, ალბათ, მიეცემა მის მიერვე დაწყებული „საქმის“ დასრულების საშუალება, თუკი ამერიკელები, რომლებსაც ჰილარის ლიბიურ ეპოპეაზე მეტად, მისი და იოკო ონოს ურთიერთობა აინტერესებთ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ მდივანს უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე აირჩევენ.**

# როგორ მიდის საქმე ლიბიაში, ქალბატონო კლინტონ?

**საზოგადოებრივი ვნებათაღელვა ევროპაში „არაბული გაზაფხულის“ ქვეყნებიდან დევნილების მასობრივად შეჭრის გამო ხან მინავლდება, ხან კვლავ იფეთქებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ბერძნებს, იტალიელებს, ავსტრიელებს, გერმანელებსა და სხვებს, რომლებსაც ევროკომისიამ კვოტები დაუწესა მიგრანტებისა და ლტოლვილების მიღებაზე, მოუწევთ, თვალი გაუსწორონ ახალ რეალობას: ევროპა იცვლება და იცვლება ევროპელთა ნების წინააღმდეგ.**








ბოლო თვეებში საზოგადოებამ ყურადღება გადაიტანა ახალ „ბალკანურ მარშრუტზე“, რომელიც იწყება თურქეთში და გრძელდება საბერძნეთში. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ევროპას უფრო მეტი საფრთხე **ლიბიიდან** ემუქრება. ამ გაზაფხულზე საბერძნეთში, ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, 50 ათასმა ლტოლვილმა მოიყარა თავი. ამასთანავე, **ბრიტანულმა ტელეარხმა SKY NEWS-მა 18 მაისს ინტერპოლისა და ევროპოლის მოხსენებაზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ლიბიიდან 800 000(!) მიგრანტი აპირებს ევროპაში გადასვლას.** „სავარაუდოდ, — ამტკიცებს მოხსენების ავტორი, — ევროპაში 2016 წელს მიგრანტების 90%-ს კონტრაბანდისტები გადაიყვანენ... მიგრანტების უკანონო გადაყვანა საერთაშორისო ბიზნესია, რომელშიც ჩართულია 100-ზე მეტი ქვეყანა“.

**ლიბია დღეს** — ეს არის ყველაზე ნათელი და ყველაზე ავისმომასწავებელი მაგალითი „დემოკრატიზაციისა“, რომელიც დაიგეგმა თეთრ სახლში **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის პერიოდში, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა **ჰილარი კლინტონი,** ამჟამად აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან.

**ლიბია დღეს** — ეს არის, ფაქტობრივად, არასახელმწიფოებრივი ტერიტორია, რომელზეც თავმოყრილია, ამერიკელი სამხედროების შეფასებით, „ისლამური სახელმწიფოს“ 6000-მდე „ბოევიკი“ და რომელიც პირობითად არის დაყოფილი დასავლეთ („ხელისუფლებით“ ტრიპოლიში) და აღმოსავლეთ („ხელისუფლებით“ თობრუკში) ნაწილებად. საუბრები ლიბიაში „სანდო“ „ნაციონალური ერთობის“ ხელისუფლების შექმნაზე საუბრებად რჩება. თუმცა დასავლეთმა ხომ იმიტომ დაამხო **მუამარ კადაფი**, რომ ლიბიის სახელმწიფოებრიობისთვის მოეღო ბოლო?

გულახდილობამ, რომლითაც ამ გეგმებს ახორციელებენ, შეიძლება შოკი გამოიწვიოს: ავადსახსენებელმა **ბერნარ ანრი ლევიმ** (ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი და გამომგონებელი, ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი — რედ.), რომელიც პათოლოგიურად მოუწოდებდა დაებომბათ იუგოსლავია, ერაყი, სირია, ლიბია, გაიხსენა თავისი საუბარი ლიბიაში აშშ-ის ელჩ **კრისტოფერ სტივენსთან** (გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს ბენღაზიში 2012 წლის 11 სექტემბერს), როდესაც ფრანგი და ამერიკელი მსჯელობდნენ „დეიტონის შეთანხმების ლიბიურ ვარიანტზე, რომლითაც გათვალისწინებული იყო ლიბიის გაყოფა“.

**ლიბია დღეს** — ეს არის ობიექტი ლტოლვილთა ნავებისა და ხომალდების განადგურების საიდუმლო სამხედრო ოპერაციისა „სოფია“, რომელსაც ევროკავშირის სამხედრო შენაერთები 2015 წლის ივლისიდან ახორციელებენ (ინტერვენციის მთავარი სამხედრო ძალა არის დიდი ბრიტანეთი და იტალია).

2016 წლის 17 თებერვალს „ვიკილიქსმა“ მორიგი სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. ოპერაცია „სოფიას“ პირველი ექვსი თვის შედეგების შესახებ მოხსენება, რომელიც მოამზადა ამ ოპერაციის ხელმძღვანელმა, იტალიის სამხედრო საზღვაო ძალების კონტრადმირალმა **ენრიკო კრედენდინომ.**

**ადმირალის მოხსენებიდან ჩანს, რომ ევროკავშირის სამხედრო ხომალდებმა და თვითმფრინავებმა ნეიტრალურ წყლებში მიგრანტების 67 ნავი გაანადგურეს. ამასთანავე, ადმირალ კრედენდინოს მოხსენება ევროკავშირის ინსტიტუტებს მოუწოდებს, დააჩქარონ ჩამოყალიბების პროცესი ლიბიის ისეთი მთავრობისა, რომელიც „ნდობას იმსახურებს“ და რომელიც ევროკავშირის სამხედრო ქვედანაყოფებს ნებას დართავს, სამხედრო ოპერაციები ჩაატარონ ლიბიის ტერიტორიულ წყლებში, პერსპექტივაში კი — მთელ სანაპირო ზოლზე“.**

**„აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სპეცსამსახურები უკვე აქტიურად მოქმედებენ ლიბიაში. ინტერვენციის მამოძრავებელი ძალა კი არის იტალია და დიდი ბრიტანეთი“,** — აღნიშნავს ადმირალი.

კითხვას „რატომ?“, საერთოდ არავინ სვამს. ოპერაცია „სოფიაში“ მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზების ახსნისას ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა **ბოიკო ბორისოვმა** შენიშნა: „ამ ოპერაციის უკან დგას ნავთობი და საკითხი — ვინ გამოიყენებს ლიბიის ნავთობის საბადოებს“.

იანვარში **ჰილარი კლინტონის** მიმოწერების მორიგი ულუფის გამოქვეყნების შემდეგ ლიბიაში დასავლეთის ინტერვენციის მოტივები ნათლად წარმოჩნდა. მთავარი მოტივი: ოქროსა და ნავთობის დიდი მარაგები, რომლებიც ამ ქვეყანაშია (ასე რომ, ბოიკო ბორისოვს მოულოდნელი და გასაოცარი არაფერი უთქვამს). სწორედ ამ სიმდიდრის გასაყოფად იყო საჭირო ლიბიის დანაწევრება. კიდევ უფრო ადრე კი მკვლელობა მუამარ კადაფისა, რომელიც ამ რთულ ქვეყანას წარმატებით მართავდა 42 წლის განმავლობაში.

კადრებს, რომელზეც ასახულია, როგორ კლავენ „დემოკრატიზატორებთა“ მიერ დაქირავებულები ნაწამებ კადაფის 2011 წლის 20 ოქტომბერს, მსოფლიოს მედიასაშუალებები დიდხანს უჩვენებდნენ მსოფლიოს.

ამ კადრებს „საშინელი, ამაზრზენი სცენარით ანგარიშსწორება“ უწოდა ვლადიმერ პუტინმა. **ჰილარი კლინტონმა კი გაიცინა და აღტყინებით თქვა: „ჩვენ მივედით, ჩვენ ვნახეთ, ის მოკვდა!“**

მედიასაშუალებებმა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის მრჩევლების ნათქვამზე მითითებით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ჰილარი კლინტონი შეცდომად არ თვლის ლიბიაში ჩადენილს, მაგრამ ამბობს, რომ ამ ქვეყანაში „საქმე დასრულებული“ არ არის. რა გაეწყობა, მას, ალბათ, მიეცემა მის მიერვე დაწყებული „საქმის“ დასრულების საშუალება, თუკი ამერიკელები, რომლებსაც ჰილარის ლიბიურ ეპოპეაზე მეტად მისი და **იოკო ონოს** ურთიერთობა აინტერესებთ, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ მდივანს უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე აირჩევენ.

**ფონდსკ.რუ**

**იანვარში, ჰილარი კლინტონის მიმოწერების მორიგი ულუფის გამოქვეყნების შემდეგ, ლიბიაში დასავლეთის ინტერვენციის მოტივები ნათლად წარმოჩნდა. მთავარი მოტივი: ოქროსა და ნავთობის დიდი მარაგები, რომლებიც ამ ქვეყანაშია. სწორედ ამ სიმდიდრის გასაყოფად იყო საჭირო ლიბიის დანაწევრება, კიდევ უფრო ადრე კი მკვლელობა მუამარ კადაფისა, რომელიც ამ რთულ ქვეყანას წარმატებით მართავდა 42 წლის განმავლობაში. კადრებს, რომელზეც ასახულია, როგორ კლავენ „დემოკრატიზატორთა“ მიერ დაქირავებულები ნაწამებ კადაფის 2011 წლის 20 ოქტომბერს, მსოფლიოს მედიასაშუალებები დიდხანს უჩვენებდნენ მსოფლიოს. ამ კადრებს „საშინელი, ამაზრზენი სცენარით ანგარიშსწორება“ უწოდა ვლადიმერ პუტინმა. ჰილარი კლინტონმა კი გაიცინა და აღტყინებით თქვა: „ჩვენ მივედით, ჩვენ ვნახეთ, ის მოკვდა!“**

ობამა ყველანაირად ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ ამომავალი მზის ქვეყანა აშშ-ის ერთგული მოკავშირე და „ჩაუძირავი ავიამზიდია“ რუსეთისა და ჩინეთის სანაპიროებთან, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა საჭიროდ არ ჩათვალა, ბოდიში მოეხადა ამერიკელთა მიერ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ორი ქალაქის — ჰიროსიმასა და ნაგასაკის — ატომური ბომბებით განადგურების გამო.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ობამამ უარი თქვა ჰიროსიმას დაბომბვის გამო ბოდიშის მოხდაზე

**აშშ-ის პრეზიდენტმა მოინახულა ადგილები, რომლებზეც ამერიკული ატომური ბომბის აფეთქებამ 250 ათასზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.**

იაპონიაში „დიდი შვიდეულის“ სამიტის დასრულების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ისტორიაში პირველად ეწვია ჰიროსიმას. ხელი ჩამოართვა კატასტროფას გადარჩენილ ორ მოხუცს, მსოფლიოს მოუწოდა ბირთვული იარაღის გარეშე ცხოვრებისკენ და იაპონიის პრემიერმინისტრ **სინძო აბესთან** ერთად სამგლოვიარო გვირგვინი დადო ტრაგედიის მსხვერპლთა მემორიალზე. ობამა ყველანაირად ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ ამომავალი მზის ქვეყანა აშშ-ის ერთგული მოკავშირე და „ჩაუძირავი ავიამზიდია“ რუსეთისა და ჩინეთის სანაპიროებთან. ამერიკის პრეზიდენტმა საჭიროდ არ ჩათვალა, ბოდიში მოეხადა ამერიკელთა მიერ 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ორი ქალაქის — ჰიროსიმასა და ნაგასაკის — ატომური ბომბებით განადგურების გამო. **დასავლელი „მეგობრების“ პოზიცია გასაგებია: წარსული მხოლოდ რუსეთმა უნდა მოინანიოს, ხოლო 71 წლის წინათ იაპონიის თავზე ურანის გახლეჩა ნორმალური და დემოკრატიული საქციელია.**



ალექსის ციპრასი:

# რუსეთთან კავშირების განმტკიცება საბერძნეთის სტრატეგიული არჩევანია

**„მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ რუსეთთან კავშირების განმტკიცება ჩვენი სტრატეგიული არჩევანია, იმიტომ, რომ ჩვენს ურთიერთობას ისტორიულად მჭიდრო რელიგიური და სულიერი ფესვები აქვს; იმიტომ, რომ ეს არის შესაძლებლობა, მომავალში გავაძლიეროთ ეკონომიკური პარტნიორობა, აგრეთვე, ხელი შევუწყოთ რეგიონში მშვიდობის განმტკიცებასა და სტაბილურობას“, — განაცხადა საბერძნეთის პრემიერმინისტრმა ალექსის ციპრასმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას.**

„თქვენ ჩვენს ქვეყანაში ჩამოხვედით იმ მომენტში, როდესაც ისტორიის ახალ გვერდს ვფურცლავთ, სრულდება საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, და ახლა მომავალს დიდი ოპტიმიზმით ვუმზერთ. მალე მოხდება საწარმოების რეორგანიზაცია, დაიწყება ეკონომიკის ზრდა, მიგვაჩნია, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყნებს შორის კავშირის განსამტკიცებლად, ისინი ამიერიდან უფრო სტაბილურად და პერსპექტიულ ვითარებაში განვითარდება. ის ძმური, მეგობრული განცდა, რომელიც აქვს ბერძენ ხალხს რუსი ხალხის მიმართ, უფლებას გვაძლევს, გავაუმჯობესოთ და განვამტკიცოთ ურთიერთობები.“, — თქვა ციპრასმა.

თავის მხრივ, ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთსა და საბერძნეთს აქვს პერსპექტივა ორმხრივი ეკონომიკური კავშირების გასავითარებლად და ამას ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის ხალხების კეთილი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ.

საბერძნეთი და რუსეთი ენერგეტიკის, მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურების განვითარების მიმართულებით ითანამშრომლებენ.




# «დიდი შვიდეული» რუსეთს ახალი სანქციებით ემუქრება

**იაპონიაში დასრულდა G7-ის („დიდი შვიდეულის“) სამიტი, რომლის შედეგების მიხედვით ქვეყნების ლიდერებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას.**

დეკლარაციის ტექსტის შინაარსი მოსალოდნელი იყო: დემოკრატიისა და თავისუფლების მხარდაჭერა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ტერორიზმთან და სახიფათო ვირუსებთან ბრძოლა... დოკუმენტში მოხსენიებულია რუსეთიც. „სანქციები შენარჩუნდება მოსკოვის მიერ მინსკის შეთანხმების შესრულებამდე. თუმცა ჩვენ, აგრეთვე, მზად ვართ შემოვიღოთ ახალი სანქციები, რათა რუსეთს გაეზარდოს ხარჯები, თუკი მისი მოქმედება ამას მოითხოვს“, — ნათქვამია დეკლარაციაში.

პასუხად **კრემლმა კვლავ შეახსენა დასავლელ პარტნიორებს, რომ რუსეთი არ არის მხარე უკრაინის კონფლიქტში, ხოლო მინსკის შეთანხმების პირობების შესრულება მხოლოდ კიევს ხელეწიფება.**

„არა მგონია, რომ სანქციებმა პოზიტიური ეფექტი იქონიოს გლობალურ ეკონომიკასა და, საერთოდ, მსოფლიოში საქმის ვითარებაზე“, — განაცხადა რფ-ის პრეზიდენტის პრესმდივანმა დიმიტრი პესკოვმა.

აქ აღსანიშნავია ერთი რამ: **როგორ უნდა განახორციელონ G7-ის ლიდერებმა თავიანთი მუქარა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრიქსის (ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, სამხრეთი აფრიკა) ქვეყნების წილი მსოფლიოს ეკონომიკაში 31%-ია, ხოლო ამ გაერთიანებაში მცხოვრებთა რაოდენობა მსოფლიოს მოსახლეობის 42%-ს შეადგენს.**

# «თურქეთი ევროკავშირში 3000 წლამდე ვერ შევა»

**თურქეთი თანამეგობრობასთან შეერთების შესახებ მოლაპარაკებების ასეთი ტემპის შენარჩუნებით 3000 წლამდე ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, რომელშიც 28 ქვეყანაა გაერთიანებული, — განაცხადა თურქეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა.**



„გეგმასთან ახლოსაც არ არის შესაძლებლობა, რომ თურქეთმა უახლოეს ხანში ევროკავშირის წევრობა მოიპოვოს. მათ განაცხადი 1987 წელს შემოიტანეს. და პროგრესის ამჟამინდელი სიჩქარის შენარჩუნების შემთხვევაში ევროკავშირის წევრობას დაახლოებით 3000 წლისთვის შეძლებენ“, — განაცხადა დევიდ კემერონმა Sky News-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

# პოროშენკომ თავის მრჩევლად ნატოს ყოფილი გენმდივანი დანიშნა




**უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ თავის უშტატო მრჩევლად ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი ანდერს ფონ რასმუსენი დანიშნა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენმდივნად დანიშვნამდე რასმუსენი დანიის მთავრობას ხელმძღვანელობდა.**

„ანდერს ფონ რასმუსენი დაინიშნოს უკრაინის პრეზიდენტის უშტატო მრჩევლად (თანხმობის შემთხვევაში)“, — ნათქვამია პეტრე პოროშენკოს მიერ 27 მაისს გამოცემულ ბრძანებაში. მანამდე უკრაინის პრეზიდენტმა მრჩევლის თანამდებობიდან გაათავისუფლა **იური ბირიუკოვი.**

ანდერს ფონ რასმუსენს ნატოს გენერალური მდივნის პოსტი 2009-2014 წლებში ეკავა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თეთნულდის ურანი უნიკალურია იმით, რომ თითქმის არ სჭირდება გამდიდრება. ექსპერტთა დასკვნით, საკმარისია ურანის მაღაროს გახსნა, რომ დაახლოებით 55 კმ-ის რადიუსში მოისპობა ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ხოლო 150 კმ-ის რადიუსში შეუძლებელი იქნება არსებობა სპეციალური ანტირადიაციული სამოსის გარეშე.**

# საქართველო კატასტროფის გზაზე

**ცარიელდება და მიწასთან სწორდება ქართული სოფლები, რომლებშიც ორი-სამი მოხუციღაა დარჩენილი უპატრონოდ, უგზოდ, უშუქოდ, უექიმოდ და უიმედოდ. მოიმატა სხვადასხვა დაავადებათა რაოდენობამ და, შესაბამისად — მოკვდავობამ. მძიმე სოციალური პირობების გამო ქართველები გარბიან უცხოეთში. ირღვევა ტრადიციული ქართული ოჯახის მთლიანობა. ქართველთა ადგილ-მამულებზე ხელისუფლებას შემოყავს უცხოტომელები, რომლებიც მრავლდებიან და ისაკუთრებენ ჩვენს მიწა-წყალს.**

ხელისუფლება შეგნებულად არ ზრუნავს ქართველ ერზე, არადა, მისი ვალდებულება ხომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საყოფაცხოვრებო პირობების ყოველდღიური გაუმჯობესება და სამართლიანობის დამკვიდრებაა? მაგრამ რომელ სამართლიანობაზეა საუბარი, როდესაც მშიერი ხალხი ნაგვის ურნებში ეძებს საკვებსა და ჩასაცმელს, ხოლო კუჭით მოაზროვნე ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველთვიურად 5-6-7 ათასლარიან ხელფასებს იღებენ და დამატებით ათეულათასიან პრემიებს იწერენ? თუმცა ეკუთვნით — მათ ხომ პარლამენტის სხდომაზე ბუსუსებიანი პრეზერვატივების საკითხი განიხილეს...

პენსია ეგრეთ წოდებულ საარსებო, უფრო ზუსტად, სასიკვდილო მინიმუმზეა გათვალისწინებული, რომელიც რამდენიმე დღეს თუ ჰყოფნის ადამიანს. თუ ფული საკვებში დახარჯა, წამლებს ვერ იყიდის, საუბარი აღარ არის კომუნალურ გადასახადებზე, ჩაცმა-დახურვაზე და ა. შ. მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო ახალგაზრდებს უჭირთ ოჯახის შექმნა. ქართული გენოფონდი უცხოეთში გარბის, მონური შრომით თავი და ოჯახი რომ გადაარჩინოს.

სვანეთში, ამ უნიკალური ძეგლების მხარეში, მალე ერთი ციხე-დარბაზიც აღარ დარჩება. ხელისუფლებას სურს, რომ იქ არსებულ ტაძრებს, წინაპართა საფლავებსა და სოფლებს ბოლო მოუღოს. იჩეხება ათასწლოვანი ტყეები, ხოლო გიგანტური ჰიდროჰესების მშენებლობა (ხუდონჰესი, ნენსკრაჰესი და სხვ.) სვანეთს სრულ დაღუპვას უქადის. ხუდონჰესის მშენებლობაზე პროტესტის საპასუხოდ **კალაძემ** უტიფარი და შეურაცხმყოფელი პასუხი გაგვცა (არამხოლოდ სვანებს), — გინდ ხატზე დაიფიცეთ, გინდ — ყურანზე, ხუდონჰესს მაინც ავაშენებთო... ამ თავხედური და შეურაცხმყოფელი განცხადების გამო მან პასუხი უნდა აგოს. მისთვის სულერთი ყოფილა ხატი და ყურანი, რაც არა მხოლოდ ჩვენი სარწმუნოების დამცირებაა, არამედ მუსლიმების მიმართაც გასროლილი შეურაცხყოფა. კალაძე კადრია ბიძინა ივანიშვილისა, რომელმაც, თავის მხრივ, 2012 წელს, თავისი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ხაიშში ხალხს დაჰპირდა, თუ ხმას „ქართულ ოცნებას“ მისცემთ, ეს ჰესები არ აშენდებაო, მაგრამ წინა მთავრობისგან გაწამებული საზოგადოება კვლავ მოატყუეს.

არ ითვალისწინებენ რა ენერგიის ალტერნატიული რესურსების განვითარების შესაძლებლობას (რაზეც გადასულია განვითარებული მსოფლიო), ხელისუფლება ენერგოდამოუკიდებლობის მოტივით ცდილობს ისეთი პროექტების განხორციელებას, რომლებიც სვანეთისთვის და, საზოგადოდ, საქართველოსთვის, მიზანშეუწონელია ეკონომიკური, იურიდიული, ეკოლოგიური, სამხედრო-სტრატეგიული და კიდევ არაერთი მიმართულებით. ეს გამოიწვევს ბუნების განადგურებას, წინაპართა მიწა-წყლიდან მოსახლეობის აყრას, ტრადიციების მოშლას, უდიდესი სულიერი მემკვიდრეობის ნგრევას და, აქედან გამომდინარე, მძიმე შედეგებს. აღნიშნული პროექტები, უპირველესად, სოციალური და კულტურული მნიშვნელობითაა მიუღებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამინდელი კანონმდებლობით სახელმწიფო პროექტები განთავისუფლებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურებისგან, ისევე, როგორც წიაღისეულის მოპოვებისა და ტყით სარგებლობის პროექტები. საყურადღებოა, რომ წიაღისეულის მოპოვებისა და ტყით სარგებლობის ლიცენზიები აუქციონზე გარემოზე ზემოქმედებისა და სოციალური ზეგავლენების წინასწარი შეფასების გარეშე იყიდება.

დარიალის ხეობაში, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, 2 კასკადური ჰესის მშენებლობა ზემოთქმულის ილუსტრაციაა. მიუხედავად იმისა, რომ 2011-2012 წლებში მთავრობამ ხსენებული დარღვევის (მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე დაიწყო) თაობაზე მრავალი შეტყობინება მიიღო, გარემოზე ზემოქმედების შეფასება და მშენებლობის ნებართვა უპრობლემოდ გაიცა, თუმცა პროექტი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა, რაც კანონის დარღვევაა. მოგვიანებით **საქართველოს პარლამენტმა ცვლილება შეიტანა „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ კანონში, რომლის შედეგადაც ეს ტერიტორია ამოღებულ იქნა დაცული ტერიტორიების სისტემიდან. დარიალის ხეობაში ამ ორი ურჩხულის მშენებლობის შედეგებს უკვე ვიმკით...**



**რატომ არ ამხელს საქართველოს პატრიარქი ილია II და რატომ აშკარად არ უპირისპირდება ამ ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული პოლიტიკის მესვეურებს? ნახევარი სიმართლე სიმართლე არ არის და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. სწორედ ამ ლოიალურობის, პოლიტიკური კონიუნქტურისა და შიშის გამო იწირება დღეს საქართველო. დღეს ქართველ კაცს სიმართლე ცოდვად უქციეს. ქრისტიანული სიყვარულით განმსჭვალული მამხილებელი სიტყვა კი ავ საქმედ არის შერაცხილი**

უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი მზაკვრული გეგმის შესახებ, რომელიც სვანეთში ურანის მოპოვებას ეხება და რომელიც, როგორც შირმას, ისეა ამოფარებული თეთნულდის სათხილამურო ტრასის მშენებლობის პროექტს. ეს პანდორას ყუთი მხოლოდ სიკვდილის მომტანია. **თეთნულდის ურანი მსოფლიოში უნიკალურია იმით, რომ თითქმის არ სჭირდება გამდიდრება. ექსპერტთა დასკვნით, საკმარისია ურანის მაღაროს გახსნა, რომ დაახლოებით 55 კმ-ის რადიუსში მოისპობა ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ხოლო 150 კმ-ის რადიუსში შეუძლებელი იქნება არსებობა სპეციალური ანტირადიაციული სამოსის გარეშე.**

ამ ყველაფრით ილუპება ქართველთა ცივილიზაციის ძეგლები, მაშასადამე ილუპება ქართული სული, ქრება წინაპართა მიერ საუკუნეების განმავლობაში დიდი რუდუნებით შექმნილი კულტურა და ეს თავისთავად შეცვლის მომავალი თაობების ეროვნულ ცნობიერებას, მით უმეტეს, საბუთებში ეროვნება აღარ იწერება. ახლო მომავალში კი ახალგაზრდობას აღარ ეცოდინება, რა ეროვნების იყვნენ და რა ერქვა მათ წინაპრებს, ანუ გაქრება ქართველი ერი.

ახლა კი შევეხოთ ჯანდაცვის (უფრო სწორად — ჯანდანგრევის) სფეროს. რატომ იმატა ტუბერკულოზმა და სიმსივნურმა დაავადებებმა? იცის თუ არა სამინისტრომ თავისი მოვალეობა? დაავადებებმა რომ იმატა, მეტყველებს სააფთიაქო ქსელის ზრდა, მოკვდავობის მატება და (ქართველთა) შობადობის კლება. რა არის ამის მიზეზი? რა ღონისძიებები ტარდება მოკვდავობის შესამცირებლად და შობადობის წასახალისებლად? დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში ყოველ მეორე ქართველ მშობიარეს საკეისრო უკეთდება, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში 100-დან მხოლოდ 15 ქალს უკეთდება საკეისრო. ხაზი უნდა გაესვას ყველაზე დიდ ვანდალობას — აბორტს, მით უმეტეს, კრიმინალურ აბორტებს, რომელთაც აკეთებენ ფარულად. ეს უნდა ისჯებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით. **ერთ ქართველ მშობიარეზე შვიდი აზერბაიჯანელი მშობიარე მოდის. ყოველივე ამის გამო, გაეროს ჯანდაცვის ორგანიზაციის დასკვნით, 2050 წლისთვის ქართველები ჩვენს სამშობლოში უმცირესობა ვიქნებით.**

დღევანდელი პარლამენტი ვერ დაიკვეხნის პატრიოტიზმით. მან აბსოლუტური უმრავლესობით მიიღო ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც, თავის მხრივ, ანტიმართლმადიდებლური და სოდომ-გომორელთა დამცავი კანონია. ამით კიდევ ერთხელ მოაწონეს თავი დასავლეთსა თუ ჩრდილოეთში მოკალათებულ მათ პატრონებს. **ამ კანონით ხელს უწყობენ დალესი-სუსლოვის პროგრამის განხორციელებას, უზნეობის დანერგვასა და ერის განადგურებას. დღევანდელი ხელისუფლება მიესალმება ყოველივე ანტიეროვნულს და ანტიმართლმადიდებლურს.**

გასული საუკუნის დასაწყისში თურქეთიდან გამოძევებული სომხები სამშობლომ არ მიიღო, ჩვენ კი შევიფარეთ და დავასახლეთ საკუთარ მიწაზე. მათ მადლობა იმით გადაგვიხადეს, რომ აფხაზეთის ომის დროს ჩვენივე მიწაზე შექმნეს ბაგრამიანის სახელობის სამხედრო შენაერთი, რომლის წევრებიც ქართველებს ხოცავდენ და მათი თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ. ამ და კიდევ სხვა უამრავ შემთხვევაზე სომხეთის მთავრობას, ანდა სომეხ ინტელიგენციას თუ, საზოგადოდ, სომეხ საზოგადოებას, არათუ პროტესტი არ გამოუთქვამს და ეს საზარელი ფაქტი არ დაუგმია, არც დღეს ისვენებს, — ჯავახეთის გამოყოფით გვემუქრებიან (აშკარა სეპარატიზმი, რომელსაც საქართველოს მთავრობა არ უპირისპირდება), 650 ქართულ ტაძარს სომხურად ასაღებენ, აგრეთვე, ქართული კულტურის მნიშვნელოვან ცომპონენტს, როგორიცაა ფოლკლორი (სიმღერა და ცეკვა), კერძები და სხვ. რაც უპასუხოდ რჩება (ნეტა, რატომ?). ეს ბევრ რამეზე მეტყველებს. უამრავი მაგალითია ქართველი ერის წინაშე მათ მიერ საუკუნეთა განმავლობაში ჩადენილი მტრობისა...

ხელისუფლებას აღარ სურს, ქართულად ესაუბროს ხალხს. უცხო ტერმინოლოგიის რახარუხით ტრაბახობს. იწუნებენ სვანურ, ზანურ და ჭანურ ენებზე აღმოცენებულ დედა ენას, დიად ქართულ ენას. ქართველი ერი შეურაცხყოფილია. მას აღარ აქვს ხელისუფლების იმედი. დაპირებები კი დაპირებებად დარჩა. შუბლის ძარღვი არ აქვთ ამდენი სიცრუის მთქმელთ... აი საით მივყავართ ანტიმართლმადიდებელი კონფესიებისა და სოდომ-გომერელთა დამცველ ანტიეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც არსით არ განსხვავდება თავისი წინამორბედი ორი ხელისუფლებისგან. ეს მთავრობები, პროფილური განსხვავებების მიუხედავად, სისტემურად ერთ ძალას და ერთ რეჟიმს წარმოადგენენ.

მე, როგორც საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წევრს, მიჩნდება შეკითხვა: რატომ არ ამხელს საქართველოს პატრიარქი ილია II და რატომ აშკარად არ უპირისპირდება ამ ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული პოლიტიკის მესვეურებს? ნახევარი სიმართლე სიმართლე არ არის და ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. სწორედ ამ ლოიალურობის, პოლიტიკური კონიუნქტურისა და შიშის გამო იწირება დღეს საქართველო. დღეს ქართველ კაცს სიმართლე ცოდვად უქციეს. ქრისტიანული სიყვარულით განმსჭვალული მამხილებელი სიტყვა კი ავ საქმედ არის შერაცხილი. ნუ ვიქნებით კატეგორიულებიო, — გაიძახიან. ქრისტიანობა და ქართველობა ჩვენთვის ცხოვრების უმთავრესი კატეგორიაა, რომლისთვისაც ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ. ხოლო ცოდვის არმხილებამ და უთქმელობამ, ცრუმიმტევებლობამ არაერთხელ დაანგრია საქართველოს ერთიანობა. მაგალითად, როდესაც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი სპორტის სასახლეში ლოცავდა და აკურთხებდა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამამხობელ სამხედრო საბჭოს ულმერთო ლიდერებს — **შევარდნაძეს, სიგუას, კიტოვანსა** და **იოსელიანს.**

უფალი ბრძანებს: **„ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან ერთად, რადგან რა საერთო აქვს სიმართლეს ურჯულოებასთან? რა საერთო აქვს ნათელს ბნელთან?“** (II კორინთელთა (6, 14).

ქართველი ერი ჯერ კიდევ ითმენს გაუთავებელ სიცრუეს, შეურაცხყოფასა და გენოციდს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული.

**ჟორნესტ (დავით) ჟორჟოლიანი**

**ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა უარი თქვეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შესრულებაზე და დაიწყეს ასეთი სახეობის იარაღის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რუსეთს პრევენციული ზომებისკენ — შემაკავებელი ბირთვული ძალების განახლებისა და ისეთი იარაღის შექმნისკენ უბიძგებს, რომელსაც შეეძლება მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გარღვევა.**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური «უჩინარი» მატარებლები

## რუსული «ატომური მატარებლები» ამერიკელთა «გლობალური ელვისებური დარტყმის» წინააღმდეგ

**რუსეთში პერსპექტიული სამხედრო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექს (სსსკ-ის) „ბარგუზინის“ ზოგიერთ დეტალის დამუშავება დაიწყო. რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის თანამშრომელთა განცხადებით, ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა „ატომური მატარებელი“ საექსპლოატაციოდ 2018 წელს უნდა მიიღოს. მანამდე, 2014 წელს, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების სარდალმა სერგეი კარავაევმა განაცხადა, რომ „ბარგუზინის“ დაპროექტება უკვე დასრულებულია.**
**რას წარმოადგენს სსსკ, რა არის ცნობილი „ბარგუზინის“ შესახებ და რა გავლენას იქონიებს ის მსოფლიოს სტრატეგიულ ბალანსზე? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემას წინამდებარე მასალაში შევეცდებით.**





### „სარაკეტო მატარებლის“ ამოცანა – ყოველთვის „უხილავი“ მოწინააღმდეგისთვის

საკონტინენტაშორისო ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი მატარებლის შექმნის იდეა გასული საუკუნის 60-იან წლებში გაჩნდა. განსხვავებით საშახტო ბაზირების საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისგან, რომელთა კოორდინატების დადგენა არც ისე რთულია (მით უმეტეს დღეს, როდესაც კოსმოსში უამრავი ჯაშუში თანამგზავრია გაშვებული), აგრეთვე, ატომური წყალქვეშა ნავებისგან, რომელთა მიკვლევაც თანამედროვე რადიოელექტრონული საშუალებებით შეიძლება, აღმოჩენა ჩვეულებრივი სარკინიგზო ეშელონისგან არაფრით განსხვავებული სარკინიგზო შემადგენლობისა, რომელიც მომაკვდინებელი ტვირთით გადაადგილდება, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

სამხედრო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსზე საპროექტო სამუშაოები აშშ-იც მიმდინარეობდა და სსრკ-შიც, მაგრამ ამერიკელებმა ის ბოლომდე ვერ მიიყვანეს. სსრკ-ში კი შეიქმნა და შეიარაღებულ ძალებს გადაეცა კომპლექსი РТ-23 УТТХ „მოლოდეცი“. ერთ სარკინიგზო შემადგენლობაში შედიოდა სამი გამშვები მოწყობილობა თითოეულში ერთი მყარსაწვავიანი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტით. ამ 10 ბირთვული ქობინის მქონე რაკეტის საერთო **წონა** გამშვებ კონტეინერთან ერთად 126 ტონას აღწევდა (ვაგონთან ერთად — 150 ტ-ს), რაც მოითხოვდა სარკინიგზო შემადგენლობისთვის **სამი თბომავლის** ჩაბმას — ეს იყო კომპლექსის მთავარი „სუსტი ადგილი“, რომლის გამოყენებაც შეეძლო ამერიკულ კოსმოსურ თანამგზავრებს. კომპლექსის კიდევ ერთი ნაწილი იყო სარკინიგზო მაგისტრალზე **დიდი დატვირთვა**, რის გამოც ლიანდაგების უზარმაზარი ნაწილი „ბირთვული მატარებლების“ მოძრაობის გათვლით გადააკეთეს. ყველაფრის მიუხედავად, 12 „მოლოდეცი“, რომლებიც ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში კურსირებდნენ, მნიშვნელოვანი ძალა იყო — ისინი 36 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტას და 360 ბირთვულ ქობინს ატარებდნენ.

სარკინიგზო შემადგენლობას დღეში 1000 კმ-ით გავლა შეუძლია, ამიტომ ჩვეულებრივი სამოქალაქო მატარებლივით შენიღბული სამხედრო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსის აღმოჩენა ძალიან რთული იყო.

სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შესახებ რუსეთსა და აშშ-ს შორის 1993 წლის ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა ზემოაღნიშნული „ბირთვული მატარებლები“ შეიარაღებიდან მოხსნა და გაანადგურა (2003 წ.).



### „ბარგუზინი“ – უფრო მსუბუქი და შეუმჩნეველი, ვიდრე „მოლოდეცი“

რუსული სამხედრო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსის აღდგენაზე პირველად 2009 წელს დაიწყეს საუბარი. 2013 წელს კი თავდაცვის მინისტრის მოადგილე **იური ბორისოვმა** განაცხადა, რომ ახალ სარკინიგზო სარაკეტო პროექტზე მუშაობას შეუდგებოდა მოსკოვის თბოტექნიკის ინსტიტუტი (სწორედ ამ ინსტიტუტში მოღვაწეობდა სახელგანთქმული ქართველი კონსტრუქტორი ალექსანდრე ნადირაძე, რომელმაც შექმნა მოძრავი სარაკეტო კომპლექსები: „ტემპი“, „პიონერი“, „ტოპოლი“, „სკოროსტი“ — ნ. კ.).

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ახალი „ატომური მატარებლის“ შემადგენლობაში იქნება 6 ვაგონი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით — РС-24 „იარსით“. ეს ვაგონები ვიზუალურად არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი რეფრიჟერატორული ვაგონებისგან. ახალი „ატომური მატარებლის“ უპირატესობა იქნება საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „იარსის“ მცირე წონა რაკეტა РТ-23 УТТХ-თან შედარებით — „იარსის“ წონა 5 ტონაა, მისი წინამორბედის — 126 ტ., ვაგონისა და რაკეტის წონა არ აღემატება 70-80 ტონას, რაც 2-ჯერ ნაკლებია „მოლოდეცის“ ვაგონისა და რაკეტის საერთო წონაზე. ეს კი საშუალებას იძლევა, გადაიჭრას მთავარი ფინანსური პრობლემა — სარკინიგზო მაგისტრალებს აღარ დასჭირდება არც გადაკეთება და არც ხშირად შეკეთება. რაც მთავარია, შემადგენლობას წაიყვანს მხოლოდ ერთი თბომავალი, რომლის შემჩნევაც კოსმოსიდან პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.

„იარსს“, РТ-23 УТТХ-სთან შედარებით, ნაკლები ქობინი აქვს (4 — 10-ის წინააღმდეგ), მაგრამ ახალი ქობინების სიზუსტე გაცილებით მაღალია. ამასთანავე, სარკინიგზო შემადგენლობაზე მოთავსდება 6 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა 24 ქობინით („მოლოდეცზე“ განლაგებული იყო 3 ბალისტიკური რაკეტა 30 ქობინით), რაც მაინცდამაინც დიდ სხვაობას არ იძლევა.

ამერიკელთა მიერ გლობალური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ქსელის გაფართოება რუსეთს აიძულებს, აქცენტი გააკეთოს შემაკავებელი ბირთვული ძალების გაძლიერებაზე. **ამ მომენტისათვის რუმინეთსა და პოლონეთში განლაგებული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები საფრთხეს არ წარმოადგენს რუსეთის ბირთვული ძალებისთვის, ამის თქმა შეიძლება აშშ-ის ტერიტორიაზე განლაგებულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებზეც CBMD (GROUND — BASED MIDCOURSE DEFENCE). მაგრამ ის ფაქტი, რომ ამერიკელებმა უარი თქვეს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შესრულებაზე და დაიწყეს ასეთი სახეობის იარაღის გაუმჯობესებაზე მუშაობა, რუსეთს უბიძგებს პრევენციული ზომებისკენ — შემაკავებელი ბირთვული ძალების განახლებისა და ისეთი იარაღის შექმნისკენ, რომელსაც შეეძლება მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების გარღვევა.**

დესტაბილიზაციის გამომწვევი კიდევ ერთი ფაქტორია **„გლობალური მყისიერი დარტყმის“** ამერიკული კონცეფცია, რომელიც მოწინააღმდეგის განადგურებას არაბირთვული იარაღით ითვალისწინებს — პირველ რიგში, ფრთოსანი რაკეტით, შემდეგ — ჰიპერბგერითი იარაღით.

**სწორედ ამ კონცეფციის წინააღმდეგ შეუძლია წარმატებით ბრძოლა სამხედრო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსებს — ისინი განუწყვეტლივ მოძრაობენ და რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე მათი პოვნა, პრაქტიკულად, შეუძლებელია (თუ გამოირიცხება მოსყიდვა და ჯაშუშობა), შესაბამისად, თუ მოწინააღმდეგე ყველა ატომურ წყალქვეშა ნავს, საშახტო და მიწისზედა ბაზირების რაკეტას გაანადგურებს, ის მაინც მიიღებს მძლავრ საპასუხო დარტყმას.**

## «ლეგენდარული იარაღი»

# პისტოლეტი «ბერეტა 92» (იტალია)

პისტოლეტ „Beretta 92“-ის შექმნაზე მუშაობა 1972 წელს დაიწყეს იტალიური კომპანია „ბერეტას“ კონსტრუქტორებმა კარლო ბერეტამ, **ჯუზეპე მაზეტიმ და ვიტორიო ვალემ. ეს პისტოლეტი, რომელსაც ბევრი ქვეყნის არმიის, პოლიციისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლები იყენებენ,** ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოში.



**ტექნიკური მახასიათებლები:**
- მასა — 0,950 კგ
- სიგრძე — 217 მმ
- ლულის სიგრძე — 125 მმ
- სიგანე — 38 მმ
- ვაზნები — 9X19 მმ
- საბრძოლო კომპლექტი — ორრიგიანი მჭიდი — 15 ვაზნით.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მტვერსასრუტი, რომელიც კრიზისის ორგანიზატორებმა ჩართეს, მსოფლიო ეკონომიკიდან ყოველდღიურად ისრუტავს სულ უფრო მეტ სახსარს. ასე შეიწოვა ფედრეზერვმა დოლარები რუსეთიდან, მექსიკიდან, ბოლივიიდან, ისლანდიიდან, უკრაინიდან. მტვერსასრუტით შეწოვილი ფულის არც ეროვნება, არც წარმომავლობა არავის აინტერესებს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-19 (330-348)

ნიკოლაი სტარიკოვი

# კრიზისი: როგორ კეთდება?

**ნიკოლაი სტარიკოვის წიგნის ადაპტირებული თარგმანის დღევანდელ მონაკვეთში კრიზისის მოგვარების შესაძლო გზებსა და საშუალებებზე ვილაპარაკებთ.**
**კრიზისის პრობლემის გადაჭრა, — წერს ავტორი, — არც ისე რთულია, როგორიც შეიძლება მოგეჩვენოთ. თავად განსაჯეთ.**

**უწინარეს ყოვლისა, რას მიიჩნევენ ამჟამინდელი კრიზისის არსად?**

მსოფლიო ეკონომიკაში ფულის არქონას.

როგორ დაიწყო ეს ნეგატივიზმი?

ფსს-ისა და მისი თანაშემწეების შეგნებული მოქმედების შედეგად ბევრ კომპანიას, რომლებიც საფონდო და საფინანსო ბაზარზე ოპერირებდა, პრობლემები შეექმნა. მათი კაპიტალიზაცია, ანუ მათი აქციების ერთობლივი ღირებულება მკვეთრად დაეცა. ასეთ ვითარებაში კომპანიებმა დაიწყეს საზღვარგარეთ არსებული ყველა აქტივის გაყიდვა საკუთარი საგადამხდელო ბალანსების გასაუმჯობესებლად. ბრაზილიაში, უკრაინაში ან რუსეთში აქციების გაყიდვისას ყველა ინვესტორი დოლარზე დამოკიდებული ხდებოდა, რადგან ამერიკული ანგარიშგება მაინცდამაინც დოლარებით წარმოებს. დაიწყო დოლარის კურსის გაძვირება, რაც მასზე მოთხოვნის მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია. პირველ ტალღას, რომელმაც ფული „წალეკა", მეორე და მესამე მოჰყვა. ადამიანები — გინდ ბროკერები, გინდ კლერკები, ძალზე დამოკიდებული არსებები არიან. მაგალითად, 2008 წლის ზაფხულში დოლარს 24 რუბლად არავინ ყიდულობდა. ეძვირებოდათ. დადგა შემოდგომა, შემდეგ — ზამთარი და ყველამ დაიწყო „ბაქსების" 30-ად, შემდეგ 32-ად, ბოლოს 35 დოლარად შესყიდვა.

**ცნობისთვის: დოლარის კურსი რუბლის მიმართ, წლევანდელი 27 მაისის მონაცემებით, იყო ერთი დოლარი — 65,2062 რუბლი.**

რატომ არ ყიდულობდნენ დოლარს, როცა იაფი იყო და გაძვირების შემდეგ დაიწყეს მისი შეძენა მასობრივად? სადაა ლოგიკა?

ლოგიკა მარტივია — ადამიანი ყოველთვის ყიდულობს იმას, რასაც გაძვირების პირი უჩანს, და არ ყიდულობს იმას, რაც პერსპექტივაში გაიაფდება. აჩვენეთ მას მოძრაობის მიმართულება, დაარწმუნეთ მაგალითით და ყველაფერს ისე გააკეთებს, როგორც თქვენ გაძლევთ ხელს — დაელოდება დოლარის 30 პროცენტით გაზრდას და გაიქცევა შესაძენად ისე, რომ არც დაფიქრდება ამგვარი ქმედების აბსურდულობაზე. ფინანსისტები ზუსტად ასე მოქმედებენ. **როცა მსოფლიო ბაზარზე დოლარის გაძვირების ტენდენცია თვალშისაცემი გახდა, ყველამ დაიწყო მისი შესყიდვა. მანამდე მშვიდი ინვესტორების მასამ გასაყიდად გაიტანა ის, რაც იაფდებოდა (ნავთობი, აქციები, ლითონი) და გაძვირებული დოლარის შესყიდვას შეუდგა. შედეგად ნავთობი კიდევ უფრო გაიაფდა, დოლარმა კი განაგრძო გაძვირება.**

თავისი ყველა აქტივი რომ გაყიდა და ამონაგები თანხა დოლარებში გადაიყვანა, ინვესტორი დაფიქრდა თავის სამომავლო გეგმაზე, რა უნდა გაეკეთებინა ხვალ და ზეგ? დოლარი ხომ საბოლოო მიზანი არ არის, მხოლოდ საშუალებაა მიზნის მისაღწევად. მუთაქაში ჩადებულ „მწვანეებს" საკმეველიც რომ უკმიო, ფულის ოდენობა არ გაიზრდება. ფული დაბანდებასა და გამრავლებას მოითხოვს.

ასეთია მისი ბუნება.

მაგრამ სად უნდა დააბანდო, როცა მსოფლიოში იაფდება ნედლეული, უძრავი ქონება და არასტაბილურობაა ყველგან?

ფული უნდა ჩაიდოს რაღაც ზესანდო და ზემოგების მომტან საქმეში. ოქრო? კი, ბატონო, რადგან არასტაბილურობის პერიოდში მოთხოვნა მასზე მატულობს. მაგრამ არის მსოფლიოში რაღაც უფრო უკეთესი — ჩვენთვის უკვე ნაცნობი აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციები — **ტრეჟერისები.** ყველა ინვესტორი მათ შესყიდვას იწყებს. რატომ ტრეჟერისების და არა ოქროს? ფედერალური სარეზერვო სისტემა ამაოდ ხომ არ განაცალკევებდა დოლარს ოქროსგან! შედეგად დღევანდელ ეკონომიკაში ფულის ჩადება ოქროში მაინცდამაინც სანდო არ არის ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სულაც არ არის სანდო. მისი ფასი ისე ხტუნავს, როგორც ძაღლებისგან დამფრთხალი კურდღელი ტრიალ მინდორში. გადაიხდი და არავითარი გარანტია არ გაქვს, რომ მოგებული დარჩები.

პირიქითაც შეიძლება მოხდეს.

**ბაზარზე ვინ ვაჭრობს ტრეჟერისებით?**

ფედერალური სარეზერვო სისტემა. იგი შექმნილია აშშ-ის ფინანსური მონსტრის მოსაწესრიგებლად. ფსს-ს საამისოდ ორი მექანიზმი აქვს: „დისკონტის ფანჯრიდან" ფულის ეკონომიკაში შეგდება, ანუ კრედიტების გაცემა და აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა.

როცა ფსს ობლიგაციებს ყიდის, ფულის ოდენობა ეკონომიკაში იზრდება თუ მცირდება?

ობლიგაციები დოლარზე იყიდება, მაშასადამე, ფული ეკონომიკიდან ამოიღება და მის (ფულის) ნაცვლად დოლარების მქონეს ეძლევა ამერიკის შეერთებული შტატების ხელწერილი, რომ გარკვეული დროის შემდეგ აღნიშნულ თანხას პროცენტებით დაუბრუნებენ. შედეგად ეკონომიკაში ნაკლები ფული რჩება. რაც მეტი ტრეჟერისი გაიყიდება, მით ცოტა დარჩება თავისუფალი ფული ეკონომიკას. ბანკებს ფული აღარ აქვთ, კრედიტებს არავინ იძლევა, **აქციებს არავინ ყიდულობს — ყველა ინვესტორმა აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციები შეიძინა.**

მაშასადამე, **აქციების გაყიდვა, ანუ ფსს-ს საქმიანობა მხოლოდ აღრმავებს კრიზისს. მისი შემცირების ნაცვლად, ფედრეზერვი ყველაფერს აკეთებს კრიზისის გასაძლიერებლად.** საკამათო არ არის, რომ ფინანსურ სფეროში პრობლემების გადასაჭრელად პირიქით ქმედებაა აუცილებელი. ობლიგაციების, გაყიდვა კი არა, ყიდვაა აუცილებელი და ამ გზით ეკონომიკის ფულით უზრუნველყოფა.



**მასობრივი ინფორმაციის ყველა ძირითადი საშუალება, ფაქტობრივად, ფედერალური სარეზერვო სისტემის პატრონების ხელშია. მაშასადამე, გავრცელდება საჭირო ინფორმაცია. ყველა ანალიტიკოსი ოპტიმიზმით იქნება აღსავსე და მონდომებით აუწყობს ხმას გაძვირების მაუწყებელ ყოვლისშემძლე ტალღას**

**რატომ არ ირჯება ფედრეზერვი სწორედ ასე და რატომ არ შეისყიდის აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციებს?**

ტრეჟერისების შესყიდვის შემთხვევაში მიმოქცევაში დოლარების დიდი რაოდენობა დატრიალდებოდა, რაც, უხეშად რომ ვთქვათ, გააუფასურებდა მათ. ამიტომ დოლარების დანაკლისი ჰაერივით აუცილებელია მონეტარული სისტემისთვის, რათა მწვანე ქაღალდების ფასმა არ დაიწიოს. ისინი ეკონომიკიდან ამოღებული უნდა იყოს და დაიწვას თვით სისტემის შიგნით, თავიანთ ბანკებში, უცხო თვალისგან ფარულად და ზედმეტი ფაციფუცის გარეშე.

თავისუფალი მედიის კრიზისთან ბრძოლის ხმამაღალი აკომპანემენტის თანხლებით, ფსს ყოველდღიურად განაგრძობს ობლიგაციების გაყიდვას. აშშ-ის ვალი იზრდება. კრიზისი ძლიერდება. დაუძლურებული ეკონომიკა ყოველდღიურად უფრო და უფრო სუსტდება. **მტვერსასრუტი, რომელიც კრიზისის ორგანიზატორებმა ჩართეს, მსოფლიო ეკონომიკიდან ყოველდღიურად ისრუტავს სულ უფრო მეტ სახსარს. ასე შეიწოვა ფედრეზერვმა დოლარები რუსეთიდან, მექსიკიდან, ბოლივიიდან, ისლანდიიდან, უკრაინიდან. მტვერსასრუტით შეწოვილი ფულის არც ეროვნება, არც წარმომავლობა არავის აინტერესებს.**

როგორ შეიძლება კრიზისის დაძლევა?

აშკარაა, რომ კრიზისიდან გამოსვლას დრო დასჭირდება. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ფედრეზერვის დახურვაა ორიოდე კვირით. უნდა გამოცხადდეს არდადეგები ბანკებისთვის, მსგავსად იმისა, თავის დროზე **ფრანკლინ რუზველტმა** რომ განახორციელა.

**უნდა შეწყდეს აშშ-ის სახელმწიფო ობლიგაციების გაყიდვა,** რათა ფული ეკონომიკაში დარჩეს. ამ იდეებს ფედრეზერვის ყოფილი ხელმძღვანელის — **ალან გრინსპენის** წიგნში ამოიკითხავს ნებისმიერი დაინტერესებული ადამიანი.

„როცა სახელმწიფო ძალიან ბევრს ხარჯავს, იგი იძულებულია, ისესხოს ფული. ამ მიზნით იგი იწყებს ხაზინის ფასიანი ქაღალდების გაყიდვას, რითაც ეკონომიკიდან ამოქაჩავს სახსრებს, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, კერძო სექტორში იქნებოდა ჩადებული".

წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: შეშინებულმა ინვესტორმა ქონება დოლარებში გადაიტანა და მივიდა ობლიგაციების შესაძენად. ფსს კი არ მუშაობს. როგორ უნდა მოიქცეს საწყალი გადამყიდველი, ანუ ინვესტორი? ობლიგაციების საყიდლად მიაკითხავს სხვებს, ვისაც ეს ფასიანი ქაღალდები ადრე აქვს ნაყიდი; შესთავაზებს იმაზე მეტს, რაც ობლიგაციის მფლობელმა ყიდვისას გადაიხადა, და ამით ობლიგაციის მომგებიანობას შეამცირებს. დავუშვათ, რომ ობლიგაცია ღირს 100 დოლარი, მისი მომგებიანობა კი 4 პროცენტია. ეს ნიშნავს, რომ ერთი წლის თავზე ობლიგაციის მფლობელი მიიღებს 104 დოლარს, ხოლო ობლიგაციის გაყიდვა შეიძლება 101, 102, 103 დოლარად. 104 დოლარად მის ყიდვას აზრი არ აქვს, 105 დოლარად ყიდვა კი წამგებიანი იქნება.

რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ტრეჟერისების ერთმანეთისთვის მიყიდვას ინვესტორები დიდხანს ვერ შეძლებენ. იძულებულნი იქნებიან, დაელოდონ. და მაშინ მათ წინაშე კვლავ წამოიჭრება საკითხი — **როგორ უნდა გამოიყენონ დოლარებით დატენილი ტომარა, რომელზეც თვითონ სხედან ფედერალური სარეზერვო სისტემის კარის წინ?**

ვარიანტი ბევრია:

**1. არ უნდა გააკეთონ არაფერი. ცუდი ვარიანტია — დრო მიდის, ინფლაცია არავის გაუუქმებია, ფული დნება;**
**2. უნდა შეისყიდონ აქციები;**
**3. იყიდონ ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ლითონი, ოქრო;**
**4. შეიძინონ უძრავი ქონება;**
**5. შეიტანონ ფული ბანკში გარკვეული პროცენტებით.**

ნებისმიერი ვარიანტის გამოყენებით ინვესტორი კრიზისის დაძლევას შეუწყობს ხელს, რადგან სახსრებს ეკონომიკაში ჩადებს და არა პირიქით, მაგრამ „რატომღაც" არავინ წარმართავს მოვლენებს საჭირო მიმართულებით.

რატომ?

ხომ შეიძლება, ზოგიერთმა ინვესტორმა კრამოლური გადაწყვეტილება განახორციელოს და პატარა ქარხანა აამუშაოს სადღაც ოკლაჰომაში, დაიწყოს რაღაც კონკრეტულის წარმოება, შექმნას სამუშაო ადგილები... და საშიშროება დაემუქრება ფსს-ს პოლიტიკას.

**კრიზისის სასწრაფოდ დასაძლევად ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ უნდა შეწყვიტოს მუშაობა.**

მხოლოდ ამ ერთი პირობის შესრულებაც კი საკმარისი იქნება.

მაგრამ ფსს განაგრძობს მუშაობას. მისი ხელმძღვანელები წარმოგვიდგენენ ახალ და ახალ გეგმებს კრიზისის დასაძლევად. ეს ნიშნავს, რომ კრიზისი, რომელიც აშკარაა, მალე არ დამთავრდება. დადგება ახალი კრიზისების დრო. ჯერ ყველა ამოცანა გადაჭრილი არ არის...

ამჟამინდელი ეკონომიკური „სასწაულის" ყველაზე **მნიშვნელოვანი საკითხია იმის გარკვევა, რომელი ჯადოსნური ჯოხის საშუალებით შეიქნა შესაძლებელი ივლის-დეკემბერში ნავთობის ოთხჯერ და უფრო მეტად გაიაფება. 2008 წლის ზაფხულში ინვესტორები ერთ ბარელ ნავთობს 147 დოლარად ყიდულობდნენ, „ანალისტები" კი წინასწარმეტყველებდნენ, რომ წლის ბოლოსთვის 200 დოლარი გახდებოდა ბარელი ნავთობის ფასი. მოხდა კი სულ სხვა რამ, ანუ სწრაფი გაიაფება ნავთობის.**

შესაძლებელია კი ასეთი რადიკალური ცვლილება?

საბაზრო ეკონომიკის ▶

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მნიშვნელოვანი საკითხია იმის გარკვევა, რომელი ჯადოსნური ჯოხის საშუალებით შეიქნა შესაძლებელი ივლის-დეკემბერში ნავთობის ოთხჯერ და უფრო მეტად გაიაფება. 2008 წლის ზაფხულში ინვესტორები ერთ ბარელ ნავთობს 147 დოლარად ყიდულობდნენ, „ანალისტები“ კი წინასწარმეტყველებდნენ, რომ წლის ბოლოსთვის 200 დოლარი გახდებოდა ბარელი ნავთობის ფასი. მოხდა კი სულ სხვა რამ, ანუ სწრაფი გაიაფება ნავთობის.**

◀ თეორეტიკოსებს თუ ვერწმუნებით, ნავთობის ფასის ასეთ ვარდნას წინ უნდა უსწრებდეს მისი მოხმარების ადეკვატური შემცირება.

შეგიძლიათ კი, დაიჯეროთ, რომ მსოფლიო ეკონომიკა 2008 წლის დეკემბერში მოიხმარდა ერთ ბარელ ნავთობს იქ, სადაც ჯერ კიდევ ივლისის თვეში 4 ბარელს ხარჯავდა?!

არა, ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ მიზეზი არ შეიძლება შედეგზე ადრე დადგეს. რა არის შედეგი ჩვენს შემთხვევაში? შედეგი ნავთობის გაიაფებაა. მიზეზი რაღაა? — კრიზისი. მაგრამ, ხომ ვიცით, რომ იპოთეკური კრიზისი აშშ-ში უფრო ადრე დაიწყო? ამერიკული ბანკების იპოთეკარები ბენზინს აღებული სესხით ყიდულობდნენ? — არა, რა თქმა უნდა. ბანკს ვალი რომ ვერ გადაუხადეს და ამის გამო იპოთეკით დატვირთული სახლი ჩააბარეს, ისინი ნაქირავებ ბინებში იწყებენ ცხოვრებას ან, უარეს შემთხვევაში, საცხოვრებლად გადადიან... ავტომანქანაში. მანქანა ხომ ყოველ ამერიკელს ჰყავს.

მიაქციეთ ყურადღება: კრიზი იწყება იმ მომენტში, როცა ამერიკელს არ აღმოაჩნდება ფული საცხოვრებლისთვის და არა ბენზინის საყიდლად! ისიც იმიტომ, რომ მოულოდნელად იძულებულია, ვალის გასასტუმრებლად ყოველთვიურად დაგეგმილზე გაცილებით მეტი თანხა გადაეხადა, რაც ფსს-ის საპროცენტო გადასახადის ზრდამ გამოიწვია. მაშ, რა შუაშია ნავთობპროდუქტების მოხმარების შემცირება? — არც არაფერ შუაშია. საწვავის გაიაფების მიზეზად ამერიკელის მიერ ნაკლები ბენზინის მოხმარების წამოყენება სისულელეა.

ჯერ კიდევ დახურული არ იყო საწარმოები, ჯერ კიდევ არ იყო დაქცეული საფინანსო ბაზარი, არც მასობრივი უმუშევრობა შეიმჩნეოდა, როცა კრიზისი ხანძარივით ბრიალებდა.

**2009 წლის დასაწყისში აშშ-ში 11 მილიონი უმუშევარი აღირიცხებოდა. ჩვენ ყოველთვის ჩაგვჩიჩინებენ, რომ არსებული კრიზისი არაჩვეულებრივად ღრმა და ძლიერია და აშშ-სა და მსოფლიოში მსგავსი არაფერი ყოფილა 1929 წლის დიდი დეპრესიიდან მოყოლებული. და პრობლემის სიღრმისეულ კრიტერიუმად წარმოგვიდგენენ უმუშევრობის ზემოთ დასახელებულ უზარმაზარ ოდენობას.**

ნუთუ არაფერი მსგავსი ამისა არ ახსოვს აშშ-ის ისტორიას?

**„1980 წლის აპრილში ძირითადმა საპროცენტო განაკვეთებმა აშშ-ში 20 პროცენტს გადააჭარბა. აღარ ყიდულობდნენ ავტომანქანებს, სახლები დაუმთავრებელი დარჩა, მილიონობით ადამიანმა დაკარგა სამუშაო — 1980 წლის პირველ ნახევარში 9 პროცენტამდე გაიზარდა უმუშევრობა, იზრდებოდა 1982 წლის ბოლომდე და თითქმის 11 პროცენტს მიაღწია“.** ასე წერია ალან გრინსპენის წიგნში. ფსს-ის ყოფილ ხელმძღვანელს თავისი სამშობლოს უარყოფითი კუთხით წარმოდგენის სურვილს ვერ დასწამებ. მაშასადამე, ყველაფერი მართლაც ასე იყო. 1982 წელს უმუშევრობის დონე იყო ისეთივე, როგორც 2009 წლის დასაწყისში.

**რამე გსმენიათ 1982 წლის საშინელი კრიზისის შესახებ? — არა, არ გსმენიათ ორი ურთიერთგამომრიცხავი მიზეზის გამო:**

**1. კრიზისი იყო, მაგრამ მის შესახებ ლაპარაკი წაშლიდა აშშ-ის ეკონომიკის საბჭოთა კავშირის ეკონომიკაზე უპირატესობის პრიალა სურათს. უაზრო იქნებოდა 1985 წელს საბჭოთა კავშირში "პერესტროიკის" დაწყება იმ მიზნით, რათა აგვეშენებინა ისეთი მოდელი, რომელიც სამი წლით ადრე სრულად იყო გაკოტრებული აშშ-ში. ალოგიკურობა აშკარად გამოიკვეთებოდა და ამიტომ 1982 წლის კრიზისზე არავინ არაფერს გვეუბნებოდა;**

**2. მეორე მიზეზი უფრო ბანალურია — არავითარი საშინელი კრიზისი 1982 წელს აშშ-ში არ ყოფილა.**

**დასკვნა, ნებისმიერ შემთხვევაში, ლიბერალური მეზღაპრეებისთვის სანუგეშო არ არის.** კრიზისი თუ იყო, მაშინ უცნაურია, რომ იგი დაივიწყა ყველა დამოუკიდებელმა გაზეთმა, თავისუფალმა ჟურნალისტებმა, ჭკვიანმა ანალიტიკოსებმა და პატიოსანმა პოლიტიკოსებმა. თუ არ იყო, მაშინ უმუშევართა ოდენობა არ არის ამერიკის ეკონომიკის კრიზისის მაჩვენებელი. ფსს-ს პატრონებისთვის გაცილებით იოლია უმუშევარი ზანგისთვის შეწევნის მიცემა დამატებით რამდენიმე დოლარის ჩამობეჭდვით, ვიდრე თავის შეწუხება მის დასასაქმებლად. ამასთანავე, ღარიბებისთვის ფულის დარიგება სტიმულს აძლევს მოთხოვნას და ეკონომიკის ზრდას იწვევს.

არასოდეს დაფიქრებულხართ ამაზე?

გაიხსენეთ: **ვინმე აუცილებლად მოგიყვებოდათ „კეთილ“ ამერიკულ სახელმწიფოზე, რომელიც, შემწეობის გარდა, უპოვართ ურიგებს ფულს და უზრუნველყოფს ტანსაცმლით. ძველ რომში პურის დარიგებისა და სანახაობის მოწყობის მსგავსად, აშშ-ში თავიანთ უმუშევარ ობივატელებს პურსაც აძლევენ და უამრავ სანახაობასაც სთავაზობენ.**

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს არავითარი მიზეზი იმისა, რომ ამერიკელს, ყოფილ სახლის მფლობელს, ბენზინის ფული არ დარჩეს.

როგორღა შეიძლება შემცირდეს ბენზინის მოხმარება მსოფლიო ეკონომიკაში, თუ აშშ-შიც არ შემცირდება მისი მოხმარება? ჩვენ ხომ გვასწავლეს, რომ პრობლემები ჯერ ამერიკაში გაჩნდა, შემდეგ — ყველგან. ირღვევა ლოგიკა ან საერთოდ არ არის. **გაგვარკვიეთ, ბატონო ეკონომისტებო, ერთმანეთთან რა კავშირშია იპოთეკა და ბენზინი? ხომ ცნობილია, რომ ბენზინის საყიდელი ფულის უქონლობა არ შეიძლება იყოს კრიზისის მიზეზი. პირიქით: ეს არის მისი აშკარა და საშინელი შედეგი! მაგრამ შედეგი მიზეზზე ადრე არ დგება, რაც ნიშნავს, რომ რეალურად მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განსხვავდება იმისგან, რასაც გვეუბნებიან.**

**გაგვარკვიეთ, ბატონო ეკონომისტებო, ერთმანეთთან რა კავშირშია იპოთეკა და ბენზინი? ხომ ცნობილია, რომ ბენზინის საყიდელი ფულის უქონლობა არ შეიძლება იყოს კრიზისის მიზეზი. პირიქით: ეს არის მისი აშკარა და საშინელი შედეგი! მაგრამ შედეგი მიზეზზე ადრე არ დგება, რაც ნიშნავს, რომ რეალურად მიზეზ-შედეგობრივი კავშირი განსხვავდება იმისგან, რასაც გვეუბნებიან. ბენზინის ფასი დაეცა არა იმიტომ, რომ იპოთეკარებმა ვალი არ გაისტუმრეს, და არც იმიტომ, რომ გაკოტრდა ორი-სამი იპოთეკური აგენტი, მიზეზი სულ სხვაა: ნავთობის ფასი შეგნებულად და უხეშად შეამცირეს**




**ბენზინის ფასი დაეცა არა იმიტომ, რომ იპოთეკარებმა ვალი არ გაისტუმრეს, და არც იმიტომ, რომ გაკოტრდა ორი-სამი იპოთეკური აგენტი, მიზეზი სულ სხვაა:**

**ნავთობის ფასი შეგნებულად და უხეშად შეამცირეს.**

კრიზისის ორგანიზატორებს, ეკონომიკურის გარდა, რამდენიმე პოლიტიკური ამოცანაც ამოძრავებთ და მათგან ყველა ნახშირწყალბადთან არის დაკავშირებული. ამ ამოცანების განსახორციელებლად კი საჭიროა ნავთობის რაც შეიძლება სწრაფად და მკვეთრად გაიაფება, მაშინ ეფექტი უფრო შესამჩნევი იქნება. სახელმწიფოთა ბიუჯეტები, მსხვილი კომპანიების საინვესტიციო პოლიტიკა ეფუძნება მაღალ მოლოდინებს და ფასების პროგნოზის მიხედვით ზრდის შესაფერისად ამიტომაც იღებენ კრედიტებს. და უცებ, რაღაც ნახევარი წლის შემდეგ, ეს ყველაფერი იცვლება დაცემით, რომელიც ისეთივე სარეკორდოა, როგორიც აღმასვლა იყო.

**როგორ ახერხებენ ნავთობის ფასით მანიპულირებას?**

ამისთვის „საბეჭდი დაზგის“ არსენალში არის საკმაოდ საინტერესო მექანიზმი. მისი სახელია **„ფიუჩერსი“**. ეს არის შეთანხმება აქტივების ყიდვისა და გაყიდვის შესახებ გარკვეული ოდენობით, ფიქსირებული ვადითა და იმ ფასად, რომელიც სამომავლოდაა გათვალისწინებული და წინასწარ არის დათქმული, ანუ კომპანია „ა“ კისრულობს ვალდებულებას, მიჰყიდოს კომპანია „ბ“-ს ნავთობი „გ“ ფასად „დ“ დღეს. თუ ასეთი კონტრაქტი აღირიცხება ბირჟაზე, მას დაერქმევა „ფიუჩერსი“, თუ არ დარეგისტრირდა, მაშინ ამაყი სახელი მიენიჭება — **„ფორვარდი“.**

**ხრიკი რაღაა?**

როგორც არის მიღებული თანამედროვე მსოფლიოს ფინანსური აბსტრაქციების სამყაროში, ფიუჩერსებისა და ფორვარდების სამყარო ასეთივე ვირტუალური რამაა. საქმე ის არის, რომ არავინ არავის არაფერს მიჰყიდის.

ამოვხსნათ ეს საინტერესო რებუსი.

თქვენს მეგობარს მანქანის ყიდვა სურს. თქვენ იცით, როგორიც სურს და 2009 წლის 1 სექტემბერს შესთავაზებთ ავტომანქანას 100 დოლარად. აფორმებთ ფიუჩერსს და ბეს მიიღებთ, მაგრამ თქვენ არ გაქვთ ის მანქანა, რომლის ყიდვა მეგობარს სურს, ამიტომ მიდიხართ სხვა მეგობართან და სთავაზობთ, რომ მოგყიდოთ ავტომანქანა 99 დოლარად. აფორმებთ მასთან ფიუჩერსს მანქანის ყიდვაზე და გირაოდ აძლევთ ერთ დოლარს, მაგრამ ამ ამხანაგსაც არ აქვს საჭირო ავტომობილი, სამაგიეროდ, აქვს მისი გაყიდვის ვალდებულება ზუსტად დათქმულ დროში დაფიქსირებული ფასით. შემდეგ ისიც ეძებს მსურველს, რომელიც იყიდის ავტომანქანას 2009 წლის 1 სექტემბერს, მაგრამ უკვე 98 დოლარად. ეს ჯაჭვი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. მისი არსი ყოველთვის ერთი და იგივეა — ფიუჩერსების მიღმა შემთხვევათა 99 პროცენტში საქონელი არ არის, რაც არის წმინდა წყლის სპეკულაცია და სხვა არაფერი. **ერთმანეთს მიჰყიდიან არა ნავთობს, არამედ ქაღალდს, რომელიც მისი მიწოდების გარანტიას იძლევა. ნავთობი სადღაა? ნავთობის ყიდვას არავინ აპირებდა...**

დავუბრუნდეთ მანქანის ყიდვის მაგალითს: ფიუჩერსების გადაყიდვის ამ ჯაჭვში უკანასკნელი ვინც აღმოჩნდება, იმან დათქმული დროისთვის უნდა იპოვოს სასურველი ავტომანქანა ან მონახოს სხვა გადამყიდველი, რომელიც დათანხმდება ჩაერთოს ამ თამაშში და დადოს ხელშეკრულება მანქანის მიწოდებაზე.

დგება 2009 წლის 1 სექტემბერი. ფიუჩერსები აუცილებლად უნდა შესრულდეს! ბოლო, ვინც ვერ იპოვა მანქანა დათქმულ ფასად, ან იზარალებს, ან მოგებას მიიღებს. რადგან ივალდებულა ავტომანქანის 97 დოლარად მიწოდება და ვერ იპოვა ფიუჩერსის მყიდველი ამ ფასად, მან უნდა იყიდოს ავტომანქანა იმ ფასად, რომელიც რეალურად **ფიუჩერსები კი მხოლოდ რიტუალია თავიდან ბოლომდე. თუ ავტომობილის ფასი 97 დოლარზე მეტია, იზარალებს; თუ უფრო იაფია, მოგებული დარჩება.** ღირს მოცემული მომენტისთვის, ანუ 2009 წლის 1 სექტემბრისთვის.

მაგრამ ადამიანები ხომ რეალურ მანქანებს მიჰყიდიან ერთმანეთს?

ასეა.

ფიუჩერსები კი ვირტუალურია. დავუშვათ, რომ მანქანის ყიდვა 1 სექტემბრისთვის 101 დოლარად არის შესაძლებელი, მაშინ ბროკერის ზარალი, კონტრაქტიდან გამომდინარე, იქნება ფარდი იმ სხვაობისა, რომელიც ფიუჩერსის ფასსა და საქონლის რეალურ ღირებულებას შორის წარმოიქმნება, ანუ: 101-97=4 დოლარს.

ახლა კი — ყურადღება! ბროკერი ავტომანქანას არ ყიდულობს, იგი 4 დოლარს უხდის იმას, ვისაც მანქანის მიყიდვას დაჰპირდა, რაც (4 დოლარი) ფასთა სხვაობით არის წარმოქმნილი, მაგრამ იმასაც, თავის მხრივ, აქვს ფიუჩერსით დადასტურებული ვალდებულება, გაყიდოს მანქანა 98 დოლარად. ამიტომ იგი კონტრაგენტს გადაუხდის 3 დოლარს, ერთ დოლარს კი დაიტოვებს. და ასე მიჰყვება ფიუჩერსების ჯაჭვს. ყველამ იშოვა ფული, ერთის გარდა, რომელმაც იზარალა. მანქანა ადგილიდან არ დაძრულა და, როგორც ჩანს, არც არავის შეუკვეთია. თუ ავტომობილის ღირებულება არ გაძვირებულა, არამედ, პირიქით, გაიაფდა, მოვლენები აქ აღწერილის საწინააღმდეგოდ განვითარდება. მანქანის მყიდველი კი არ იყიდდა მანქანას, არამედ სხვაობის გადახდას დაიწყებდა. და წაგებულნი დარჩებიან სხვა შუამავლები.

**ფიუჩერსები თავისებური სამორინეა. სიცარიელეა, რომელშიც ფული გაედინება და გადაგორდება ისე, რომ არავითარ მატერიალურ ღირებულებას არ ქმნის, მხოლოდ იცვლის პატრონებს (ფულისას). აზარტისა და იოლი მოგების გარდა, იგი უძლიერესი იარაღია, რომელსაც ხელეწიფება ფასის სასურველი მიმართულებით წარმართვა. უნდა გავერკვეთ და ვირწმუნოთ რეალობიდან გამომდინარე, რომ ფიუჩერსები კი არ არის ბაზარზე ორიენტირებული, არამედ ბაზარია ფიუჩერსებზე დამოკიდებული.** ნავთობით რეალური ვაჭრობა კი არ განსაზღვრავს მის ფასს ვირტუალური ვაჭრობის დროს, არამედ პირიქით. ფიუჩერსები ყოველდღიურად გაცილებით მეტი იყიდება, ვიდრე ნამდვილი, „ცოცხალი“ ნავთობი.

**გსურთ ნავთობის ღირებულების გაძვირება? ამისთვის ბირჟის მოთამაშეთა გარკვეულმა რაოდენობამ ერთსა და იმავე დროს ერთმანეთთან ან ბაზრის „პატიოსან“ მონაწილეებთან უნდა გააფორმონ ფიუჩერსები შავი ოქროს გაზრდილ ფასად მიწოდების თაობაზე.**

სხვა ბროკერებიც რომ ჩაერთონ გაძვირების თამაშში, **ორი რამაა აუცილებელი: უნდა შეიქმნას საინფორმაციო ფონი და უნდა მოიძებნოს ფული.** 2008 წლის დასაწყისში საინფორმაციო სააგენტოების მასალები აჭრელდა ცნობებით, რომელთა მიხედვითაც ნავთობზე მოთხოვნა იზრდებოდა, აშშ-ში ნავთობის მარაგი ილეოდა, და მოსალოდნელი იყო სამხედრო კონფლიქტები და ბუნების კატაკლიზმები. ერთი სიტყვით, გაჯერებული იყო ქვეტექსტებითა და დაუფარავადაც იყო ნათქვამი, რომ ეს ყოველივე გამოიწვევს ნახშირწყალბადის იმ ნაკადის დაშრეტას, რომელიც ყოველდღიურად „შემოედინება“ ბაზარზე.

როგორ მოიქცევით ინფორმაციის ასეთი შემოტევის დროს? შეიძლება, გაუძლოთ კიდეც და არ იჩქაროთ ბარელი ნავთობის 110 დოლარად ყიდვა. ამ დროს კი თქვენი კოლეგა ბროკერები გაბედულად აფორმებენ ფიუჩერსებს 2008 წლის დეკემბრისთვის ნავთობის ერთი ბარელის 200 დოლარად შეძენის შესახებ. ისინი ბევრი არიან. არ აჰყვებით მათ?! ყურადღებას არ მიაქცევთ დაჟინებულ მტკიცებას, რომ:

„2008 წელს მსოფლიო მოთხოვნილება ნავთობზე 2,5 პროცენტით გაიზრდება. ამასთანავე, ნავთობის მოპოვების მარაგი შეზღუდულია. აქედან გამომდინარე, ფასების საკმარისად მაღალ დონეზე შენარჩუნების ალბათობა რეალურია“.

„ნედლეული გაძვირდება“.

„უახლოესი 25 წლის განმავლობაში ნავთობი განაგრძობს გაძვირებას, ირწმუნებიან ამერიკის ნავთობის მრეწველობის წარმომადგენლები“.

და ასე ყოველდღიურად, ყველა გაზეთში, რადიოსა და ყველა ტელეარხზე. ასე და არა სხვანაირად, რადგან **მასობრივი ინფორმაციის ყველა ძირითადი საშუალება, ფაქტობრივად, ფედერალური სარეზერვო სისტემის პატრონების ხელშია. მაშასადამე, გავრცელდება საჭირო ინფორმაცია. ყველა ანალიტიკოსი ოპტიმიზმით იქნება აღსავსე და მონდომებით აუწყობს ხმას გაძვირების მაუწყებელ ყოვლისშემძლე ტალღას.** ნეგატიურ მომენტებს გამოტოვებენ ან ვერ შეამჩნევენ. აჟიოტაჟის შესაქმნელად ზედმეტი არ იქნება ლოკალური სამხედრო კონფლიქტების ორგანიზებაც.

და ბროკერები დაიწყებენ ნავთობის შესყიდვას მზარდ ფასად.

**ცნობისთვის: დღეს მსოფლიო ბაზარზე ერთი ბარელი ნავთობის ფასი 49 დოლარზე ოდნავ მეტია(!).**

**პირველ შემადგენელში — ინფორმაციულ უზრუნველყოფაში გავერკვიეთ. რა ემართება ამ დროს ფიუჩერსის მეორე შემადგენელს — ფულს?**

ამაზე — მომდევნო ნომერში.

გაგრძელება იქნება

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**SOLAR IMPULSE 2-ის სიჩქარე საშუალოდ 45კმ/სთ-ია, მაგრამ ამ საფრენ აპარატს სიჩქარის გაორმაგებაც შეუძლია, თუ უღრუბლო ამინდი იქნება და მზე კარგად იკაშკაშებს. თვითმფრინავი ძალიან მსუბუქია, მისი ფრთები დაფარულია მზის ბატრეებით. ისინი 17 ათასი ფოტოელემენტისგან შედგება, რომლებიც ენერგიით უზრუნველყოფს პროპელერების მკვებავ ბატარეებს.**





# მზის ბატარეიანი თვითმფრინავი გეზს გიბრალტარის სრუტისკენ აიღებს

**თვითმფრინავი Solar Impulse 2 შარშან, მარტში, აბუ დაბის ასაფრენი ბილიკიდან აფრინდა და დიდი მანძილი გაიარა: ომანი-მიანმა- ჩინეთი-იაპონია, დასვენებისა და ტექნიკური დათვალიერების მიზნით რამდენიმე ადგილას დაეშვა.**

გზის ბოლო მონაკვეთი ძალიან სახიფათო იყო, რადგან წყნარ ოკეანეში საავარიო დაშვებას ვერსად შეძლებდა, ხოლო თვითმფრინავი, რომელსაც ფრთების განშლა „ბოინგ-747“-ზე მეტი აქვს, ფაქტია, კარგად ვერ ცურავს.

ფრენა დიდხანს გაგრძელდა, რადგან თვითმფრინავის სიჩქარე პირდაპირაა დამოკიდებული, როგორ ანათებს მზე. Solar Impulse 2-ის სიჩქარე საშუალოდ 45კმ/სთ-ია, მაგრამ ამ საფრენ აპარატს სიჩქარის გაორმაგებაც შეუძლია, თუ უღრუბლო ამინდი იქნება და მზე კარგად იკაშკაშებს. **თვითმფრინავი ძალიან მსუბუქია, მისი ფრთები დაფარულია მზის ბატრეებით. ისინი 17 ათასი ფოტოელემენტისგან შედგება, რომლებიც ენერგიით უზრუნველყოფს პროპელერების მკვებავ ბატარეებს.** პილოტმა **ბერტრან პიკარმა** თვითმფრინავი სან-ფრანცისკოს მოშორებით დასვა. ამჟამად პილოტი ახალი ფრენისთვის ემზადება და მალე გეზს გიბრალტარის სრუტისკენ აიღებს.

# საუკეთესო ნოუთბუქების მწარმოებელთა სარეიტინგო სია

**უკვე 16 წელიწადია, კომპანია TrendForce-ი სწავლობს ცალკეული ტექნიკის მსოფლიო ბაზარს, მათ შორის, ნოუთბუქის. წლეულს, მაისში, კომპანიამ წარმოადგინა საუკეთესო ნოუთბუქის მწარმოებელთა სარეიტინგო სია 2016 წლის პირველი კვარტლის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ამ პერიოდში მსოფლიოში გაყიდული ნოუთბუქების 87,7% 8 მწარმოებლის პროდუქციაა. აი ისინიც:**

***მერვე** ადგილზეა **„სამსუნგი“** — სამხრეთკორეული გიგანტი, რომელიც ლიდერია სმარტფონების წარმოებაში, მაგრამ ნოუთბუქების ბაზარზე მისი პოზიციები შედარებით სუსტია. 2016 წლის პირველ კვარტალში მსოფლიოში გაყიდული ნოუთბუქების რაოდენობაში მისი წილი მხოლოდ 2,2%-ია. აღსანიშნავია ისიც, რომ **„სამსუნგი“** ერთადერთი კომპანიაა, რომლის წილიც მსოფლიო ბაზარზე წელს გაიზარდა (ადრე 1,2% იყო).

***მეშვიდეა „ტოშიბა“.** ეს ყველასათვის ცნობილი იაპონური ბრენდია, რომლის წილიც ამჯერად ნოუთბუქების მსოფლიო ბაზარზე 2,4%-ია.

***მეექვსე** ადგილზეა **„ეიპლი“** — ამერიკული კომპანია, რომელიც სმარტფონების გაყიდვით მსოფლიო ბაზარზე მეორეა, მაგრამ ნოუთბუქების მხრივ ასეთი პოპულარული არ არის. მისი წილი ბაზარზე მხოლოდ 7,25%-ია.

***მეხუთე** არის ტაივანის ფირმა **„ასერი“** წარმოებული ნოუთბუქების 7,3%-ით.

* **მეოთხე** ადგილზეა **„ასუსი“**. ესეც ტაივანის კომპანიაა, რომელიც მსოფლიო ბაზრის 11,4%-ს აკონტროლებს.

***მესამეა** ამერიკულიკომპანია **„დელი“**-ი 14,7%-ით.

***მეორე** ადგილი წილად ხვდა **„ეიჩ-პი“ (Hewlett-Packard)-ს**. ამ ამერიკული კომპანიის მიერ 2016 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო ბაზარზე გაყიდული ნოუთბუქების წილმა 20,4% შეადგინა. 2014-2015 წლებში კი კომპანია ამ მხრივ პირველობას არავის უთმობდა.



*** პირველი ადგილი წელს ჯერჯერობით ეკუთვნის „ლენოვოს“ (22,2%). ეს მაჩვენებელი 2014 წელს შეადგენდა 17, 5%-ს, 2015 წელს — 19,9%-ს. დინამიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ლენოვო“ პირველ ადგილს შეინარჩუნებს.**



# «ჰიუნდაის» ახალი მოდელი

**„ჰიუნდაის“ უკვე დაწყებული აქვს სპორტული მოდელის — „ჯენეზის კუპეს“ ტესტირება. გამოცდისას ავტომობილი, წესისამებრ, კარგადაა შენიღბული — ეს ავტომწარმოებელთა ტრადიციაა. თუმცა, ახლახან ინტერნეტგამოცემა „დიქარბლოგერმა“ გამოაქვეყნა ფოტო, რომლის მიხედვითაც, ახალი ავტომობილის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა შეიძლება.**

ავტომობილი წინა მარცხენა კუთხიდანაა გადაღებული და ამგვარად, მხოლოდ მის წინა ნაწილზე შეიძლება მსჯელობა. უპირველესად, ყურადღებას იქცევს მისი რადიატორი, რომელსაც, კორეული კომპანიის კორპორაციული სტილის შესაბამისად, ექვსკუთხა ფორმა აქვს, მასში კი ბამპერი და სანომრე აბრაა მოთავსებული. ამგვარად, ის თავის უმცროს ნათესავ „ველოსტერს“ დაემსგავსა.

კაპოტის უკანა ნაწილში ძრავის სეგმენტის ორი სასუნთქი „ლაყუჩი“ მოუთავსებიათ, რომლებსაც ერთმანეთისგან მსხვილი ამონატვიფრი ჰყოფს. მანქანის დანარჩენი ნაწილი ცუდად ჩანს, თუმცა იმის თქმა მაინც შეიძლება, რომ უკანა სარკმელს ჩაღრმავებული ფორმა შეუნარჩუნეს, რაც პირველი თაობის „ჯენეზის კუპეს“ მთავარი განმასხვავებელი ნიშანია.

რა თქმა უნდა, გასაიდუმლოებულია კაპოტქვეშა სივრცის შიგთავსი. სავარაუდოდ, აქ ოთხ და ექვსცილინდრიან ძრავებს ჩადგამენ.

„ჰიუნდაი ჯენეზის კუპეს“ პირველი ჩვენება დეტროიტის საერთაშორისო საავტომობილო შოუზე ჩატარდება.



**კვლევებმა დაადასტურა, რომ ფიზიკური ვარჯიში 10-40%-ით ამცირებს სარძევე ჯირკვლებისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს რისკს. მეცნიერებმა გააანალიზეს 1,4 მილიონი ადამიანის (9-დან 98 წლამდე) ცხოვრების წესი. როგორც აღმოჩნდა, ფიზკულტურით გატაცებას შეუძლია აღკვეთოს კიბოს 10 სახეობა, მათ შორის კუჭის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდის ბუშტისა და თირკმლების.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შეუძლია თუ არა ფიზიკურ ვარჯიშს კიბოს პროფილაქტიკა?



**ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხი გასცა მეცნიერთა ორმა დიდმასშტაბიანმა გამოკვლევამ. ახალი მონაცემები ბევრს უბიძგებს, სპორტით დაკავდეს და ეს ძალიან კარგია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ პლანეტის მოსახლეობის მესამედი ნაკლებად მოძრავ ცხოვრების წესს მიჰყვება.**

კვლევებმა დაადასტურა, რომ ფიზიკური ვარჯიში 10-40%-ით ამცირებს სარძევე ჯირკვლებისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს რისკს. მეცნიერებმა გააანალიზეს 1,4 მილიონი ადამიანის (9-დან 98 წლამდე) ცხოვრების წესი. როგორც აღმოჩნდა, **ფიზკულტურით გატაცებას შეუძლია აღკვეთოს კიბოს 10 სახეობა, მათ შორის კუჭის, საჭმლის მომნელებელი სისტემის, შარდის ბუშტისა და თირკმლების.**

სპორტი ხელს უშლის ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას. ფიზიკური დატვირთვა აძლიერებს ჰორმონალურ ფონს და აქრობს ანთებით პროცესებს ორგანიზმში.

როგორც კვლევამ აჩვენა, საჭმლის მომნელებელი სისტემის კიბოთი დაავადების რისკი სპორტით დაკავებულებს 42%-ით ნაკლები აქვთ, ვიდრე მათ, ვინც ნაკლებად მოძრაობს. იმისათვის, რომ ჯანმრთელი ვიყოთ, საკმარისია ფიზიკური აქტივობა კვირაში სულ 4 საათით. ეს სტანდარტული რეკომენდაციაა გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულთათვის.

ცხადია, ზუსტი კავშირის დადგენა ინტენსიურ ვარჯიშსა და კიბოთი დაავადებას შორის შეუძლებელია, მაგრამ მეცნიერები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ თუნდაც ლიფტით სარგებლობაზე უარის თქმით საოცარი ეფექტის მიღება შეიძლება.

ამასთანავე, **კვლევის შედეგებმა, რომელშიც 136 ათასი ამერიკელი იყო ჩართული, აჩვენა, რომ მათგან, ვინც უარი თქვა მოწევაზე, 2,5 საათს კვირაში სპორტს უთმობდა და ინარჩუნებდა სხეულის მასის ინდექსს 18,5-დან 27,5-მდე, 30%-ით იმცირებდა სწორი ნაწლავის კიბოს განვითარებას, ხოლო 12%-ით — სარძევე ჯირკვლების კიბოს.**

ასე რომ, ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელშია, ამისათვის კი საკმარისია სურვილი.

# გერმანელმა მეცნიერებმა შეძლეს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის დამარცხება

**ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი — ეს არის რეტროვირუსი ლენტივირუსების სახეობიდან, რომელიც იწვევს ნელა პროგრესულ აივ-ინფექციას, რომელსაც შიდსის (შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის) ჩამოყალიბებამდე მიჰყავს ავადმყოფი.**

მსოფლიოს მეცნიერები ჯერჯერობით მხოლოდ იმას ახერხებენ, რომ შეანელონ დაავადების პროგრესირება და სიცოცხლე გაუხანგრძლივონ პაციენტს. ათწლეულებია, ისინი ეძებენ საშუალებას ადამიანის იმუნური სისტემის უჯრედებიდან ამ ვირუსის გასაქრობად. და აი, ჰამბურგელმა მეცნიერებმა, როგორც იქნა, ეს შეძლეს, რაც მედიცინის წინაშე არნახული პერსპექტივის გადაშლას ნიშნავს. ახლო მომავალში მსგავსი მეთოდი გამოყენებული იქნება შიდსის დასამარცხებლად.

ამჟამად ამ დაავადების სამკურნალო თერაპიული მეთოდები იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა პრეპარატის ზემოქმედებით ორგანიზმში მხოლოდ მცირდება აივ-ით დაავადებული უჯრედები, მაგრამ მათი მთლიანად გამოდევნა ადამიანის ორგანიზმიდან შეუძლებელია.




გერმანელმა სპეციალისტებმა განსაკუთრებული ანტივირუსული საშუალების შექმნა შეძლეს, რომელსაც მიენიჭა კოდური სახელწოდება Brec 1.

პირველი წარმატებული ექსპერიმენტი თაგვებზე ჩატარდა, რომლებსაც ადამიანის დაავადებული უჯრედები შეუყვანეს სხეულში. ჰამბურგში მალე დაიწყებენ პრეპარატის გამოცდას ადამიანებზე.



# მეცნიერებმა მოწევისთვის ერთბაშად თავის დანებების სიკეთე ახსნეს

**ცნობილია, რომ ბევრი ადამიანი მიმართავს სხვადასხვა საშუალებას იმისათვის, რომ მოწევას თავი დაანებოს. British Heart Foundation-ის სპეციალისტებმა ახსნეს, რომ მომენტალურად უარის თქმა მოწევაზე ყველაზე ეფექტიანია.**

ამ მეთოდს Cold turkey (ცივი ინდაური) ეწოდება და პოპულარულია აშშ-ში. მოცემული მეთოდი გულისხმობს ძლიერ სურვილს, ნებას მოწევისთვის თავის დანებების, რომელიც სპონტანური კი არ უნდა იყოს, არამედ დაკავშირებული რაიმე თარიღთან ან მოვლენასთან. ის, ვინც ამგვარად ცდილობს, თავი დააღწიოს ამ მავნე ჩვევას, ასახელებს ზუსტ დროს, როცა მოწევს ბოლო სიგარეტს და კატეგორიულად იტყვის უარს მასზე.

British Heart Foundation-ის კვლევის შედეგებმა, რომელშიც მონაწილეობდა 700 ადამიანი, აჩვენა, რომ მათ, ვინც გამოიყენა მეთოდი „ცივი ინდაური“, 25%-ით მეტი შანსი ჰქონდათ, არ მიბრუნებოდნენ მავნე ჩვევას. სპეციალისტების აზრით, მომენტალურად თავის დანებების ფსიქოლოგიური ეფექტი მოხალისეების მიზანდასახულობისა და მათი მტკიცე ნების გამოვლინებაა.

ყოველ ჯერზე, როცა გაჩნდება მოწევის თავიდან დაწყების მოთხოვნილება, British Heart Foundation-ის თანამშრომლები იძლევიან რჩევებს, თუ როგორ უნდა გაუმკლავდნენ ამ სურვილს და არ დანებდნენ.

ამისთვის წინასწარ უნდა მოემზადოთ:

*თავიდან მოიშორეთ ყველა აქსესუარი, რომელიც მოწევასთანაა დაკავშირებული (საფერფლე, მუშტუკი, სანთებელა და ა.შ.);

*გადააკეთეთ ან მნიშვნელოვნად შეცვალეთ მოწევისთვის განკუთვნილი ადგილის დიზაინი;

*იპოვეთ თქვენი ჰობი ან სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდით.

თუკი „ცდუნებას“ მაინც ვერ გაუძელით, ექსპერტები გირჩევენ, ეს მარცხად არ ჩათვალოთ, არამედ მიიღოთ, როგორც საკუთარი სისუსტის გამოვლინება და სცადოთ მისი გამოსწორება.

ამასთანავე, სანამ გამოიყენებთ „ცივი ინდაურის“ მეთოდს, უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა დიდი საქმის შესრულებისას, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს და რომლის დროსაც დაშვებულ შეცდომას, შესაძლოა, სავალალო შედეგი მოჰყვეს, აუცილებელია სპეციალური სამედიცინო საშუალებების გამოყენებაზე დაფიქრებაც, რომლებიც ხსნის ან ასუსტებს აბსტინენტური სინდრომის (ვითარდება ავადმყოფებში, ქრონიკული ალკოჰოლიზმის II-III სტადიაზე, ალკოჰოლის მიღების შეწყვეტისას, ასევე ნარკომანებსა და ტოქსიკომანებში იმ პრეპარატების მიღების შეწყვეტის შემდეგ, რომლებმაც გამოიწვიეს შეჩვევა) გამოვლინებას.




# რატომ გვძინავს ცუდად უცხო ადგილას?

**ფრინველებისა და წყლის ზოგიერთი ბინადრის თავის ტვინის მარცხენა და მარჯვენა სფეროებს რიგრიგობით ძილი შეუძლია. აქამდე მიაჩნდათ, რომ ადამიანის შემთხვევაში ეს გამორიცხული იყო.**

თურმე უცხო ადგილას პირველი ღამის გატარებისას ჩვენი ტვინის ნახევარსფეროებს არასინქრონულად სძინავთ. ამით დაინტერესდნენ ბრაუნის უნივერსიტეტის ფსიქოლოგი **იუკა სასაკი** და მისი ჯგუფის წევრები. მეცნიერები ძილს ლაბორატორიებში სწავლობდნენ.

ვარაუდობენ, რომ ტვინის მარცხენა ნახევარს უცხო ადგილას პირველ ღამეს ისე ღრმად არ სძინავს, როგორც მარჯვენას. მხოლოდ მეორე ღამიდან დისბალანსი ქრება და ორივე ნახევარსფერო ერთნაირად ღრმად იძინებს.

ადამიანის ტვინში არის ე.წ. პასიური მუშაობის რეჟიმის ქსელი. ის წარმოადგენს ნერვულ უჯრედებს, რომლებიც აქტიურები არიან, როცა ტვინი დაკავებული არ არის რაიმე გარკვეული დავალებით. ზუსტად პასიური მუშაობის რეჟიმის ქსელი იყო აქტიური მარცხენა ნახევარსფეროში ძილის განმავლობაში.

ექსპერიმენტის მონაწილე მძინარე მოხალისეების ყურთან მკვლევარებმა მკვეთრი



ხმები გამოსცეს. აღმოჩნდა, რომ სიჩუმის დარღვევაზე ტვინის მარცხენა ნახევარსფეროს მუშაოhბის პასიური რეჟიმის ქსელმა უფრო სწრაფად მოახდინა რეაგირება და მოხალისეებმა უცებ გაიღვიძეს. ეს ეფექტი პირველ ღამეს უფრო ძლიერად იყო გამოხატული.

ერთი ღამის განმავლობაში ტვინი რამდენიმეჯერ გადის ნელი ძილის ფაზას. მეცნიერებმა ჯერ არ იციან, მარცხენა ნახევარსფერო ინარჩუნებს თუ არა „სიფხიზლეს“ მთელი ღამის განმავლობაში. ამის გასარკვევად სასაკი და მისი ჯგუფი ახალ კვლევას ამზადებენ.

**„ძილი სასარგებლოა, თუ კი რისკები, რომლბთანაც ის მიბმულია, არ გადაწონის მის სარგებლობას ორგანიზმისთვის. უსაფრთხოება ძილის დროს დაცული უნდა იქნას, ოღონდ ყურადღების გარეთ არ უნდა დარჩეს ის, რაც ხდება გარშემო. საინტერესოა, რომ დედას შეუძლია ღრმად ეძინოს ჭექა-ქუხილის დროს, მაგრამ შეიძლება გაეღვიძოს თავისი პატარას უმნიშვნელო გაფაჩუნებაზეც კი“,** — ამბობს სასაკი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პლანეტაზე 7 მილიარდზე მეტი ადამიანია, რომლებსაც სულ უფრო მეტად უნდათ, ხელი მიუწვდებოდეთ ტექნოლოგიებზე. რადგან საზოგადოება წიაღისეული სათბობიდან ენერგიის უფრო სუფთა წყაროზე და უფრო წყნარ სატრანსპორტო საშუალებებზე გადადის, მოთხოვნა „იშვიათ მიწებზე“ და სხვა ეკოლოგიურ ლითონებზე მხოლოდ გაიზრდება.**

# სიახლეები ახალ ტექნოლოგიებში

## ჩვენი ნათელი ტექნოლოგიური მომავალი ოკეანის ფსკერზე დევს

**1968 წლის მარტში საბჭოთა წყალქვეშა ნავი „გოლფი II“ ბირთვულ ბალისტიკურ რაკეტებთან ერთად აფეთქდა და ჩაიძირა ჰავაის კუნძულების ჩრდილო-დასავლეთით ასობით კმ-ის მოშორებით. 5 თვის შემდეგ ამერიკელებმა იპოვეს სუბმარინის ნამსხვრევები და მათი მოპარვა გადაწყვიტეს. მას შემდეგ დაიწყო პროექტი AZORIAN-ი — ერთ-ერთი აბსურდული და ამბიციური ოპერაცია, რომელიც კი ოდესმე ჩაუფიქრებია აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს.**

წარმატების შემთხვევაში პროექტ AZORIAN-ის პოტენციური სარგებელი კოლოსალური იქნებოდა — დეტალური ინფორმაცია საბჭოთა შეიარაღების შესაძლებლობებზე, ასევე, წვდომა რომელიმე ძალიან სასურველ კრიპტოგრაფიკულ მოწყობილობაზე... მაგრამ 1750-ტონიანი სუბმარინა 5 ათასი მეტრის სიღრმეში ჩაინთქა. მის ამოყვანას მხოლოდ მასიური ხომალდი შეძლებდა, ამიტომ ცსს-მ დაიქირავა ცნობილი ინჟინერი და მილიარდერი ბიზნესმენი **ჰოვარდ ჰიუზი**, რათა შეეთხზათ ლეგენდა, რომელიც გაამართლებდა 200-მეტრიანი ხომალდის მშენებლობას.

ლეგენდის მიხედვით, ჰიუზს დასჭირდა მარგანეცის კონკრეციების (ეს არის კარტოფილისხელა პატარა ქვები, მომრგვალო ფორმის მინერალური წარმონაქმნები ნალექ ქანებში, რომლებიც ბუნებაში წარმოიქმნება აბისალურ დაბლობზე, ანუ ოკეანის ბრტყელ ფსკერზე) მოპოვება თავისი ჰოლდინგური კომპანიის — Summa Corporation-ისთვის, ამიტომ მილიარდერი-მრეწველი ზღვის ფსკერზე განძის საპოვნელად აგებს არაჩვეულებრივ ახალ ხომალდს. ხომ დამაჯერებლად ისმის? ჰოდა, საზოგადოებამაც დაიჯერა.

„იმხანად ადამიანები ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს იყო დიდი ხრიკი, — ამბობს ოკეანოგრაფი **ფრენკ სენსოუნი** ჰავაის უნივერსიტეტიდან, — უბრალოდ, წარმოიდგინეთ: **ნამდვილი მიზანი რომ დაეფარა, ცსს-მ შექმნა მარგანეცის კონკრეციების კვლევის მთელი ხაზი**“.

გადიოდა წლები, ათწლეულები და კერძო კომპანიებმა აღმოაჩინეს, რომ **მარგანეცის კონკრეციები უზარმაზარი რაოდენობით შეიცავს იშვიათ ელემენტებს, რომლებიც საჭიროა ჩვენი კომპიუტერების, სმარტფონების, თავდაცვითი სისტემებისთვის და ა.შ. თანამედროვე ცხოვრებაში ამ ელემენტების საჭიროება განუსაზღვრელია, მაგრამ ხმელეთზე მათი მოპოვების წყაროები — შეზღუდული.**

და აი, ცსს-ს შეთქმულებიდან 40 წლის შემდეგ, ჩვენ წყალქვეშა ციებ-ცხელების ზღვარზე აღმოვჩნდით.

ერთხელაც, შესაძლოა, ოკეანის ფსკერზე არსებული იშვიათი ელემენტების უზარმაზარი მარაგი შევქმნათ, მაგრამ ზღვის ფსკერის დამუშავება მარტივი არ იქნება. ის ბევრ რისკთან და ტექნიკურ სირთულესთან იქნება დაკავშირებული. თავისი გეოქიმიური შემადგენლობის გამო ამ იშვიათი ელემენტების დამუშავებას განსაკუთრებული ტექნოლოგია სჭირდება. ეს ძვირად ღირებული და შრომატევადი პროცესია, რომელსაც ახლავს დიდი რაოდენობით რადიაქტიური ნარჩენი.

უამრავი მაგალითია იმისა, რომ ეს ლითონები თანამედროვე ტექნოლოგიებს ხდის უფრო სწრაფს, იოლს, საიმედოსა და ეფექტიანს.

მაგალითისთვის იშვიათმიწა ელემენტებიდან ავიღოთ **ევროპიუმი** (ქიმიური ნივთიერება ლანთანოიდების ჯგუფიდან), რომელიც გამოიყენება ელექტრონულ-სხივურ მილებსა და თხევადკრისტალურ დისპლეებში. 1კგ ევროპიუმის ფასი 2000 დოლარია; ხოლო **ერბიუმი**, რომელიც ბოჭკოვან კაბელში ლაზერის გამაძლიერებლად გამოიყენება, 1 კგ 1000 დოლარი ღირს; **იტრიუმით** ფარავენ მფრინავი აპარატების რეაქტიული ძრავის ზედაპირს, რათა დაიცვას სხვა ლითონები გადახურებისგან; **ნეოდიუმი** კი შენადნობს ანიჭებს ნეოდიუმ-მაგნიტურ მაღალ გამძლეობას და ფართოდ გამოიყენება ისეთ პროდუქტებში, როგორიცაა: მიკროფონები, პროფესიული ხმამაღლამოლაპარაკეები, უკაბელო ყურსასმენები და კომპიუტერის დისკები, რომლებსაც აქვს მცირე მასა და მცირე მოცულობა და საჭიროებს მკაცრ მაგნიტურ ველს. ნეოდიუმის უფრო დიდი მაგნიტები გამოიყენება მაღალი სიმძლავრის ელექტრულ ძრავებსა (მაგალითად, ჰიბრიდულ მანქანებში) და გენერატორებში.

ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. იშვიათმიწა ელემენტებს ისეთი მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, რომ მათი დეფიციტი, ბუნებრივი რესურსების საბჭოს აზრით, „ჩვენს ცხოვრებაზე ნეგატიურ გავლენას იქონიებს“.

ეს აწუხებთ დიდი სახელმწიფოების ხელისუფალთ, მათ შორის, აშშ-ისას. ის მთლიანად არის დამოკიდებული იშვიათმიწა ლითონების იმპორტზე, ხოლო დიდი ნაწილი ამ იმპორტისა ჩინეთიდან შემოდის.

მრავალი წლის განმავლობაში ამერიკული კომპანია Molycorp-ი იშვიათმიწა ელემენტების დიდ ნაწილს მოიპოვებდა მაუნთინ-პასის შახტებში — კალიფორნიის შტატში, მაგრამ XX საუკუნის 80-იან წლებში მონღოლეთსა და ჩინეთის სამხრეთში ამ ლითონების უზარმაზარი საბადო აღმოჩნდა. **იაფი მუშახელითა და, პრაქტიკულად ყოველგვარი ეკოლოგიური რეგულაციების გარეშე, ჩინურმა სამთომომპოვებელმა კომპანიებმა შეძლეს, უკან ჩამოეტოვებინათ ამერიკელული მრეწველობა 1990-იან და 2000-იან წლებში. 2002 წელს MOLYCORP-მა შეაჩერა სამთომოპოვებითი საქმიანობა. 2010 წლისთვის ჩინეთი ბაზრის 97%-ს აკონტროლებდა.**



და, აი, მაშინ დაიწყო ჩინეთმა „კუნთების თამაში“: ჯერ კვოტები შემოიღო იშვიათმიწა ლითონების ექსპორტზე, ხოლო 2010 წლის სექტემბერში ჩინეთის მთავრობამ იაპონიასთან საზღვაო საზღვრის თაობაზე უთანხმოების გამო შეწყვიტა იშვიათმიწა ლითონების ექსპორტი. ყოველივე ეს საერთაშორისო ბაზარზეც აისახა — იშვიათმიწა ლითონები გაძვირდა, რადგან ტექნოლოგიურმა კომპანიებმა დაიწყეს საკუთარი მარაგების შექმნა იმის შიშით, ვაითუ, მომავალში ამ ელემენტების მიწოდებაში პრობლემები შეიქმნებოდა. ეკონომისტმა **პოლ კრუგმანმა** ამერიკელი პოლიტიკოსები დაადანაშაულა იმაში, რომ „მათ ჩინეთს ხელში ჩაუგდეს იშვიათმიწა ლითონებზე მონოპოლია, რაც სიზმარშიაც კი არ დაესიზმრებოდათ ახლო აღმოსავლეთის ნავთობტირანებს“.

გავიდა წლები და ბევრმა ქვეყანამ დაიწყო იშვიათმიწა ლითონების საკუთარ წარმოებაზე ზრუნვა. 2014 წლის ბოლოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ ჩინეთის წინააღმდეგ, მისი არასწორი სავაჭრო პრაქტიკის გამო, მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც აიძულა ჩინეთის ხელისუფლება, გაეუქმებინა კვოტები იშვიათმიწა ელემენტებზე. შედეგად ფასები მკვეთრად დაეცა.

იშვიათმიწა ელემენტებზე დეფიციტის გაჩენის შიშმა აშშ-ის პოლიტიკაზეც საგრძნობლად იმოქმედა. ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტრომ მილიონობით დოლარი ჩადო იშვიათმიწა ელემენტების გამოყენების შემცირების მიზნით ჩატარებულ კვლევებში. შედეგად, ზოგიერთმა სფერომ უარი თქვა მათ გამოყენებაზე, მაგ., **იშვიათმიწა ელემენტებს აღარ იყენებს „ტესლა“ თავის ბატარეებსა და ძრავებში, მაგრამ ზოგიერთ სფეროში ამის გაკეთება ჯერჯერობით შეუძლებელია. ამიტომ, ამ ელემენტებზე მოთხოვნა მომავალში მხოლოდ გაიზრდება.**

„ეკონომიკაში, რომელშიც იშვიათმიწა ელემენტების გამოყენება იზრდება, უბრალოდ, არ შეიძლება გზიდან გადახვევა, — ამბობს კინგი, — ბოლოს და ბოლოს, ახალი შახტების გახსნა მოგვიწევს“.

1974 წლის ზაფხულს წყალქვეშა ნავის გადარჩენის ოპერაციის ექვსწლიანი მზადება კულმინაციას მიუახლოვდა. მის ამოსაყვანად დაპროექტებული 36-ტონიანი ხომალდი მართლაც უნიკალური იყო, მაგრამ ნავის წყლიდან ამოღება დაუზიანებლად მაინც ვერ მოხერხდა — იგი შესაბამისი სამუშაოების შესრულებისას ორად გაიხლიჩა. დაშლილი ხომალდის ნაწილების ორი მესამედი, მათ შორის ბირთვული რაკეტები და სამხედრო-საზღვაო კოდური წიგნები, ისევ ოკეანის ფსკერზე დაეშვა. სსრ კავშირის 6 სამხედრო-საზღვაო ოფიცრის გვამის გარდა, გაურკვეველია, კიდევ რისი ამოტანა შეძ- ▶



**მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ფსკერის დამუშავების ტექნოლოგია ვითარდება, Nautilus Minerals-ი 2018 წელს გეგმავს ზღვის ფსკერზე პირველი მოპოვებითი სამუშაოების დაწყებას, მარგანეცის კონკრეციების მოპოვება შეზღუდული რჩება, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს სამთომოპოვებითი სისტემა, რომელიც შეძლებს წყლის 3 ათასი მეტრის სიღრმიდან ათასობით ტონა წიაღისეულის ამოზიდვას. ჯერ არავის გაუცია პასუხი კითხვაზე: როგორ მოვიპოვოთ ეს ნივთიერებები?**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მარგანეცის კონკრეციები უზარმაზარი რაოდენობით შეიცავს იშვიათ ელემენტებს, რომლებიც საჭიროა ჩვენი კომპიუტერების, სმარტფონების, თავდაცვითი სისტემებისთვის და ა.შ. თანამედროვე ცხოვრებაში ამ ელემენტების საჭიროება განუსაზღვრელია, მაგრამ ხმელეთზე მათი მოპოვების წყაროები — შეზღუდული.

◀ლო Hughes Glomar Explorer-მა ოკეანიდან. როგორც ამბობდნენ, იყო, სულ ცოტა, სამი ვერსია, თუ როგორ განვითარდა ეს ისტორია. ჩვენ კი, ალბათ, ვერასდროს გავიგებთ სიმართლეს.

ცსს-მ მეორე მისია მოიფიქრა წყალქვეშა ნავის გადასარჩენად, მაგრამ, სანამ თანხმობას მიიღებდა, რეპორტიორმა ჯეკ ანდერსონმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა პროექტ „აზორიანს", ეროვნულ ტელევიზიაში ფარდა აჰხადა ამ ისტორიას და ძალიან მალე „ლოს ანჯელეს თაიმსის", „ვაშინგტონ პოსტისა" და „ზე ნიუ იორკ თაიმსის" გვერდებზე გაჩნდა მასალები ამის თაობაზე.

ამის შემდეგ ეს საქმე გაჩერდა, მაგრამ Ocean Minerals Company, რომელიც ამუშავებდა სამთომოპოვებითი სამუშაოების ტექნოლოგიებს, მომდევნო რამდენიმე წელი კლარიო-კლიპერტონის ზონაში (წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში) აწარმოებდა ექსპერიმენტებს ზღვის ფსკერიდან რესურსების მოპოვებაზე.

„ოკეანისთვის განკუთვნილი სამთომომპოვებელი მოწყობილობა, რომელიც ცსს-მ ააგო, რეალურად მუშაობდა, — ამბობს უილტშირი, — Ocean Minerals Company-მ გადაწყვიტა მარგანეცის კონკრეციების მოპოვება და მუშაობდა ამაზე 1980-იანი წლების დასაწყისამდე". ოკეანის ფსკერზე ამ ექსპედიციებმა მთელი რიგი სახელმწიფო დაწესებულებებისა და კერძო კომპანიების ყურადღება მიიპყრო.

1960-იანი წლებიდან სამთომომპოვებელი კომპანიები მარგანეცის კონკრეციებს მოიპოვებდნენ უღრო მეტად ნიკელის, კობალტისა და სპილენძისთვის, მაგრამ დროთა განმავლობაში გეოლოგები მიხვდნენ, რომ ეს ქვები, ამასთანავე, შეიცავდა იშვიათმიწა ელემენტებს, მათ შორის, ძალიან ძვირს. ერთი შეხედვით, მარგანეცის კონკრეციებში იშვიათმიწა ელემენტების კონცენტრაცია (0,1%) შეიძლება ძალიან დაბალი მოგეჩვენოთ, რომელთა დაცილება-გამოცალკევება სხვა ელემენტებისგან შესაძლებელია ქიმიური ან ძლიერი ტემპერატურის ზემოქმედებით.

დღეს გლობალური იშვიათმიწა მრეწველობა აწარმოებს 100 ათას ტონაზე ცოტა მეტ ლითონს წელიწადში. მხოლოდ კლარიო-კლიპერტონის ზონაში არის 15 მილიონი ტონა იშვიათმიწა ოქსიდები, ჩაკეტილი მარგანეცის კონკრეციები.

საქმე ის კი არ არის, რომ ოკეანის ფსკერზეა ეს ელემენტები, არამედ ის, შესაძლებელია თუ არა მათი მოპოვება ისე, რომ ამ ბიზნესის წარმოებას აზრი ჰქონდეს.




იშვიათმიწაელემენტების მსოფლიო წარმოება 1950-2000 წწ.

40 წელი გავიდა, რაც პროექტმა AZORIAN-მა სათავე დაუდო ღრმა წყლებში სამთომომპოვებელ მრეწველობას. აღმოჩენილ იქნა არა მხოლოდ მარგანეცის კონკრეციები, არამედ სხვა რესურსებიც, მათ შორის, წყალქვეშა ვულკანების დროს წარმოქმნილი სულფიდები და რკინამარგანეცის ქერქი, რომელიც ასევე შეიცავს იშვიათმიწა ელემენტებს.

მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ კომპანიას არ დაუწყია ზღვის ფსკერის დამუშავება კომერციული მიზნით.

ღია ოკეანე ველური დასავლეთი არ არის. ხომალდ Hughes Glomar Explorer-ის პირველი ცურვიდან ცსს-მ მიიღო ზღვის კონვენცია, ღია ზღვაში მრეწველობის რეგულირების მიზნით. შედეგად, ჯგუფს სახელწოდებით „ზღვის ფსკერის საერთაშორისო ორგანო" (ISA) ეკისრება პასუხისმგებლობა ზღვაზე სამთო სამუშაოების სიღრმის განსაზღვრისთვის და საერთაშორისო წყლებში ნებართვის გაცემის უფლებაც.

**დღეს ათზე მეტ კომპანიას აქვს ლიცენზია კლარიო-კლიპერტონის ზონაში მარგანეცის კონკრეციების გამოკვლევაზე, მაგრამ ჯერ არავის მიუღია მათი ფაქტობრივი მოპოვების უფლება. თავდაპირველად ISA-მ უნდა შეიმუშაოს წესები, რათა ზღვის საბადოების დამუშავება არ იქცეს შოუდ, როგორც ეს ხშირად ხდება, როცა ადამიანები ხელთ იგდებენ რაღაც ახალს.**



მარგანეცის კონკრეცია

ბევრ ეკოლოგს ზარავს იმის წარმოდგენა, ნებართვის მიცემისთანავე, როგორ მიასკდებიან ზღვის ფსკერს ეს დამშეული კორპორაციები და ძვირფასი ლითონების ძებნაში როგორ მოსპობენ ეკოსისტემას.

ჩვენ ვფიქრობთ ოკეანეზე, ის სავსეა თევზებითა და ზღვის უხერხემლოებით. ეს სიცოცხლე, როგორც წესი, გეოგრაფიულად განსაზღვრულია და არ უყვარს თავისი წესების დარღვევა. ზღვის ბიოლოგი **კრეიგ სმიტი** 2013 წელს აღნიშნავდა, რომ **ორგანიზმებს, რომლებიც კლარიო-კლიპერტონის ზონაში ცხოვრობენ, შეიძლება ათასობით წელი დასჭირდეთ, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შემდეგ იმ ადგილას ისევ რომ გამრავლდნენ.**

სმიტისა და მისი თანამოაზრეების ვარაუდმა ISA მიიყვანა გადაწყვეტილებამდე, რომ ამ ზონიდან 550 ათასი კვ მილი ფართობი „ამოეჭრათ" დაცვის მიზნით, მაგრამ დაცულ წყალსაც შეუძლია „იგრძნოს" სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგები. მოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში მომატებულმა ნალექმა, საკვებმა ნივთიერებებმა და ტოქსიკურმა ლითონებმაც კი შეიძლება გააუარესოს წყლის ხარისხი, იმოქმედოს თევზებისა და ზღვის წვრილი ბინადრების სიცოცხლეზე.

ეკოლოგიური პრობლემების გარდა, პოტენციურ მეშახტეებს ექნებათ კიდევ ერთი პრობლემა: უზარმაზარი ფინანსური რისკი.

**მიუხედავად იმისა, რომ ზღვის ფსკერის დამუშავების ტექნოლოგია ვითარდება, Nautilus Minerals-ი 2018 წელს გეგმავს ზღვის ფსკერზე პირველი მოპოვებითი სამუშაოების დაწყებას, მარგანეცის კონკრეციების მოპოვება შეზღუდული რჩება, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს სამთომოპოვებითი სისტემა, რომელიც შეძლებს წყლის 3 ათასი მეტრის სიღრმიდან ათასობით ტონა წიაღისეულის ამოზიდვას. ჯერ არავის გაუცია პასუხი კითხვაზე: როგორ მოვიპოვოთ ეს ნივთიერებები?**

ნებისმიერ კომპანიას, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამს, მოუწევს, კარგად დაიხარჯოს ფსკერის გამოკვლევაზე, რომელშიც კონკრეციები, ასე თუ ისე, კონცენტრირებულია. ეს იგივეა, რაც სასარგებლო წიაღისეული ასტეროიდებზე მოიპოვო. ექსპერტები თვლიან, რომ **სასარგებლო წიაღისეულის დამუშავება ოკეანეში გარდაუვალია.**

**ორმოცი წლის წინათ აშშ-ის ხელისუფლებამ ასობით მილიონი ჩადო გაბედულ ინიციატივაში, ოკეანის ფსკერიდან ამოეღო სამხედრო ტექნიკის ნაწილი. გაბედავენ კი კერძო კომპანიები მსგავსი ნაბიჯის გადადგმას ახლაც, რათა ხელი მიუწვდეთ იშვიათმიწა ლითონებზე?**

ფსონები არც ისე მაღალია, როგორც იმ დროს, როცა ორი ზესახელმწიფო ბირთვული ომის ზღვარზე იმყოფებოდა, მაგრამ მომავალში ფსონები შეიძლება გაიზარდოს. პლანეტაზე 7 მილიარდზე მეტი ადამიანია, რომლებსაც სულ უფრო მეტად უნდათ, ხელი მიუწვდებოდეთ ტექნოლოგიებზე. რადგან საზოგადოება წიაღისეული სათბობიდან ენერგიის უფრო სუფთა წყაროზე და უფრო წყნარ სატრანსპორტო საშუალებებზე გადადის, მოთხოვნა „იშვიათ მიწებზე" და სხვა ეკოლოგიურ ლითონებზე მხოლოდ გაიზრდება.



ხომალდი HUGHES GLOMAR EXPLORER



# ხანგრძლივ სტრესს შეუძლია მეხსიერების დაკარგვა გამოიწვიოს

**ოჰაიოს შტატის უნივერსიტეტის მეცნიერებმა თაგვებზე ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად დაადგინეს, რომ ხანგრძლივ სტრესსა და მეხსიერებას შორის მჭიდრო კავშირია.**

მეცნიერებმა მღრნელები თავდაპირველად ლაბირინთში მოათავსეს, საიდანაც გამოსასვლელი ცხოველებს თვითონ უნდა ეპოვათ. რამდენჯერაც თაგვებმა თავი გაართვეს მიცემულ დავალებას — დაიმახსოვრეს გასასვლელისკენ მიმავალი რთული მარშრუტი — იმდენჯერ მათზე სტრესულ ზემოქმედებას ახდენდნენ: მათთან სვამდნენ დიდ და აგრესიულ დედალ მღრღნელს.

მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ უცხოს გამოჩენა და მასთან დაპირისპირება თაგვებს სტრესის დონეს უმატებდა — იბნეოდნენ და ვერ პოულობდნენ გამოსასვლელს; ხოლო ის ცხოველები, რომლებიც აგრესორის დანახვაზე არ შინდებოდნენ, შეცდომებს არ უშვებდნენ და ლაბირინთის გამოსასვლელს აგნებდნენ.

მკვლევართა ჯგუფმა ასევე შეამჩნია, რომ **მახსოვრობის გაუარესებას სდევდა გარკვეული ცვლილებები თაგვების ტვინში**. სპეციალისტების მიერ აღმოჩენილი მიკროფაგები (იმუნური დაცვის უჯრედები) ანთებითი რეაქციის მიმანიშნებელი შეიძლება იყოს, რომელიც გამოწვეულია იმუნური სისტემის პასუხით ხანგრძლივი სტრესული ფაქტორის ზემოქმედებაზე.

ლაბორატორიული ცხოველების მოცემული გადახრა, მეცნიერების განცხადებით, ქრებოდა 28 დღის განმავლობაში. ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები არსებით ზემოქმედებას არ ახდენდა პოსტსტრესული დეპრესიის გამოვლინებისას, მხოლოდ თერაპიის წყალობით ხდებოდა შესაძლებელი მახსოვრობის შედარებით სწრაფად გაუმჯობესება.

კვლევის ამ შედეგებმა დაარწმუნა მეცნიერები, რომ **სტრესული ფაქტორის ზემოქმედების შედეგად მეხსიერების პრობლემების წარმოშობა სტრესზე სწორედ იმუნური სისტემის რეაქციას უკავშირდება.**

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება არა მხოლოდ დაეხმარება მათ სტრესსა და მის თანმდევ პროცესებზე მეტის გაგებაში, არამედ სტრატეგიის შემუშავებაში იმ ადამიანებისთვის, რომელთა ყოველდღიური ცხოვრება დაკავშირებულია განგაშთან, დეპრესიასა და სხვა ემოციურ აშლილობებთან.



# მიუეკის ჰიპერრეალისტური სკულპტურა

**ჰიპერრეალისტური სკულპტურების ავტორი რონ მიუეკი ლონდონში მუშაობს — საკუთარ კომპანიაში სარეკლამო ბაზრისთვის ანიმაციებს ქმნის. კარიერა კი მან ავსტრალიაში 1996 წლიდან საბავშვო ტელევიზიაში დიზაინერობით დაიწყო.**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა.**
1949 წლის ნოემბერში პარიზში, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის კონგრესის გადაწყვეტილებით, დაწესდა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რომელიც 1950 წლის 1 ივნისიდან ყოველწლიურად აღინიშნება.



რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები

*** 1906 წლის 16 მაისს პეტერბურგში დაიბადა ქართველი კომპოზიტორი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო არტისტი, ახალი ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი ანდრია ბალანჩივაძე.** ის იყო ქართული ეროვნული ოპერის დამაარსებლის, **მელიტონ ბალანჩივაძის** უმცროსი ვაჟი და მსოფლიოში სახელგანთქმული ბალეტმაისტერის, ამერიკის კლასიკური ბალეტის ფუძემდებლის — **ჯორჯ ბალანჩინის** (გიორგი ბალანჩივაძის) ძმა.



ანდრია ბალანჩივაძე ავტორია პირველი ქართული ბალეტისა „მზეჭაბუკი“ (ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად). მას, აგრეთვე, ეკუთვნის ბალეტები: „ცხოვრების ფურცლები“ და „მწირი“. დაწერა სიმფონიები და მუსიკა 30-ზე მეტი ფილმისა და სპექტაკლისთვის.

გარდაიცვალა 1992 წლის 28 აპრილს.



*** 1935 წლის 5 ივნისს თბილისში დაიბადა ქართული თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი კახი კავსაძე.**

1959 წელს დაამთავრა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში.

შეასრულა როლები სპექტაკლებში: **„ღვთაებრივი კომედია“ (ადამი); „გუშინდელნი“ (თავადი კოწია); „საბრალდებო დასკვნა“ (ლიმონა დევდარიანი); „კავკასიური ცარცის წრე“ (სიმონ ჩაჩავა); „მერე რა, რომ სველია სველი იასამანი“ (ბოტანიდეკი)** და სხვ.

მონაწილეობდა ფილმებში: **„მამლუქი“ (რეზო); „მაცი ხვიტია“ (ჯამლეტი — ბატონიშვილი); „უდაბნოს თეთრი მზე“ (შავი აბდულა); „ნერგები“ (დავითი); „მზე შემოდგომისა“ (სამსონი); „ვერის უბნის მელოდიები“ (იტალიელი ბალეტმაისტერი); „ღვინის ქურდები“ (ელიბო); „ნატვრის ხე“ (იორამი); „სიყვარული ყველას უნდა“ (კოლა); „მონანიება“ (მიხეილ კარეშელი), „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (დონ კიხოტი) და სხვ.**

*** 1799 წლის 6 ივნისს მოსკოვში დაიბადა გამოჩენილი რუსი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი, თანამედროვე რუსული ლიტერატურული ენის შემქმნელი ალექსანდრე პუშკინი.**



მისი ცნობილი ნაწარმოებებია: „რუსლანი და ლიუდმილა“, „კავკასიის ტყვე“, „ბახჩისარაის შადრევანი“, „პოლიტიკა“, „ევგენი ონეგინი“, „ბორის გოდუნოვი“, „მოცარტი და სალიერი“, „ქვის სტუმარი“, „კაპიტნის ქალიშვილი“, „ზღაპარი მეფე სალტანზე“, „ზღაპარი ოქროს მამალზე“ და სხვ.

1837 წლის 27 იანვარს ჟორჟ დანტესმა დუელში სასიკვდილოდ დაჭრა და იმავე წლის 29 იანვარს გარდაიცვალა.



*** 1599 წლის 6 ივნისს სევილიაში (ესპანეთი) დაიბადა ესპანელი მხატვარი, ესპანური ფერწერის ოქროს ხანის წარმომადგენელი დიეგო ველასკესი (დიეგო როდრიგეს დე სილვა-ი-ველასკესი).**

მისი ცნობილი ნამუშევრებია: „მეფე ფილიპე IV პორტრეტი“, „მენინები“ (ფილიპე IX ოჯახი), „ვენერა სარკით“, „მოგვთა თაყვანისცემა“, „ინფანტა მარგარიტას პორტრეტი“, „ქალი მარაოთი“, „მარსი“, „სამი მუსიკოსი“; „მავრების განდევნა“, „ჯვარცმული ქრისტე“ და სხვ.

გარდაიცვალა 1660 წლის 6 აგვისტოს.



*** 1632 წლის 7 ივნისს აგრაში, იმხანად დიდი მოგოლების ინდოეთის იმპერიის დედაქალაქში, დაიწყეს მსოფლიოს არქიტექტურის ერთ-ერთი შედევრის — თაჯ-მაჰალის მავზოლეუმის მშენებლობა.**

მავზოლეუმი, რომლის მშენებლობაც 20 წელიწადს გაგრძელდა, ააგეს იმპერატორ შაჰ-ჯაჰანის გარდაცვლილი მეუღლის — **მუმთაზ-მაჰალის** პატივსაცემად. მშენებლობაში 20 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.



*** 1926 წლის 1 ივნისს ლოს ანჯელესში დაიბადა ამერიკელი კინომსახიობი, მომღერალი, 1950-იანი წლების სექსსიმბოლო მერილინ მონრო (ქალიშვილობაში ნორმა ჯინ მორტენსონი).**

შესრულებული აქვს როლები ფილმებში: „ასფალტის ჯუნგლები“ (ანჟელა), „ყველაფერი ევაზე“ (მის კაზუელი), „წითელკანიანთა ბელადი და სხვები“ (მეძავი), „როგორ გავთხოვდეთ მილიონერზე“ (პოლა), „პრინცი და მოცეკვავე ქალი“ (მარინა), „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან“ (დანა) და სხვ.

გარდაიცვალა 1962 წლის 5 აგვისტოს.

*** 1783 წლის 5 ივნისს საფრანგეთის ქალაქ ანონეში გაიმართა ფრანგი გამომგონებლების, ძმები მონგოლფიეების თბური აეროსტატის ჰაერში აფრენის პირველი საჯარო ჩვენება.**



საჰაერო ბურთი დამზადებული იყო ქაღალდისა და სელის ქსოვილისგან. კონსტრუქციის სიმაღლე 15 მ იყო, მოცულობა — 2200 კუბ. მეტრი, წონა — 200 კგ. აეროსტატის პირველი გაფრენა მგზავრების გარეშე განხორციელდა. იმავე წლის 21 ნოემბერს კი ამ აეროსტატით ნახევარი საათის განმავლობაში იფრინეს **პილატრ დე როზიემ** და **ფრანსუა დ'არლანდმა.**

*** 3 ივნისი პარაშუტის დაბადების დღეა.** 1785 წლის 3 ივნისს ფრანგმა ჰაერნაოსანმა **ფრანსუა ბლანშერმა** (1753-1809) ლონდონში პირველად წარადგინა მის მიერ შექმნილი პარაშუტი საჰაერო ბურთიდან გადმოსახტომად. თვითონ ბლანშერმა ვერ გაბედა 300 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტომა და პარაშუტი ჩააბა ძაღლს, რომელიც მშვიდობით დაეშვა მიწაზე.



პირველი ადამიანი, რომელიც საჰაერო ბურთიდან პარაშუტით გადმოხტა, იყო ფრანგი აერონავტი **ანდრე-ჟაკ გერნერი.** ეს მოხდა 1797 წლის 22 ოქტომბერს პარიზში. პარაშუტი ამ კონსტრუქციას ფრანგმა ფიზიკოსმა **ლენორმანმა** დაარქვა. პარაშუტის პირველი ესკიზი კი 1483 წელს **ლეონარდო და ვინჩიმ** დახატა.



*** 1875 წლის 6 ივნისს ლიუბეკში (გერმანია) დაიბადა გერმანელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1929 წ.) თომას მანი (პაულ თომას მანი).**

მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „ბუდენბროკები“, „სიკვდილი ვენეციაში“, „ტრისტანი“, „დოქტორი ფაუსტი“, „შავი გედი“ და სხვ.

გარდაიცვალა 1955 წლის 12 აგვისტოს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კარგი პერიოდია ძველი საქმეების დასასრულებლად და ახალი პროექტების დასაწყებად. წარმატებას მიაღწევენ კუროს, ქალწულისა და სასწორის ნიშნით დაბადებულები.**

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**1 – 7 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი
**21 მარტი – 20 აპრილი**

ფარული ინტრიგების გამო, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ კოლეგებთან ურთიერთობაში. მოთოკეთ ემოციები და თქვენი საქმე გულმოდგინედ აკეთეთ — გარშემო მყოფებთან დაპირისპირება რეპუტაციის შელახვის მეტს არაფერს მოგიტანთ.

გააკონტროლეთ შემოსავალ-გასავლები, რადგან არ არის გამორიცხული, ფინანსური პრობლემები შეგექმნათ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიულად წარიმართება, თუ ჯიუტად არ შეეცდებით, თქვენი თვალსაზრისი თავს მოახვიოთ.

თუ ღვიძლი გაწუხებთ, აუცილებლად მიმართეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები, რაციონიდან ამოიღეთ ყავა და შოკოლადი.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივნისი.**

## კურო
**21 აპრილი – 21 მაისი**

ენერგიით ალივსებით და შეძლებთ რამდენიმე საქმის ერთდროულად კეთებას, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ 5 ივნისამდე უნდა დაასრულოთ დაწყებული საქმეები, რადგან შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში გაგიჭირდებათ ამის გაკეთება.

მოერიდეთ იმ ადამიანებთან კამათსა და დაპირისპირებას, რომლებსაც პატივს სცემთ და გიყვართ.

მარტოხელა კუროებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ.

შეეცადეთ, სწორად გაანაწილოთ შრომისა და დასვენების დრო. გაუფრთხილდით თვალებს — დიდია მხედველობის დაქვეითების ალბათობა.

**დადებითი დღე: 6 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## ტყუპი
**22 მაისი–21 ივნისი**

სასიკეთო პერიოდია. აქტიურად იმოქმედეთ, ოღონდ, ვიდრე საქმეს წამოიწყებთ, მკაფიო გეგმა შეადგინეთ, რადგან, შესაძლოა, ძალისხმევა საჭირო მიმართულებით ვერ მიმართოთ.

მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ, მაგრამ თაყვანისმცემლისადმი არასერიოზულმა დამოკიდებულებამ შეიძლება კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში. საერთოდ კი, სჯობს, სპორტის რომელიმე სახეობით დაკავდეთ ან ხშირად შეასრულოთ სუნთქვითი სავარჯიშოები.

**დადებითი დღე: 2 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივნისი.**

## კირჩხიბი
**22 ივნისი–22 ივლისი**

შესაძლებლობა მოგეცემათ, გაიცნოთ გავლენიანი ადამიანები, რომლებიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებიან. შესაძლოა, მიიღოთ ინფორმაცია, რომელიც ცხოვრების შეჩვეულ რიტმს შეგიცვლით. ნუ შეეწინააღმდეგებით ცვლილებებს — ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ წარიმართება.

არ გაღიზიანდეთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახლობელი ადამიანები თქვენგან ბევრს მოითხოვენ. ემოციები ხელს შეგიშლით მართებული გადაწყვეტილების მიღებაში.

გაითვალისწინეთ, რომ დიდია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 6 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივნისი.**

## ლომი
**23 ივლისი –22 აგვისტო**

სამსახურში შეიძლება პრობლემა შეგექმნათ: არ არის გამორიცხული, კოლეგებმა სწორად ვერ გაიგონ თქვენი საქციელი, ნათქვამი ან რეაქცია ამა თუ იმ მოვლენაზე. თავი შეიკავეთ კრიტიკული გამონათქვამებისგან და გადაწყვეტილებები ინტუიციის კარნახით მიიღეთ.

მარტოხელა ლომებს შეიძლება რამდენიმე თაყვანისმცემელი გამოუჩნდეთ. თუ პაემანს შემოგთავაზებენ, დათანხმდით, მაგრამ ურთიერთობის გაღრმავებას ნუ იჩქარებთ. დაქორწინებულმა ლომებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

დიდია საკვების მომნელებელი სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. დაიცავით კვების რეჟიმი.

**დადებითი დღე: 6 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივნისი.**

## ქალწული
**23 აგვ. –23 სექტემბ.**

პროცესები, რომლებიც თქვენს გარშემო განვითარდება, დაგაფიქრებთ იმ მეთოდების ეფექტიანობაზე, რომლებსაც საქმის შესასრულებლად იყენებთ და შეძლებთ ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც ბევრი პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ, თუმცა ამისთვის მუხლჩაუხრელი შრომა დაგჭირდებათ.

დაქორწინებული ქალწულების ურთიერთობა მეუღლესთან ჰარმონიულად წარიმართება. შესაძლოა, დახმარება გთხოვოს ნათესავმა, უარს ნუ ეტყვით, რადგან კეთილი საქმის გაკეთება სიამოვნებას მოგგვრით.

იმ ქალწულებისთვის, რომლებსაც ჭარბი წონა აწუხებთ, კარგი პერიოდია დიეტის დასაწყებად, ოღონდ ჯერ ექიმთან უნდა გაიარონ კონსულტაცია.

**დადებითი დღე: 7 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 4 ივნისი.**

## სასწორი
**24 სექტ. – 23 ოქტ.**

სასიკეთო პერიოდია. შეძლებთ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთა წინაშეც ცოტა ხნის წინათ აღმოჩნდით და ძალიან გაწუხებდათ. ერთადერთი, რაც უნდა გაითვალისწინოთ, ძალების სწორად განაწილებაა. შეამცირეთ გასავლები, რადგან მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები.

მარტოხელა სასწორებს საწინააღმდეგო სქესის ახალგაცნობილ წარმომადგენელთან ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც ხელს შეუწყობს ურთიერთობის გაღრმავებას.

მაღალია ტრავმირების ალბათობა. გაფრთხილდით ელექტროხელსაწყოების გამოყენებისას.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 3 ივნისი.**

## მორიელი
**24 ოქტ. – 22 ნოემბ.**

შეიძლება აღმოჩნდეთ რთულ ვითარებაში, მაგრამ პრობლემების მოგვარებას კოლეგებისა და ახლობლების დახმარებით შეძლებთ. თავი შეიკავეთ გარშემომყოფთა გაკრიტიკებისგან და შეეცადეთ, ყველასთან კეთილგანწყობილი ურთიერთობა შეინარჩუნოთ.

სასიკეთო პერიოდია საყვარელ ადამიანთან უთანხმოების მოსაგვარებლად. გულწრფელი საუბრით შეძლებთ ურთიერთობის ძველ კალაპოტში ჩაყენებას.

დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო შეიძლება თავი შეუძლოდ იგრძნოთ. შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს და მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 7 ივნისი.**

## მშვილდოსანი
**23 ნოემ. – 21 დეკ.**

კარიერის წარმატებით გასაგრძელებლად მეტი აქტიურობა გმართებთ.

ნუ ენდობით ადამიანებს, რომლებსაც კარგად არ იცნობთ. გადაწყვეტილების მიღებისას რჩევა ოჯახის წევრებისგან მიიღეთ.

შესაძლოა, დადგეთ არჩევანის წინაშე: ვის უფრო მეტი ყურადღება დაუთმოთ — მეგობრებს თუ საყვარელ ადამიანს. იმოქმედეთ ტაქტიანად და მტკიცედ, უპირატესობა საყვარელ ადამიანს მიანიჭეთ. მეტი დრო დაუთმეთ შვილებზე ზრუნვას. დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში — ახლა თქვენი სიტყვა მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს და ფრთხილად მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 1 ივნისი.**

## თხის რქა
**22 დეკემ. – 20 იან.**

თუ დასახული მიზნებისკენ სავალი გზიდან არ გადაუხვევთ, ეს პერიოდი წარმატებული იქნება. ზედმიწევნით დაიცავით კანონები, წესები, ინსტრუქციები და ყველაფერი ზუსტად ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გქონდათ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, წინ ზაფხულია და ბევრი რამის შეძენა დაგჭირდებათ.

თუ ეჭვიანობას გამოავლეთ საყვარელი ადამიანის მიმართ, კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ. დაეხმარეთ ოჯახის უმცროს წევრებს პრობლემების მოგვარებაში.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად, კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით.

**დადებითი დღე: 5 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 2 ივნისი.**

## მერწყული
**21 იან. – 19 თებ.**

ამ პერიოდში არ ღირს ახალი პროექტის წამოწყება. შეეცადეთ, დაასრულოთ ის საქმე, რომელიც დაწყებული გაქვთ. გამოიყენეთ თქვენი მეგობრული და საქმიანი კავშირები და წარმატება არ დააყოვნებს.

დაქორწინებულმა მერწყულებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ მეუღლის მიმართ. ერთად მოგზაურობა ან სულაც გასეირნება ბევრ სასიამოვნო წუთს განგაცდევინებთ, მარტოხელებმა კი შეიძლება ცხოვრების თანამგზავრი იპოვონ.

იმ მერწყულებმა, რომლებსაც ქრონიკული დაავადება აწუხებთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 4 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 6 ივნისი.**

## თევზები
**20 თებ. – 20 მარტი**

ბევრი მიმართულებით შეძლებთ დადებითი შედეგის მიღწევას, განსაკუთრებით — სამომავლო პროექტებზე მოლაპარაკებებში. შეიძლება ურთიერთობა დაამყაროთ გავლენიან ადამიანთან, რომელიც იდეების განხორციელებაში დაგეხმარებათ.

ამ პერიოდში თქვენთვის მთავარი იქნება ოჯახში ჰარმონიისა და სიმყუდროვის შექმნა. მეტი დრო დაუთმეთ შვილებზე ზრუნვას.

ბუნებამ თევზები ჯანმრთელი ორგანიზმითა და სიცოცხლისუნარიანობით დააჯილდოვა, მაგრამ ისინი ხშირად დაუდევრად ეპყრობიან ამ საჩუქარს — თავს მეტისმეტად იტვირთავენ გონებრივად და ფიზიკურადაც. მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას და იფიქრეთ ცხოვრების მხოლოდ დადებით მომენტებზე.

**დადებითი დღე: 1 ივნისი.**
**უარყოფითი დღე: 6 ივნისი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

ფიქრია ხასაია:

# ამჟამინდელმა ხელისუფლებამ საქართველო გაააცამტვერა

**29 წლის ფიქრია ხასაია პროფესიით იურისტია. ამჟამად კუნძულ კვიპროსზე ცხოვრობს და სხვადასხვა ოჯახში დამხმარედ მუშაობს. 2013 წელს სიმსივნე დაუდგინეს, მაგრამ, გაუსაძლისი ტკივილების მიუხედავად, ერთი წლის წინათ 3 წლის შვილთან ერთად დატოვა საქართველო და კვიპროსზე წავიდა სამუშაოდ.**



**— ქალბატონო ფიქრია, ბევრი ქართველი ემიგრანტი ცხოვრობს კვიპროსზე? როგორები არიან კვიპროსელები და რას ამბობენ ქართველებზე?**

— **საკუთარი ოჯახის დატოვება და სხვისი უნიტაზების ხეხვა არავის სურს. როდესაც 3 წლის შვილი და 90 წლის მოხუცი, რომელსაც პენსია წამლებისთვისაც არ ჰყოფნის, ბედის ანაბარა გყავს მიტოვებული, როდესაც შენს უკან მშიერი ოჯახი დგას და ელოდები, მეზობელი როდის მოგაწვდის ერთ ნაჭერ პურს, მხოლოდ იმაზე ფიქრობ, დატოვო ქვეყანა და ძვირფასი ადამიანების დასახმარებლად ყველაფერი გააკეთო.** ოჯახს 3 წლის შვილით მოვწყდი და უცხო ქვეყანაში გადავიხვეწე. აქ, კვიპროსზე, ყველა საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს და სხვის ცხოვრებაში არ ერევა. თუ შეგამჩნიეს, რომ სანდო პიროვნება ხარ, ისე მიგიღებენ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. ექიმების ოჯახში ვმუშაობ და ისე მექცევიან, როგორც შვილს. ამ ოჯახმა ჩემი ცხოვრება შეცვალა. **2013 წელს შევიტყვე, რომ მკერდის სიმსივნე მქონდა, მაგრამ მაინც წამოვედი საქართველოდან და ვმუშაობდი, გაუსაძლისი ტკივილების მიუხედავად.** როდესაც შეიტყვეს, რომ ჯამრთელობის პრობლემა მქონდა, დაიწყეს ჩემზე ზრუნვა, წამიყვანეს საუკეთესო კლინიკაში, ორი თვის განმავლობაში დავყავდი საუკეთესო ექიმებთან და გამიკეთეს ოპერაცია. ეს ყველაფერი ოჯახმა აანაზღაურა. დღეს სრულიად ჯანმრთელი ვარ. ასეთი რამ საქართველოში წარმოუდგენელია. **საქართველოში სამკურნალოდ დიდი ფინანსებია საჭირო, აქ კი პირიქითაა — არავინ გეკითხება, გაქვს თუ არა ექიმთან მისასვლელი ფული. უყვართ შრომა და იციან შრომის ფასი. აქ თითოეული ქართველი მუხლჩაუხრელად შრომობს და კვიპროსელებს უკვირთ, — ასეთ მშრომელ ადამიანებს საკუთარ ქვეყანაში რატომ არ აფასებენო.** მეხმარებიან, რომ საქართველოში მცხოვრებ ღარიბ ოჯახებს საყოფაცხოვრებო ნივთები გავუგზავნო. შარშან იმ ფულით, რომელსაც რამდენიმე თვე ვაგროვებდი, თბილისში მცხოვრებ გაჭირვებულ ოჯახებს ტანსაცმელი და სათამაშოები გავუგზავნე. ამჟამად გორის ერთი სოფლის მცხოვრებ უდედმამო ბავშვებს ვეხმარები ჩემს ბერძენ და ქართველ მეგობრებთან ერთად. საქართველოში ყველას წარმოუდგენლად ეჩვენება ჩემი საქციელი, მეკითხებიან კიდეც — შენ რა სარგებელიო? აქაურ მეგობრებს კი მხოლოდ ის აინტერესებთ, როდის ნახავენ გახარებულ პატარებს. მე ბედნიერებას მგვრის გახარებული ბავშვების დანახვა, რომლებსაც ხანდახან პურიც კი ენატრებათ.

**— თქვით, რომ საქართველოში ვერ შეძელით მკურნალობა. ვის მიაკითხეთ, სცადეთ თუ არა საჭირო თანხის შეგროვება?**

— დილომში, ონკოლოგიურ ცენტრში ვიყავი და მითხრეს, სასწრაფოდ გჭირდებაო ოპერაცია, მაგრამ არანაირი სოციალური დახმარება არ მქონდა, გამოკვლევების ჩატარებაც ვერ შევძელი, ვერც ოპერაციისთვის საჭირო თანხის — 1300 ლარის — შეგროვება, რადგან **ჩემი შემოსავალი მხოლოდ დევნილის დახმარება იყო — თვეში 90 ლარი. ბავშვისთვის ხომ უნდა მიმეხედა? ამიტომ არანაირი მკურნალობა არ ჩამიტარებია.** არავის იმედი არ მქონია და არც მიმიმართავს, მხოლოდ ნათესავებს ვთხოვე დახმარება, მაგრამ ვერ მოვახერხეთ საჭირო თანხის შეგროვება. სოციალურ დახმარებაზე განცხადება შევიტანე, მაგრამ უარი მითხრეს.

**— კვიპროსზე მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს თუ აინტერესებთ საქართველოს საშინაო პოლიტიკა?**

— აქ მყოფი არც ერთი ქართველი არ არის ჩართული პოლიტიკაში. აქ მხოლოდ მუშაობასა და საქართველოში დატოვებული ოჯახების დაპურებაზე ფიქრობენ. მხოლოდ ტელევიზიის საშუალებით ვადევნებთ თვალს პოლიტიკურ პროცესებს. **დღევანდელმა ხელისუფლებამ საქართველო გააცამტვერა, ახლა მხოლოდ ქართველი ხალხის გონივრული გადაწყვეტილება თუ გვიხსნის უცოდინარი და შეუბრალებელი ხელისუფლებისგან.**

**— ევროპას ლტოლვილები მიაწყდნენ. რა ხდება კვიპროსზე, როგორი დამოკიდებულება აქვთ კვიპროსელებს მათ მიმართ?**

— დიახ, აქაც ჩამოვიდნენ დევნილები. კვიპროსზე საძინებლებშიც კი კამერა აქვთ დამონტაჟებული. ადრე ასე არ ყოფილა, მხოლოდ ფარდებს ჩამოაფარებდნენ ხოლმე, კარსაც კი არ ხურავდნენ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა ლტოლვილებმა დაიწყეს ქურდობა და ამის შემდგომ დააყენეს ყველა ოჯახში ვიდეოთვალი. უკვე 14 წელია, რაც ამ კამერებით სარგებლობენ ოჯახები, მაღაზიები თუ დაწესებულებები, ამიტომ ქურდობას ველარ ახერხებენ.

**— როგორი დამოკიდებულება აქვთ კვიპროსზე ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ?**

— **კვიპროსზე მორწმუნე ხალხი ცხოვრობს. ყველა კუთხეში ტაძარია და ყველა ფიქრობს, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, შესაბამისად, ეწინააღმდეგებიან ერთნაირსქესიანთა ქორწინებას.** მაგრამ არიან ჰომოსექსუალი წყვილებიც, რომლებსაც სააშკარაოზე არ გამოაქვთ თავიანთი ცხოვრება და არც არავინ ინტერესდება მათი პირადი ურთიერთობით. ვფიქრობ, **საშინელებაა ტელეეკრანზე ჰომოსექსუალების ყოველ წუთს გამოჩენა.** როდესაც ამდენი გაუბედურებული ოჯახია, ამდენი პრობლემაა, **რისთვის ხარჯავს საქართველო დროს? ტელევიზიებში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება-არდაკანონებაზე მუდმივად მსჯელობა ნიშნავს იმას, რომ ისედაც დაბეჩავებულ ერს სულიერად ვამძიმებთ.**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

# «გადარჩენილებს მკვდრების შეშურდებათ»

## ევროპელი ანალიტიკოსი რუსეთთან ომის შესახებ

**ნატოსადმი ლოიალურობის გამოსახატავად ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის ინიციატივა სამხედრო ქვედანაყოფების რუსეთის საზღვართან გადაყვანის შესახებ ბირთვული ომის დაწყების საფრთხეს ზრდის. მნიშვნელობა არ აქვს, სად და რა საბაბით დაიწყებს ნატო რუსეთთან ომის პროვოცირებას. ეს ნებისმიერ შემთხვევაში გამოიწვევს ბირთვულ დარტყმას და მაშინ „სიკვდილს გადარჩენილების მკვდრებს შეშურდებათ“, — განაცხადა სამხედრო საკითხების ექსპერტმა მარტინ კოლერმა გამოცემა Parlamentni Listy-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**



ჩეხეთის თავდაცვის მინისტრის — **მარტინ სტროპნიცკის** გეგმა, რომლის მიხედვითაც, ნატომ, რუსეთის საწინააღმდეგო კამპანიის მიმართ ლოიალურობის ნიშნად, რუსეთის საზღვართან 100 ჩეხი სამხედრო მოსამსახურე უნდა გადაიყვანოს, უმართებულო გადაწყვეტილებაა, — დარწმუნებულია მარტინ კოლერი. რუსეთთან რეალური კონფლიქტის შემთხვევაში საზღვართან ჯარისკაცების ასეულის გადაყვანა ვერაფერს შეცვლის. **ეს ნაბიჯი აჩვენებს, რომ ჩეხეთი მხარს უჭერს აშშ-ის მისწრაფებას, რუსეთი ჩაითრიოს ომში და ამის გამო პასუხისმგებლობის წილს თავიდან ვერ აიცილებს.** ამასთანავე, ამ გეგმის რეალიზაციის შემთხვევაში ჩეხი ჯარისკაცები ამოუცნობი სპეცდანიშნულების რაზმების თავდასხმის მსხვერპლნი შეიძლება აღმოჩნდნენ და შეასრულონ „ჩახმახის“ როლი „რუსი აგრესორების“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ უკვე რუსეთის, ფაქტობრივად, მთელი საზღვრის გასწვრივ განალაგა რაკეტსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა კი ბირთვული ძალების მზადყოფნის ბრძანება გასცა.

# ლატვია თავის შვილებს კარგავს

## 2015 წელს ლატვიის მოსახლეობა 17,1 ათასით შემცირდა



**2016 წლის დასაწყისში ლატვიაში 1,9 მლნ კაცი ცხოვრობდა — 17,1 ათასით ნაკლები 2015 წლის დასაწყისთან შედარებით. 2014 წელს კი ლატვიის მოსახლეობა 0,77%-ით შემცირდა, ანუ 15,4 ათასით. შემცირდა მოსახლეობის რაოდენობა ლატვიის რესპუბლიკური მნიშვნელობის ყველა ქალაქში: დედაქალაქ რიგაში — 2,2 ათასით, დაუგავპილსში — 1,1 ათასით, ლიეპაიაში — 631-ით, ელგავაში — 135 კაცით.**

სპეციალისტთა აზრით, ლატვიაში მოსახლეობის შემცირების ტენდენციის მიზეზები არის ლატვიელთა ემიგრაცია უცხოეთში და შობადობის დაბალი დონე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ გასულ წელს სამშობლოში დაბრუნდა უცხოეთში გადახვეწილი 5,6 ათასი ლატვიელი, მაგრამ ამან მნიშვნელოვნად ვერ იმოქმედა მოსახლეობის რაოდენობის მატებაზე.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## იური ბურდილაძის ფიტოთერაპიული კაბინეტი

ცნობილი ქართველი ექიმი (პედიატრი — ნევროპათოლოგი — ფიტოთერაპევტი) ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებით მოარჩენს ბავშვის ყველა სახის ხველას, გაციებით გამოწვეულ ასთმას, ალერგიულ ასთმას ყველა ასაკში, უნებლიე შარდვას ყველა ასაკში, არასპეციფიკურ წყლულოვან კოლიტს — ნეფრიტს, გლომერულო ნეფრიტს, ქრ. ბუასილს, კუჭისა და 12 გოჯა ნაწლავის წყლულს, კოკს-ართროზს, ქრ. ქოლეცისტიტს, ბე-ჰეპატიტს, პროსტატიტს, ადენომას, შარდის ბუშტის ანთებას, საკვერცხის კისტას — კისტომას, ჰაიმორიტს, მოტეხილობის ყველა ფორმას, ქრ. ტუბერკულოზს, ყურებში შუილსა და ხმაურს.

**ტელ.: 551-10-59-74 — იური ბურდილაძე,
მისამართი: ივერთუბანი (ლოტკინზე)
თამარ და აკაკი პაპავების ქუჩა №3
(დედათა და ბავშვთა მონასტერი)**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894